

slip ~~K~~ 102009  
2

9(47922)  
63418

ს. სხსნაშვილი.

9 (44 322)  
6 341 2

73: 2015-19136

73292  
სუკიანი  
2

# ბუჩქნარი.

კამბრის ჯგ. დ. ლაშაშვილი.



кутисъ

Типографія редакції журналу „Пастыр“ (П. Д. Гамбашидзе).

1891



Съдѣніе

# ОБЪЯВЛЕНІЕ

Съдѣніе

Печатается съ разрѣшенія духовнаго начальства.  
Августа 17-го числа 1890 г.

Издатель: С. С. Смирновъ, редакторъ: А. А. Смирновъ (въ г. С.-Петербургѣ)

## წინასიტყვაობა.

### საქართველოს წესწესობილებათა ისტორიადამ.

ეკლესიის შნიშვნელობა. საეკლესიო მამულები და ყმები. მამულების შეწირვა. მონაშენების შემკვიდრება. საეკლესიო კრებანი. საერო კრებანი და მათი შედარება კრებასთან რუსეთში და ევროპაში. მეფენი—ბერნი. მკჳმადიანთაგან ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება. ეკლესიის გავლენა.

ქრისტიანობის გავრცელებას სუყველგან გამოუკლებლად მოჰყვა საზოგადოების ზნეობითი ამაღლება, გაწმენდა სიბილწისაგან, მართლმსაჯულების გაძლიერება და ეკონომიურად გაუმჯობესობა: თუმცა წმ. სახარება ავალებდა მორწმუნეთა მთაურობის მორჩილებას, მაგრამ თვით ქრისტესივე მოძღვრებით კაცს ჩაეწერგა ლტოლვილება ძმობის და თანასწორებისადმი; გააპატიოსნა შრომა მუშაკთა და ეალად მიუწყო სიყვარული, ნუგეშისცემა ღარიბთა და დავრდომილთა. ეკლესია, ქვეყნიური წარმომადგენელი მაცხოვრისა, თვალს ადევნიდა საზოგადოების ცხოვრებას, იფარავდა უსამართლოების მსხვერპლს,

## II.

აძლევედა თავშესაფარ ბინას, ბედით დაჩაგრულთ და თავის კანონებით არჩევდა და ბჭობდა საქმეებს ნაკლები მკაცრობით და სასტიკობით, ვიდრე ჩვეულებრივი მსაჯულნი. არამც თუ საეკკლესიო კითხვები დაეთმო სამღვდლოების გასარჩევად, — თვით საერო საქმეებსაც მოჰკიდა ხელი სიმართლის აღსადგენად, საწყალთა დასაფარველად. რაც ევროპაში, ვიზანტიაში ანუ რუსეთში უთქვამთ ეკკლესიის მნიშვნელობაზედ, <sup>1)</sup> იგივე ითქმის საქართველოს ეკკლესიაზედაც, რომელიც უფრო მედგრად იცავდა სარწმუნოებას და ეროვნობას. ეკკლესიებთან და მონასტრებთან დაწესებული იყო სასწავლებლები, სადაც იწერთნებოდნენ მომავალი საზოგადოებრივი მოღვაწენი. საღმრთო წერილი შეადგენდა ქვაკუთხედს მანდელი მკენიერებისას. ამას მოწმობს არჩილ მეფე <sup>2)</sup> თავის ნაწერში «საქართველოს ზნეობა»:

რაც ვიცი საღმრთოს წიგნთაგან მაქვს სხვათ არა ვისგან გავიყო წმინდათა ბრძენთა წერილი არის ნათლისა ებგურა, სულ ნათალ თვალთა ხაგები, არ ურევია აგური.

საქართველოს ეკკლესიის ისტორია და მისი დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარხთან ცოტად თუ ბევრად შესწავლილია პლ. იოსელიანის და მღვ. დ. ჯანაშვილის მიერ (исторія груз. церкви, т. II. Пг. Иселиани და ისტორიული სურათები. სასულიერო წოდება. მღ. დ. ჯანაშვილისა. «ივერია» 1882 წ.

<sup>1)</sup> haurent. h'èglise, et la feudalité t. VII. pariz. 1860. ср. чичеримъ исторія полит. ученій т. I м. 1874. საერო და სასულიერო პირთა შორის დავა ირჩევოდა ჩვენში ეპისკოპოსის მიერ. крестъ. гр. ст. 71.

<sup>2)</sup> «ივერია» 1885 წ. № 12, გვ. 77.

№ III-V). ამ კითხვას დაუპრუნდები შემდეგ და ახლა კი საქიროდ მიგვაჩნია ალენიშნოთ, რომ თუმცა საქართველოს ეკკლესია დამოუკიდებლად აღვიაზრებულ იქმნა ვახტანგ გორგასლანის დროს (+ 499) და ფარმან მე VI მეცადინეობით (+ 557) «იუსტიანეს ნებართვით აღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ დასხდებოდეს ნათქავენი ქართველთანი»<sup>1)</sup>, მაინც ანტიოქიის პატრიარხები აქამდის თავიანთ ტიტულში იხსენიებენ საქართველოს ეკკლესიას, როგორც თავიანთ ქვეშევრდომს<sup>2)</sup>. ჩვენ ამ წერილში გვაქვს აზრად დაუკვირდეთ შინაურ წესწყობილებას საქართველოს ეკკლესიისას გუჯარების გარჩევით და სხვა ისტორიული მასალების დახმარებით ჩვენი წერილი არ იქნება სრული და დამთავრებული, რადგან იგივე კითხვა შემდეგ უფრო დაწვრილებით გახდება საგნად ჩვენი გამოკვლევისა.

ჩვენი ეკკლესია თავის მამულით და აქ დასახლებულ მცხოვრებლებით დამოუკიდებელი დაწესებულება იყო. ყოველი «ეკკლესიის საქმე ყმისა თუ მამულისა» ეპისკოპოსების ხელში იყო. ეპისკოპოსი თავის სამწყსოში საქართლის აღმდგენი და მსაჯული იყო. სიტყვა-პასუხის მისაგებლად მოწვეული იყვნენ მოწმები და სარწმუნო წერილები ანუ ფიცი საქმის გარჩევისთვის მიჩნეული იყვნენ საქირო საბუთებად<sup>3)</sup>.

<sup>1)</sup> ქართ. ცხოვ. I, 151. სრ. Пл. Юселиани. ист. груз. пер., 38.

<sup>2)</sup> Древности Восточ. вав. II, стр. 217. о рукописи. сборникъ XVII в. ერთი გუჯარიდან სჩანს, რომ მ-XV საუკ. კიდევ იხსენიებდენ ანტიოქიის პატრიარხს. церк. гудж., 103.

<sup>3)</sup> ჩვენი გუჯრები გვ. 19, 20.

მეფეს ეკუთვნოდა უმაღლესი ზედამხედველობა, ზრუნვა ეკლესიის წარმატებისა და გზობრუნებისა. მეფე ირაკლი მე-II-მ შეიტყო, რომ კაწარის წმ. სამების ეპარქიის სარჩოდ არ კმარის ეპისკოპოსისთვის, ბრძანება გასცა კაწარის სამწყსო გაეყოთ შუა რუსთველს და წინა წმინდის ეკლესიას «თავისის ნებისაებრ» და მეფისთვის მხოლოდ «მოუხსენებინათ» განაჩენი<sup>1)</sup>. თუ მეფეს წილად ზედა ზრუნვა მატერიალურად ეკლესიის დამკვიდრებისა, კათოლიკოსს, როგორც უმაღლესს მწყემსს, ვალად ედო საეკლესიო კანონების დაცვა სასულიერო კითხვების ასხნა და განმარტება. თვით კათოლიკოსს თავმჯდომარე იყო «დიკასტერიისა», რომელსაც განაგებდა სამღვდლო და სასულიერო საქმეებს. კათოლიკოსს შეეძლო განკვეთა მღვდლისა, თუ იგი ხელდასხმულ იყო წინააღმდეგ საეკლესიო კანონთა<sup>2)</sup>. ანტონ კათოლიკოზი უჩვენებს თავის უფლებების დასაცემად კანონს „წმიდათა მოციქულთა 3, ანტიონისა 47 და ეფესიოსა 10“. ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ «ქართლის ცხოვრებაში»:

«ქრისტეს აქეთ მნ3 იქმნა კრება მეექვსე კოსტანტინეპოლსა შინა... ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოისათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, სპატრიარქანი. და იყოს კათოლიკოზი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხედეს მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთაყარებისკოპოსთა,

<sup>1)</sup> გუჯრები გვ. 37.

<sup>2)</sup> გუჯრები გვ. 85—6

მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა და სამწყსოსა თვისსა ქართლსა, გამოძევა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შარკანსა და მიდგომით წაიოელით მთისა მას აღდილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის სამზღერამდის, სრულიად ოკსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლ-სამცხე-საათაბაგოსა. მისთვის მიგფრთელია საქართველო ეკკლესიანი მას მონებდენ და მის ხელ-ქეჟ იყენენ და ჰსჯულოსა მისსა ერდენ და მისგან იწყესებოდნენ და მიგვიცე-შია ხელმწიფება შეკრვისა და განხსნისა, რომელი შეკრას კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განხსნას ქვეყანასა ზედა ხსნილ იყოს იგი ცათა შინა ხოლო პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ გან-პატიოსნებულ იყო და ამ კრებისა მიერ დაგვიტკრ-ცეა პატრიარქად. რამეთუ ნუ იქმნებიან მიტრო-პოლიტი, ნუცა ეპისკოპოზნი კათოლიკოზის შეუნ-ღობრად, ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს კათოლი-კოზის წინააღმდეგობა... ანუ დაიპყრას ეკკლესია და ხარისხი ძალითაჲ კათოლიკოზის უკითხვად და შე-უნდობლად ანუ იკურთხოს მეფე ვინა მთავარნი, ანუ მთავარ-ებოსკოპოზნი და მიტროპოლიტ-ებისკო-პოზნი განიკვეთნ. ხოლო ოდესაც ენგბოს შემზა-ღება და კურთხევა შორონისა აკურთხოს თვისსა ეკკლესიასა 1).

ამ მოყვანილი სიტყვებიდამ სავმარისად სჩანს, რა უფლოებადნუ ხელმწიფება ჰქონდა კათოლიკოზსა.

1) ქართ. ცხოვ. I, 171—172. თეიმურაზის ხელთ-ნაწერი ამას უმატებს, რომ აგვარიანთა შიშის გამო გზა ან-ტიოქიაში შეიკრა, ამიტომ თეოფილაქტე პატრიარქმა ანტიო-ქიისამ შეიწყნარა თხოვნა ქართველთა მოციქულთა და საეკ-კლესიო კრებაზედ დაადგინა, რათა საქართველოს კათოლიკოზი დამოუკიდებლად აღვიარებულ იქმნას.

უმალლესი სასულიერო პირი, კათოლიკოზი საყურადღებო და შესანიშნავ საქმეების გასარჩევად იწვევდა მთელ სამღვდლოებას და იმათ კრებაზედ ირკვეოდა ისეთი კითხვები, რომელნიც შეეხებოდნენ სრულიად საქართველოს ეკკლესიას. ამიტომ არა-იშვიათი იყო საეკკლესიო კრების მოწვევა ჩვენს ისტორიაში, როგორც რუსეთში და ევროპაში. <sup>1)</sup>

ღვით აღმაშენებელის დროს საეკკლესიო წესწყობილების შესაცვლელად მოწვეულ იქმნა სამღვდლოთა კრება. საქართველოს ეკკლესიას დაეტყო ზნეობითი დაცემა და გარყვნა: «სახლნი ღვთისანი ქება ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა, მამულობითა უფროს ვიდრე ღირსებით დაეყრნეს უფრ-სნი საეპისკოპოსონი, არა კართა მწყემსებრ შესრულნი, არამედ ივაზაკებრ ერდოთა შესრულნი». მათგან დაყენებული ხუცესნი და ქორებისკოპოსნი წააგვანდნენ თავიანთ მთარველებს: «უსჯულოებასა წვრთიდეს. მათ ქვეშე ყოველთა... და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა. ამ წყულოების კურნებად» შესდგა კრება. საყურადღებოა ვინ იღებდა მონაწილეობას კრებაში? კრებაზედ დაესწრნენ გარდა სამღვდლო პირთა საერო მეცნიერნიც, როგორც მოწმობს მატჩანე: «სამეფოსა თვისსა კათოლიკოზნი, მღვდელმთავარნი, მეუღაბნოენი, მოძღვარნი და მეცნიერნი შემოიკრიბნა წინაშე მათსა... და მრავალ დღე გამოწვლილეთა და ფრიადითა შრომითა კეთილად გამოძიეს და ყოველი ცდომილი განმართეს და

<sup>1)</sup> ЛАТВИНЪ. ЗЕМСКІЕ СОБОРЫ.

კეთილწესიერება ყოვლითურთ დაამტკიცეს.<sup>1)</sup> უღირსნი დაითხოვეს და შეაჩვენეს და ძეგლი საწმენდებისა აღწერეს თანახმად ათთორმეტთა კრებათა.

კათოლიკოზი და ეპისკოპოსნი იღებენ მონაწილეობას გიორგი მე-V ბრწყინვალეს «ძეგლის დადებაში»<sup>2)</sup>. ესრედ წოდებული «კათოლიკოზთა კანონები» შესდგნენ აგრეთვე საეკლესიო კრებაზედ. გიორგი მე-III დროს (როსტომის ძმა) შესდგა სამღვდელთა კრება. «ყამებთა ამათ შინა, ვითარცა ვიხილავთ იქნა განტევება ცოლთა, კლეა კაცთა და იღუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისთვის შეკრბენ ქართლსა კათოლიკოზი მალაქია, აფხაზთა კათოლიკოზი ევდემოზ და ყოველნი ეპისკოპოსნი ესენი იყენენ: ქუთათელი სიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედრელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგარელი კოზმან, ხონელი: ზაქარია, ნიკორწმინდელი. იაკობ, ჩაისელი კირილე. ამათ განაჩინეს მოქმედთა მათთვის ჯეროვანი შერისხვანი და დაწერეს და შეაჩვენეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი»<sup>3)</sup> ჩვენმიერ დაბეჭდილ ბიჭვინტის «გუჯარი»,<sup>4)</sup> როგორც

<sup>1)</sup> გუჯარები. ბიჭვინტა.

<sup>2)</sup> ქართ. ცხოვ. I, 211—212. ძეგლის წერა დაკითხვა შესწავლისა ფრიად შესანიშნავი ნაშთია. ნახე «საქართველოს სამოთხე» გვ. 518—528. შეად. Иселіани. ист. груз. цер. გვ. 73 და ბაქრაძე. ვახუშტის ისტორია გვ. 174—7.

<sup>3)</sup> законы царя Вахтанга, გვ. 82, შენ. შეად. «ძეგლისდება» მეფე გიორგი ბრწყინვალესი. ნ. უზნელისა. ტფილისი. 1890 წ. ვახუშტის ისტორია. გამოც. ბაქრაძისა გვ. 279.

<sup>4)</sup> ქართ. ცხოვ. II, 196. н. д. l. g. II, I, 265.

ლტკაეხებს საეკლესიო კანონებს, აგრეთვე შემდგარია სამღვდლო კრებაზედ თანადასწრებით კათოლიკობთა: მალაქია, ევდემონ, ეფთქვიმე, მალაქია, მაქსიმე, მახარია, სვიმეონ, დავით. ამ გუჯრის შესახებ ჩვენი აზრი წარმოვსთქვით შენიშვნაში და ამიტომ აქ საჭიროდ არ მიგვჩნდა განვიმეორათ იგივე.

საეკლესიო კრებაზედ ესწრებოდნენ მეფე, კათოლიკობე, მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსონი, ეპისკოპოსონი, მეუღანოენი, თავადნი, აზნაურნი, და ერის კაცნი. ამ გვარი საეკლესიო კრებანი იმერეთში ყოფილა 3, სამეგრელოში 1, გურიაში 1 და ქობულეთშიაც ერთი <sup>1)</sup>. გარდა ამისა სამღვდლოება იღებდა მონაწილეობას საერო კრებაზედაც. თამარ მეფეს რომ ურჩევდენ საქმროს, თანასწორად მიიღეს შრომა კრებაზედ საერო და საეკლესიო პირთა <sup>2)</sup>. კათოლიკობნი ესწრებოდა მეფის დაგვირგვინების დროს. მეფე კონსტანტინე ეკურთხა მეფედ თანადასწრებით ქანდლასა კათოლიკობ-ეპისკოპოსთა, მთაწარისა და დადგუღასა. აგრეთვე ეკურთხა მცხეთას მეფედ გიორგი მე-IX <sup>3)</sup>.

მეფე ერეკლე I დროიდან საერო მმართველობამ შეარყია საეკლესიო წესდებულების დამოუკიდებლობა. მებატიანე გვაუწყებს, რომ «ამის ეპამდე არა იცვალეობდენ კათოლიკობნი და ეპისკოპოსონი საყდართა თვისთაგან. ამან შესცვალა და დახსნა

<sup>1)</sup> Пурцеладзе. «значение гуджаръ» გვ. IV. (груз. цер. грамоты).

<sup>2)</sup> ქართ. ცხ. I, 283—5. 292.

<sup>3)</sup> ibid. I. გვ. 372, 377, 425. II, 10, 24, 22, 80 და სხვ.

თვისნი კათოლიკოზად დიასამიძე იოანნე (ნახე «გუჯრები» გვ. 24), მთავარ-ეპისკოპოსად ნაცლიშვილი, თბილელად ყაფლანღსშვილი დომენტი, მანგლელად ჯავახიშვილი იოსებ<sup>1)</sup>. კათოლიკოზი უნდა ამორჩეულიყო სამღვდელთა კრების მიერ, მაგრამ ჩვენმა მეფეებმა ეს ავტონომია მოუსპეს და თითონ ნიშნადენ კათოლიკოზებს გიორგიმ დასვა კათოლიკოზად ნიკოლოზი, ერეკლემ (I) «განაყენა» იგი და დასვა იოანევე. ვახტანგმა (მე-VI) ისევ ნიკოლოზს დაუბრუნა კათოლიკოზობა<sup>2)</sup> ამ გვარმა მეფის საქციელმა გამოიწვია შეთქმულობა ეპისკოპოსთა და არქიმანდრიტთა და არ შეიწყნარეს ნიკოლოზი, «რამეთუ არს სოფლიერი და ევდემოს დაუდევს უმეცრება და გამორჩევით დაადგინეს ნებითა ვახტანგისათა კათოლიკოზად დომენტი ძე ლევანისა, ახლად მოსული რუსეთიდან<sup>3)</sup>. ასეთივე ხასიათი მიეცა პატრიარხის ამორჩევას ვიზანტიაში კომნენების დროს: მეფის გამოცვლა იწვევდა პატრიარხის გამოცვლასაც<sup>4)</sup>

თუმცა სამღვდელოება მეფის ხელმწიფების გავლენის ქვეშ მოექცა, მაინც იგი არ ჰკარგავდა მხედველობიდან თავის მოვალეობას, ამხელდა ცულ ზნეჩეულებს შემოტანას და გარყენილებას. მეფე დამიტრი თავდადებულის დროს მალაღწოდებას შემოე-

<sup>1)</sup> იხ. II, 68.

<sup>2)</sup> იხ. II, გვ. 62, 67, 71. შეად. АКТЫ Кавк. арх. ком. I, 736.

<sup>3)</sup> ქართ. ცხოვ. II, 71. შეადარე «გუჯრები» გვ. 7 შენიშვნა.

<sup>4)</sup> ჩემი Визант. общество и греческая церковь въ эпоху Комнеловъ.

პარა ორ-ცოლიანობა. ამის გამო ნიკოლოზ კათოლიკოსმა აშხილა მეფე დიმიტრი და სხვანი ამ ცოდოში მონაწილენი და რომ ვერა გააწყობრა, ხელი აიღო თავის კათედრაზედ და სამაგიეროდ აკურთხა მეფის ჯვარის მტვირთველი აბრაამი, აგრეთვე ათონიდან მოსულმა ბერმა ვასილმა გაჰკიცხა მეფე და თავადნი ქრისტიანული ზნის დარღვევი ათვის <sup>1)</sup> ეკკლესია ცდილობდა ცრუ მორწმუნოების განდევნას იმ გვარადვე, როგორც ზნეობის აღდგენას, საყურადღებოა ამ მხრივ აწ დაბეჭდილი „მკითხაობის მუხალგა“ <sup>2)</sup>. მკითხავე პირობას აძლევს ნეკრესელს, რომ მკითხაობაზედ ხელი აიღო და თუ კიდევ მას მიახსენდება მის მკითხაობა ცეცხლში დაწვით დასაჯონ. ამ წერილის დასასურათებლად მოვიყვანთ «სჯულის კანონიდან წმ. იოანე მმარხველისა და მე-VI კრებისა», რომელიც იყო 680—682 წ. ეს სჯულის კანონი ნაპოვნია სტროევის მიერ რუსეთში და ახლა სამეცნიერო აკადემიის მუზეუმის საკუთრებას შემადგენს. § 5-მამ კანონებისა გვაუწყებს შემდეგ ეს: «სჯულის კანონს ეწინააღმდეგებიან ივინი, რომელნიც მისდევნ მისანთა და გრძეულთა, ლეგეონთა და ასისტავთა, რომელნი ბედსა უთხრობენ, შობის დღესა და მარტის თვესა იზმნიან, კალანდობენ, შეულოცვენ; რომელნი არიან ღრუბელთა მათებელნი, ქერთა მყრელნი და ბქასა მხედველნი; რომელნი მუცლით საუბრობენ და ცეცხლსა აგზნობენ, მსგავსად წარმათთა, სახლის წინ, ყრმათა საბტუნებ-

1) ქართ. ცხოვ. 416—418.

2) «გუჯარები» გვ. 80.

ლად; რომელნი ითვისებენ საწარმართო სახელწოდებას, რომელ არიან: აპოლონ, არტემი, ბუჩი, გაცი, მაიმ, დაგეონ და არმაზ <sup>1)</sup>».

ეკკლესიის ზრუნვას შეადგენდა, გარდა ზნეობითი ამბლებისა, მატერიალურად გაუმჯობესობათათვისი სამწყსოსი. მის მოვალეობად ითვლებოდა დაემყარებინა საზოგადოებრივი ძალღონით საერთო ეკონომიური კეთილწყობილება, საშუალო საუკუნოებში შესდგა *corpus juris canonici* <sup>2)</sup> საეკკლესიო კანონები იუსტინიანეს საერო კანონების მსგავსად (*corpus juri*), რომლის მიზანი იყო განებორციელებინა ქვეყნად «სასუფეველი ცათა», თუმცა კანონისტები თვალსაჩინოდ ღარს აკლებდნენ «ჩემის» და «შენის» შორის (*meum et tuum*) და უარყოფდნენ სარჩოს ერთობას, მაგრამ ზრუნვა ღარიბისთვის, შემწეობა და დახმარება ნებაყოფლობაზედ არ იყო მივარდნილი: იგი აღვიარებული იყო მოვალეობად — *debitum legale*. შრომას, მეტადრე მიწის მუშაკობას და ხელოსნობას აყენებდნენ მაღლა აღებ მიცემობაზედ, რომელიც ღეთისგან «აკრძალულია» *deo placere non potest*. <sup>3)</sup> ესეთივე შეხედულობა შეითვისა ჩვენმა ეკკლესიამ ღარიბთა და დავრდომილთა შესახებ. დასავლეთ ევროპაში ეკკლესია გახდა თავშესაფარ ადგილად უბინაო და უწყალო ხალხისთვის.

<sup>1)</sup> ბაქრაძე ვახუშტის ისტორია გვ. 143. Brosset Hist. d. la g. I, 303, note. და ჩემი кудотъ огня и предковъ у грузинъ.

<sup>2)</sup> история полит. экономии. Дронъ Ингрэмъ, пер. подъ р. проф. Янруса.

<sup>3)</sup> Boches. geschichte deg National-oekonomie in deutschlaud, стр, 5.

საქართველოშიაც მონასტრები და ტაძრები მსახ-  
ლებდნენ თავიანთ მიწა-წყალზედ უთვისტომო, უმ-  
მულო მოსახლკარეს. საბატონო ყმები იპარებოდ-  
ნენ და გზადიოდნენ საეკლესიო მამულზედ, რად-  
გან ეკლესია უფრო კაცობრიულად ექცეოდა, შე-  
ლავათს აძლევდა ხარჯის გადახდაში, ანთავისუფ-  
ლებდა ან მცირე გადასახადს ადებდა მამულის სა-  
სარგებლოდ. თვით მეფენიც და ბატონებიც საეკლე-  
სიო ყმებს ანთავისუფლებდნენ მომატებული ხარჯი-  
საგან და ამით აიხსნება გლეხის სურვილი ეკლესიის  
ყმად დაწერილიყო <sup>1)</sup>). შემძლებელნი პირნი აშენებ-  
დნენ ეკლესიებს, სწორადენ მაშულოს მონასტრებს  
და თითონ ანუ მისი ძმა, შვილი ყმად ეწერებოდნენ <sup>2)</sup>).  
ეკლესიის ყმა ჩრება თავისუფალ მომქმედ პირად:  
მას შეუძლიან მოწმად ყოფნა, ვალის აღება, მამუ-  
ლის გაყიდვა ეკლესიის ნება-რთვით. <sup>3)</sup> ეკლესიის  
მამულზედ სცხოვრებდნენ გარდა თავისნებით შეფა-  
რებულთა, აგრეთვე ტყვედ ნასყიდი ანუ შესყიდული  
მებატონისაგან. თუმცა ეკლესია უკრძალავდა ტყვეთა  
ვაკრობას, მაგრამ თითონვე მიიღო მონაწილეობა ამ  
აღებ-მიცემობაში იმიტომ, რომ ეკლესიის მუარვე-  
ლობის ქვეშ გლეხი დაიმედებულიყო თავის კეთილ-  
დღეობაში და თავისუფლებაში.

ბატონები სამზღვარ გარეთაც ჰყიდდა ყმებს,  
ეკლესია კი იფარავდა მათ. 1794 წ. შესრვა კრება,  
რომელზედაც ეკლესიამ შეაჩვენა ტყვეთა გამსყიდ-

1) ჩემი «ბუკონეობა» 536. შეად. «გუჯრები» გვ. 1-2,  
26, 28 და 31.

2) «გუჯრები» გვ. 3. კერ. წუძ. 19, 57.

3) «გუჯრები» გვ. 5. კრест. წრ. 29, 56.

ველნი. ამ კრებებზედ დაესწრო კყაზლიდელი ბესარიონი, მიტროპოლიტნი გრიგოლი, ანტონი და სხვ.; კრებამ აუკრძალა ტყვეთა მყიდველთ ქორწინება, ზიარება, დამარხვა. ამ შეჩვენებამ თავის შედეგი იკონია: დაღიანმეპრობა მიხცა, რომ ტყვეთა გამსყიდველთ მიტროპოლიტთა სასამართლს გადასცემდა. <sup>1)</sup> მწმასადამე ეკკლესიის იყო მფარველი ტყვეთა და საერთოდ საწყალოთა. ერთხელ თავ შეფარებული ტყვე, ეკკლესიას აღარ გამოეწირებოდნ. <sup>2)</sup>

ეკკლესიას მამულები ემატებოდა წლითი წლამდე კეთილმოარწმუნეთა შეწირულობის წყალობით. ეკკლესია გახდა მეტად მდიდარი და შემოსუბელი მატონი, ძლიერზ ფერდარი, რომლის ძალდონე, ერთგულება საჭირო შეიქნა სახელმწიფოსთვის. ნოტკორის ეკკლესიას სწირავს მე-VII საუკ. შეუღლე არჩილ მეფის წამებულისა (+ 748) სოფლებს. მუფე ბაგრატ მე-III სწირავს სოფლებს ბედიის საყდარს. ამის შეიღმა გიორგი I (1014—1027) რამდენიმე სოფელი შესწირა მცხეთას, სვეტიცხოველს. დაიბო აღმამენებელმა შესწირა გულათს მამული ლიპარიტთმ, უმკვიდრად დარჩენილმ. თავმარ მეფემ მიუწოდა ვარძიის მონასტერს «მრავლნი და დიდროანნი სოფლები». ამნევე შესწირა მონასტერებს «პალესტინეს და იერუსალიმს». <sup>3)</sup>

<sup>1)</sup> Церк. гудж. 15, Кавказ. стар. III, 7—9. Путев. записки по Мингрелии Р. Эристова. Угед. ქარ. ცხ. II, 71.

<sup>2)</sup> «გუჯარული» გვ. 31.

<sup>3)</sup> «ქართ. ცხ.» I გვ. 134, 214, 218, 245; 317—18; II, 71.

## XIV

სხვა მაგალითებიც ბევრია ქართ. ცხოვრებაში მოყვანილი. <sup>1)</sup>

მამული ერთხელ შეწირული ეკკლესიას აღარ წაერთმეოდა. ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითები შეწირვისა მატთანედან და თუ «გუჯრებს» მივიღებთ მხედველობაში, მათი რიცხვი გაორკეცდება. «გუჯრები შესანიშნავნი არიან მით, რომ იგინი გვიხატავენ მიწის მფლობელობის წესს და რიგს. როგორც წინათაც გვითქვამს — უმაღლეს მიწის მფლობელად ითვლებოდა მეფე და შემდეგ ბატონ-პატრონი. გუჯრით ანუ სიგელით მიცემული ნაზოდები მამული თხოულობდა ამ დოკუმენტის განახლებას ახალ მეფის და ბატონის ხელით. <sup>2)</sup> აწ დაბეჭდილნი გუჯარნი ამ კითხვას ჰყენენ იმავე ნათელს. კათოლიკოზი დიასამიძე იოანე უმტკიცებს «იმავე წესით», როგორც ბატონიშვილს კათოლიკოზს გაერიგებინა «მანგლისის ეკკლესიისთვის». ამიტომ ხელმომწერი კათოლიკოზი ანდერძად აგდებდა, რომ შემდეგ იმავე ხარისხს აღსულთ დაემტკიცებინათ ძველი გუჯარი. ხშირად წყევლას უფლიან, ვინც მოშლის დადგენილს წესს. ამით აიხსნება ერთი იმავე გუჯრის დამტკიცება სხვა და სხვა დროს მცხოვრებელ პირთა შიერ. ნინო წმინდის გუჯრის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებენ წულუკიძე, ქუთათელი დოსითეოს, გაენათელი ეფთვიმე და სამივენი თანახმანი არიან მეფის განჩინებისა, სამივენი წყევლას უთვლიან,

<sup>1)</sup> ქართ. ცხოვრება II, 26, 71, III. ნახე ალექსანდრე გიორგის ძის შეწირულებანი I, 473—4.

<sup>2)</sup> ჩვენი ბატონყმობა გვ. 57.

«ეინც ეს გასტეხოს, წმიდის სამებისაგან შეჩვენებულ  
ლი იყოს სულით და ხორციით». ამგვარივე ხასიათი  
საა ხონის გუჯარი. <sup>1)</sup>

გუჯრის გაახლება, მეფის უმაღლესი მამულის  
ყურისგდება შეადგენენ ფეოდალიზმის თვისებას. ერ-  
თი მხარე საეკკლესიო დაწესებულებათა უახლოებს  
მათ ფეოდალურს წესწყობილებას. მე ვამბობ თა-  
ნამდებობის მემკვიდრეობაზედ. რამდენად მტკიცე იყო  
ეს ჩვეულება საქართველოშიაც, იქიდან სჩანს, რომ  
თვით შაჰაბაზი არ არღვევს მიღებულს წესს და  
შვილს თავის მამის თანამდებობას ფირმანით უმტკი-  
ცებს. <sup>2)</sup> ქიზიყის ასისტავს შერმაზანს ეძლევა თა-  
ნამდებობა საშვილიშვილოდ (ПОТОМСТВЕННО). მეფე  
ირაკლი მეორე ჩოლაჩაშვილს უმტკიცებს საუკუნოდ  
(на вѣчныя времена) მამულს, ყმებს და თანამდებო-  
ბას. <sup>3)</sup> როგორც საერო სამსახური იძლეოდა მემ-  
კვიდრეობით, აგრეთვე სასულიერო თანამდებობაც  
გადადიოდა საშვილიშვილოდ. ოქონის მღვთისი-  
მშობელს ჰყავდა მემკვიდრეობითი დეკანოზი გარსე-  
ვანაშვილის გვარისა (наслѣдственный протоіерей).  
პავლე მღვდელი სთხოვს მეფე გიორგის, რომ „მამის  
სამწყსო“ მიეცეს. მეფემ შეიწყნარა ეს თხოვნა და ნეკ-  
რესელობა «მოშლა და წინააღმდეგობა» მეფისა არ  
მოინდომა. <sup>4)</sup> ამგვარად ჩვენი ფეოდალიზმი ამ მხრი-  
თაც გვაგონებს ცნობილს საშუალო საუკუნოებში

<sup>1)</sup> «გუჯრები» გვ. 24, 26, 30—1.

<sup>2)</sup> Кресть. гр. 88.

<sup>3)</sup> двор. гр. 9, 12.

<sup>4)</sup> Двор. гр. 14 «გუჯ.» გვ. 14.

წესწყობილებას, სამს. ხანას უჩვენებენ ფეოდალიზმის ისტორიაში: 1, მიწათმფლობელთა გაძლიერება და თავისუფალ გლეხთა ყმად გადაქცევა; 2, ფეოდალური წესწყობილება სახელმწიფოსი კესი იგი დაყრფა. დამოუკიდებელ სამთავროდ და 3, ფეოდალიზმის დასრულება, სამეფო უფლების გაძლიერება, ქალაქების განთავისუფლება. 1) საქართველოს ისტორიაში პირველმა ორმა ხანამ დიდს ხანას გასტანა და ისე მოესპო თავისუფლება, რომ გაცალკეებულნი საძეფოების და სამთავროების შემოკრება, დასუსტებულმა სახელმწიფომ ვერ შესძლო. გაძლიერება მიწათმფლობელი არისტოკრატისა— არაგვის, ქსნის ერისთავისა, მაჩაბლებისა და სხვათა, მოჰყვა პოლიტიკურად გაყოფა სამს. სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. 2) რუმელით თავის შხრივ დანაწილდა თავად-ზნაურთა შორის. ამ მდგომარეობაში მოესპო საქართველოს საკუთარ მეფობა. ამით არხსდება ის გარემოება, რომ საქართველოში არ მომხდარა პირედ წოდებული «ქალაქთა მოძრაობა», არ წამოყენებულა მესამე წოდება - მოქალაქობა, რომელიც საფრანგეთში მეფის მფარველობით მოქმედებდა ბარონების წინააღმდეგ და ინგლისში ბარონების დახმარებით მეფის წინააღმდეგ. შედეგი ამ ერთობისა ის იყო, რომ საფრანგეთში განმტკიცდა განუყოფელი სამეფო უფლება და ინგლისში დამყარდა პარლამენტარული წესწყობილება ჯერ საშუალო საუკუნოებშივე. ეჭვი არ გვაქვს, რომ დაახლოე-

1) Eichhorn deutsche verfabugsgeschite. perreus, La democratie eu france.

2) გიორგი მე-VIII დროს († 1469).

ბიბლია შესწავლა საქართველოს ისტორიის გამოკვლევას და დაანახებს ისეთ ისტორიულ წარსული ცხოვრებისას, რომელიც უახლოვდება ევროპაში მომხდარ პროცესს.

თუ აიღებთ ძველს ჩვენს ისტორიას, იქ აღმოაჩენთ კვალს სახელმწიფო უფლებისა, გარდა ზემო აღნიშნული საეკლესიო კრებებისა საქართველოში წინააღმდეგობა აღრეფვესაერო კრებები, რომელთაც ჩაუყარეს საძირკველი ევროპულ კონსტიტუციას, წარმომადგენელთ მმართველობას. მძიმე და შესანიშნავი გარემოება საქართველოს ცხოვრებაში იწვევდა წარჩინებულ პირთა ერთად მოსათქვამად და საქმის გაარჩევად. ასფაგურ მეფეს არ ჰყვანდა შეიღობი, გარდა ასულისა. «მაშინ შეკრებს უკუკლხი ფრისაჲნი ქათლისანი მცხეთას ქალაქსა სპასპეტისათან, რომელსა ერქვა მაიყან» — და ამ კრებაზედ გადასწყვიტეს ძირიან მეფის მოწვევა. <sup>1)</sup> ბაგრატ მეფედ ქართლისა გამოეფინოვეს «ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა». <sup>2)</sup> ვთქვათ საეკლესიო ეს შექვედეს ისტორია ჩვენი ქვეყნისა მაინც ერთდ დასყვნა შეგვიძლიან აქედან გამოვიყვანოფ მემატთანეს წარმოდგენილი ჰქონია, რომ წარსულში საყურადღებო საქმეები ირჩეოდა უკუკლთა დაღეს უფათათან დასწრებით მემატთანე ვერ ხედავდა აწმყოში წარმომდგენელთ მმართველობას ამიტომ მას არ შეეძლო თავის დროეს შეხედულება ვადეჟანა ძველ დროების ისტორიაში, მაშასადამე ზემო მოყვანილი

1) «ქართ. ცხოვ.» 69.

2) იბ გვ. 208.



## XVIII

მაგალითები იმას მოწმობენ, რომ შემატანემ ტრადიციით, გადმონაცემი ცნობით, იცოდა მაინც წარსული წესწყობილება.

ჩვენ გვაქვს სხვა ისტორიული საბუთებიც, რომ დიადი საქმეები ირჩეოდა არა ერის დაუკითხავად. ამიტომ ჩვენ მოვიყენებთ ისტორიიდან ისეთს მაგალითებს, რომელნიც უფრო დაქვემდებარებულნი ექვს გარეშე არიან. თამარ მეფის გახელმწიფებაზედ «ქარცხ.» მოგვითხრობს შემდეგს: გიორგიმ, მამამ თამარისამ «შეიყარა ყოველით სამეფოთ თვისით... შეიღრი თამარ ნათელი და ბრწყინვალეობამ თვალთა, მეფე ჰყო თანადგომითა პატრიარქთა და ყოველთა ეპისკოპოსთათა, დიდებულთა, იმერთა და აძერთა, კახიკთა, სპასპეტთა და სპასალართათა და დასეა მარჯვენით თვისსა მეფე და დედოფალი შემკული და შემოსილი პირად-პირადად ფესვედითა ოქროვანითა ბისონთა და ზეზითა...<sup>1)</sup> და დადგა თავსა მისსა გვირგვინი ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკანითა და სამარაგდოთა მიერ <sup>2)</sup> და მდიდარნი კრასანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა და თვით მეფემან მფიცებელმან ერთგულობისა და ერთსულობისა მისისათვის... აკურთხა კურთხევითა აბრამიანითა» აქედან სჩანს, რომ მეფის ამორჩევის დროს საჭირო იყო დასწრება უმაღლესი სამღვდლოებისა, დიდებულთა, ევზირთა, სპასპეტთა, სპასალართა და მდიდარნი კრასათა. შეადარეთ ამას, თუ გნებავთ რუსეთში ცნობილი კრე-

<sup>1)</sup> შეად. «სიზმარი» პ. ცხვლილოელისა რითქმის ამ გვარადვე სახავს თამარის მორთულობას. «ივერია» 1891 № 207.

<sup>2)</sup> «ქართლ. ცხოვ.» I გვ. 274.

## XIX

ბანი Земскіе соборы, სადაც ირჩეოდა საყურადღებო სახელმწიფო საქმეები, ანუ თვით მეფის დანიშნავს: въ 1584 г. происходилъ соборъ изъ митрополитовъ, архіепископовъ, епископовъ, игуменовъ, высшаго духовенства и всего дворянства» 1) ზოანე მრისხანე შეილის, თეოდორეს მეფედ დასამტკიცებლად. შემდეგ კრებანი უკედ უჩვენებენ ამავე ხასიათს და წრეს ამომრჩეველთა. პროტოკლიუჩევსკი უარჰყოფს 1566 წ. კრების კავშირს ძველს Вѣче-სთან. 2) პრველი იყო კრება ერ. წარმომადგენელთა პოლიკური ხასიათისა, მეორე (Вѣче) რვა კრება ქალაქში მცხოვრებელთ მაინც და მაინც ციბირს-ს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

1598 წ. земскіѣ соборы-მა ამოიჩრია მეფედ ბორის გოდუნოვი. კრება მოხდა პატრიარხ იაკობის თავსმჯდომარეობით. კრებამ ამოიჩრია მერე მეფედ მიხეილ რომონაეი 1613 წ. აქამდის კრებას ჰქონდა ხასიათი რჩევითი, ვეზრობითი (совѣщательный), მიხეილის დროს დასუსტებული სახელმწიფოსთვის წარმომადგენელთა აზრს მიეცა მნიშვნელობა დამფუძნებლობითი (учредительный). აქტები იმ დროიდან ჩვენამდე მოღწეულნი გვაუწყებენ შემდეგს: „государь съ отцомъ своимъ патріархомъ, совѣмъ освященнымъ соборомъ съ боярами и думными людьми и совѣми людьми Московскаго государства учинивъ соборъ о тѣхъ статьяхъ гово-

1) Латкинъ. земскіе соборы древней руси. спб. 1885. 83. 85—9.

2) Рус. мысль 1890 г. январь.

რილი...<sup>1)</sup> შეადარეთ ეს ამონაწერი «ქართ. ცხ.» სიტყვებს შესახებ თამარის მეფედ აღვიარებისა; ერთი და იგივე წარმომადგენელთა დასწრებით სწყდება სახელმწიფო კითხვები. რასაკვირველია, არც რუსეთში და არც ჩვენში არ იყო მტკიცედ განწესებული რიტუები საერო და სასულიერო ანუ სამთავრო წარმომადგენელთა. ამიტომაც ძნელია დაუპირდაპირდეს რუსეთის земские соборы და ჩვენი კრება ევროპიელთა პარლამენტს, საცა რიტუები წარმომადგენელთა მაგალითად, ინგლისში და საფრანგეთში<sup>2)</sup> აღნიშნული იყო. ჩვენ ვუჩვენებთ მხოლოდ იმნიადაც, რომელზედაც აღმოცენდებოდა საქართველოში კონსტიტუცია. ამით გვინდა გვეთქვა, რომ ხვენი მმართველობა არ წააგავდა აღმოსავლეთის სუფერებს და მოჩანდა ჭეალი წარმომადგენელთა მონაწილეობისა სახელმწიფოს განგებში.

ჩვენ მივაქციეთ ყურადღება თამარ მეფის ამორჩევის ხასიათს და არა ასფაგურ და ბაგრატ მეფეთა შესახებ ცნობებს, რომ მკითხველი უფრო დაქვემდებარებით შეხედავს «ქარ. ცხ.» სიტყვას. თუ უძველესი ნაწილი საქართველოს ისტორიისა საეკვია და ჩვენი მათიანე მე XI—XII საუკუნოებში შემდგარი,<sup>3)</sup>

1) ნახე კიდევ Сергѣевичъ: земскіе соборы, загоскинъ исторія права, гдосуд, московск. платоновъ, замѣтки по исторіи земскихъ соборовъ და სხვა.

2) guillot. hist. des origines du gouvern represent. (примавъ и стѣбсь. опыты по исторіи англійской конституціи, брайстъ, исторія американ. республ. ч. II.

3) ესრედ წოდებული სომხური ქრონიკა თავდება დავით აღმაშენებლის სიკვდილით 1125 წ. ამის დროს უნდა იყოს იგი ნათარკმნი ქართულიდან სომხურად

მაშინ თამარ მეფეზედ ცნობის ხომ ისტორიულ ფაქტად უნდა ვაღიაროთ და კრების ამბავი მოვილოთ ნაძღვილ ცნობად. ამას არ ეწინააღმდეგება აღრიხდელი შეხედულება კრებაზედ და ისტორიული პრესექტივით შეგვეძლოს იგივე საქვეყნარტოდ ვიცნაოთ, თუნდა კვდეუ იყენენ ისეთი პირობი, რომელნიც წაბერდის აღრებული დაბეჭდვის შემდეგ. ეჭვს შეუტენ „ქართ. ცხ.“ სიხველის სინამდვილემ.

მიუბრუნდეთ ახალი დროის ფაქტებს. რუსულან დეპოტალი რომ გადმოცვალა (1817 წ.), საქართველო უჩვეოდ დარჩა: ერთი დავითა გორკი ლამის შეილი დაიკარგა იკონის საპრობილეში და მეორე დავითი, მე რუსულანისა ნონეთი გავზაფხესს ყარაყურუმში, თათართა სატახტო ქალაქში. 1) თურქებმა დარგებლეს ამ შემთხვევით და წამოვიდნენ საქართველოს ასობრებლად. 2) ადამ შეოთთა შინა იყო ქვეყანა საქართველოსა შეკრისეს უაგელნი მთავრნი საქართველოსანი თაგსა კობისასს, იმერნი და ამერნი. შანშე, ეგარსლან, დადიანი ცოტენი, ვარამ ხაგელი, ყვარყვარე, კუპრო შოთა და ქოგელი ჭერკანნი ქართველნი თარგელი გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაგელნი იტყოდეს, რამე იყოთ, რამეთუ არღარა არს ნათესავი მეფეთა, რათა წინამძღვარ გეექმნას და გმრადეთ თათართა. 3) საქართველოს გქორებულმა მდგომარეობამ გამოიწვია ყოველთა მთავართა საქართველოსათა და წარმომადგენელთა სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებისა კრება თათ-

1) „ქართ. ცხ.“ 1 გვ. 366—374.

2) ვახუშტი პაქრაძის გამოცემა გვ. 235.

3) „ქართ. ცხ.“ 1 გვ. 375.

რებოან ბრძოლისთვის მოსამზადებლად. ამ კრებაზე-  
დევ გადაწყვიტეს დავითის, ლაშას შვილის მოძებნა  
და მეფედ დასმა. ერთს გარემოებაზედ უნდა მივაქ-  
ციოთ კიდევ უურადლება. როცა ორივე დავითი გა-  
მეფდნენ, მაშინ სიგელები ორთავეს ხელმოწერით  
მტკიცდებოდნენ. «მეცა მინახავს რომელი სიგელისა  
თავსა სწერია მეფენი ბაგრატიონნი ნებიითა ღვთისათა  
დავით და დავით. <sup>1)</sup> შემდეგ კრების კათოლიკოზის  
აბრაჰმისა, და უოკელთა მთავართა მეფე დიმიტ-  
რი თავდადებულის დროს. <sup>2)</sup> (+ 1289). კრება  
უოკელთა დადებულთა შეპტიცებს ვახტანგს, ძეს დავით  
იმერეთისას ერთგულებაზედ. <sup>3)</sup>

ამ საკითხის დასამთავრებლად აი კიდევ რამდე-  
ნიმე მაგალითი. ზოგს ამათვანს მხოლოდ «ქარ. ცხ».  
გვერდით ჩვენებით მოვიყვანთ და ზოგს კი ამოვწერთ.  
ეს კითხვა იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ არ  
გვინდა ამით გაეთართ მისი გადაწყვეტა. რაკი საეკ-  
კლესიო კრებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ამიტომ გავ-  
ბედეთ საერთოდ კრებაზედ ბაასი. ეხლა კი აი კიდევ  
მაგალითები მათ გარდა, რომელნიც საეკლესიო კრე-  
ბის მოთხოვრებაში აღენიშნეთ და დასამტკიცებლად  
უჩვენებთ მატთანეს ფურცლებს. <sup>4)</sup> ვახტანგ მე- V,  
ანუ შაჰნავაზმა აკურთხა ძე თვისი არჩილ მეფედ  
იმერთა «შემოკრებულთა იქეთა ნებითა». ძალღო-  
ნი იმოდენა ჰქონდა ამ კრებას, რომ შეიძლოა მეფის

<sup>1)</sup> «ქარ. ცხ.» 1, 382. ვახუშტი გვ. 238.

<sup>2)</sup> «ქარ. ცხ.» 1 გვ. 421. შეად. ილ. ჭავჭავაძის ჰომეა  
დიმიტრი თავდადებული.

<sup>3)</sup> «ქარ. ცხ.» 1, 425.

<sup>4)</sup> «ქარ. ცხ.» I, 431, 449, 450. II. 11. 21.

განდევნაც. «წარჩინებულნი და ერისბაენი შეიზრახნენ და არა ინებეს მეფედ თვისად ბაგრატ, ვინადგან განდგნენ სხვანიცა და გამოირჩიეს მუნვე მყოფი ერი-სთავთაგანი ანუ გამოკვლეული ჩვენი ესე მეფის ზღვესანდრეს ძის დიმიტრის ძე დავით». აქ ჩვენ შევეტაკეთ საკითხავს, როგორი წესი იყო საქართველოში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ? პასუხის მისაგებლად საჭიროა ცალკე წერილი და ეხლა კი ის კმარა ვიცოდეთ, თუ რა დიდი დი შესანიშნი გავლენა ჰქონდა დიდებულთა კრებას. <sup>1)</sup> ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ყველგან, საცხ თეოდალური წესწყობილება ყაფილა, მეფე არ ყოფილა აღჭურვილი განუსაზღვრელი უფლებით, იგი იყო თანასწორი თავის ქვეშევრდომ ვასალებისა (მთავრებისა). იგი იყო მხოლოდ პირველი მათში *primus inter pares*, და არა უფროსი. თეოდალურ წესწყობილების გავლენით მეფეს ძალა დაადგა შეეკრიბა წარმომადგენელთა წრე (*etfisa generaux*) და მიეცა ის მტკიცე ხელწერილი მათ უფლებათა შესახებ, როგორც იყო *Maguia chartia libertatum* 1215 წ. ილანეს ინგლისელ ბარონებისთვის. ჩვენში თეოდალი ძლიერები იყვნენ და არ იყაბულებდნენ თავიანთ განდევნას სამეფო საკითხვების გადაწყვეტაში. ეს საკითხავი იმდენად საინტერესოა, რომ მისი დაწერილებით შესწავლა ჩვენს მოვალეობას შეადგენს. ჩემთვის კი აშკარაა, რომ ჩვენი მეფის უფლება არ იყო განუსაზღვრელი, იგი იყო შებოჭილი სამღედელთა და საერო მთავართა გავლენით და იძულებული იყო მოეწვია

<sup>1)</sup> ყმათა ესე იგი საერთოდ ერის გავლენის შესახებ ნახე «განჯანგის განონები» § 2.

იგინო საბჭოედა რადგან მთაღოუკითხიად ძალღონე ვერ  
შესძლოება სამეფო საქმეებოჲს გაძლოღოსთვის. საქარ  
თველოს ფეოდალიზმის ისტორიაჲჲ მოხსენს კვალი  
იმ წესწყობილებისა, რომელიც ძარხულად დაედო  
პარლამენტარულ მმართველობას. <sup>1)</sup> ამას მოწმობს  
ვახტანგი საქართველოში ბევრჯერ მამხდარა მფეფ  
თა ისეთი დამდაბლობა და შებოქვა, როჲც „სახელი  
მეფე რქქეიათ, თორემ მართებული თორე უქნეინე-  
ბიით-რე როგორც ყმათა სადამქებათ ისრე უსამარ-  
თლებით და ურიგებიათ». <sup>2)</sup>

მეფენი არამც თუ სწირაედენ მამულებს მონასტ-  
რებს, არამედ თითონაც იკვეცებოდენ ბერად. მეფის ჩა-  
მომავალნი, წარჩინებულნი თაჲვადნი და აზნაურნი ხში-  
რად სტოებდენ სოფლის ამოვებას და ეძებდენ სკლის  
საცხთებლად ბინას უღდაზნო შოდა მონასტერში. ამ ერ-  
თობამ ჩამომგელობისკამ საერო და სასულიერო  
ხრისტოკრატისა დაიცვა საქართველო წარსულში  
ბერი ვაებისგან და შემდეგ უთანხმოებამ მათ შორის  
ბოლო მოუღო საქართველოს თავისუფლებას. ზო-  
გერთა ცნობების შესახებ მეფეთა მონაზონთა საქარ-  
თა მოვიყვანოთ. გუარამ მამფალი «იქნა მონაზონი»,  
მეფე «ალექსანდრემ სახე მონაზონისა შეიმოსა და  
უწოდეს სახელად ათანასე, კოსტანტინეს მეფის ძემ  
დაეითმა განიხილა სოფლისა სიმუხთლე, დაუტევა  
მეფობა და იქნა მონაზონი <sup>3)</sup>». ამისმა ძმამ მეფე  
გიორგიმაც დაუტევა მეფობა და თვით შევიდა მო-

<sup>1)</sup> ნახე კიდევ «ქარ. ცხ.» I, 465. მეფის მოკვლა I, 472.

<sup>2)</sup> ვახტანგის განონები § 2.

<sup>3)</sup> «ქარ. ცხ.» I გვ. 192, 474. II, 20.

ნასტერსა და იქმნა მონაზონ. მეფე ალექსანდრეს დაჲ შაჰაბაზის დროს იყო ენკრატორად და სცხოვრებდა ალავერდს. მეფე თეიმურაზი I გარდაიცვალა ასტრაბადს «შემონაზნებული და სქემოსანი». <sup>1)</sup> საკმარისია კიდევ დავასახელოთ ანტონ I კათოლიკოზი, ქარსლის მეფისა იასესი, ანტონ მეორე კათოლიკოსი, ძე ირაკლი მეორესი, მიტრაპოლიტი ვარლამ ერისთავი, კათოლიკოზი იოანნე დიასამიძე, ფოსტა თარხნიშვილი, დომენტი ორბელიშვილი და სხვ. <sup>2)</sup> უმაღლესი თანამდებობა საეკლესიო იერარქიაში ეჭირათ მთავართა და თავადთა ჩამომავალთ. ესენი ასრულებდნენ, გარდა საეკლესიო მოვალეობისა, აგრეთვე საერო საქმეებსა. ჰყონდიდელი მწიგნობართუხუცესად ინიშნებოდა. <sup>3)</sup> მეფეწულნი ეძლეოდათ მათ საზრდელად. (ეს მოვალეობა წინათ გადადიოდა სპასპეტზედ). <sup>4)</sup> ვიზანტიაში ხშირ იყო ჩვეულება მეფეთა ბერად აღკვეცისა. განდევნილი მეფე ან ძალით, ან თავის ნებით ეფარებოდა მონასტერს. დედოფლები, თავჯანყებულნი თავიანთ ვეირგეგნულნი ქმართაგან, იგზავნებოდნენ მონასტერში. სენაკს იმ დროს საპყრობილეს ადგილთ ეჭირა. <sup>5)</sup> (Безборъзовъ. Михайль Песель).

რაკი მონასტრების უფროსნი და გამგებელნი იყვნენ წარჩინებულნი პირნი, ამიტომ მათ ეძლეოდათ შელავათი და თავისუფლება სხვა-და-სხვა ხარჯ-

<sup>1)</sup> «ქარ. ცხ». II, 22. 3. 126.

<sup>2)</sup> გუჯრები გვ. 3, 724 და სხვ.

<sup>3)</sup> «ქარ. ცხ» I, 293, 304.

<sup>4)</sup> «ქარ. ცხ.» I, 110, 112, 146.

<sup>5)</sup> Скабалоничъ Византийскаѣ църковъ. Слѣбденъ Черты изъ Виз. жизни.

თავან სახელმწიფოს სასარგებლოდ. ან თავიანთ სულის საზღად, ან მონასტრის და ეკლესიის საშახურის დასაჯილდოებლოდ შეღავათი ეძლეოდათ მეფეთა და მთავართავან სამღვდელო იერარქიას. საეკლესიო გუჯრები ამას მტკიცედ მოწმობენ. <sup>1)</sup> შეღავათს აძლევდენ ეკლესიას თვით მაჰპადიანნიც. ნადირშაჰი ამტკიცებს კათოლიკოზად ნიკოლოზს თანახმად მონარქიის ვალის თეიმურაზის, სამღვდელთოთი და თავად-აზნაურთა და უნიშნავს ჯამაგირს 1000 მ., რათა არ მოაკლოს შაჰის სულისთვის ლოცვა. შაჰი უბძანებს თავად-აზნაურობას იცნან კათოლიკოზად ნიკოლოზი, ბეგლარბეგს და ქართველებს — მის პატივისცემას და ღირსეულად მიღებას. (1742 წ.). ამავე გვარად თანახმად ხაჯხას აქოღ. ჩეგბსა იმავე ჯამაგირით ამტკიცებს კათოლიკოზად ანტონს, დისწულს ვალის თეიმურაზისას. შემდეგ შაჰმა უწყალობა ანტონს კათოლიკოზს შესამოსელი და ტანთხაცმელი. განსაკუთრებითი ფირმანით შაჰ-ნადირი უნიშნავს საქართველოს ეკლესიის კათოლიკოზს ყველა იმ სოფლებს, რომელნიც მას ეკუთვნოდნენ, ნებას აძლევს კათოლიკოზის სურვილით შეიკრიბოს და მოხმარდეს ეკლესიას მამულების შემოსავალი. ამასთანავე უბძანებს *ВАЛІЮ КНЯЗЬЯМЪ, СТАРШИНАМЪ И ВСѢМЪ ЖИТЕЛЯМЪ* იქონიონ პატივისცემა კათოლიკოზისა, ეკლესიის განგებელისა, როგორც ამის შესახებ ყოფილა ბძანება ქართველთა

<sup>1)</sup> «გუჯრები» церк. грам. Пурцеладзе. Древности Тифлиса Исселіани, voyage archéologique და Introduction brosset. Азты, стр. 9 ■ 59.

მეფეთაგან. 1) აქედან სჩანს, რომ ჩვენი ვასსალური დამოკიდებულება სპარსეთთან ისეთი ხასიათისა იყო, რომ თავისუფლება არ ესპობოდა საქართველოს შინაურ საქმეთა წარმართვაში. შაჰი ამტკიცებდა მას, რაც მიღებული იყო ჩვეულებით და რასაც ხალხი და თავად-აზნაურობა სამღვდელოთურთ დაადგენდა.)

სულთანნი აგრეთვე მტკიცედ იცეავდა ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობას. სულთან ახმედ 1726 წ. უბძანებს ისაჯ ფაშას ტფილისის მმართველს, რომ, რადგან საქართველოს პატრიარხის დომენტის თხოვნა შესახებ გაქცეულ ყმათს დამყარებისა საეკლესიო მამულზედ არ იქმნა აღსრულებული აქამდის, დაუყონებლივ მიიღონ საშუალება რიგისა და წესებისა და ყმათა დაბრუნებისა კათოლიკოზთა სურვილი ასევე დომენტის რეჯე ფაშა ამტკიცებს კათოლიკოზად და უბძანებს ქართველებს მის მორჩილებას. ერთი თირმანი 1707 წ. 2) კარგად ასურათებს, რა დამოკიდებულება იყო ეკლესიის და საერო გაშვებელთა შორის. ჩვენი კანონმდებლობის შესხედუბები კათოლიკოზი იგივე ხელმწიფეა სულისა, როგორც მეფე—ხორცისა 3) და ეკუთვნის სრული გაგებლობა ეკლესიისა: ამასვე მოწმობს ზემო მოხენებული თირმანი: ჩვენი ბრძანება არის, სადაც საქათალიკოზო სოფლები და საყმო არიან

1) АКТЫ Кавказ. археогр. ком. т. I, стр. 73—8.

2) АКТЫ Кавказ. археогр. ком. I, 71—3. ავი-სუფლად მიცემული საჩუქარი შეიძლება. АКТЫ I, 35, შეადარე donation.

3) ვახტანგის კანონები § 25.

4) АКТЫ I, 28.

სულ ერთობლივ... ისევ მისთვის დაგინებებია და წყალობა გეიქნია; აწ რაც საქათოლიკოზო სოფლების-საქმე იყოს უიმისოდ ნურა იქმნას და მის ხელითა და მარიფათით ვარიგდეს. მაშასადამე კათოლიკოზს ეკუთვნის არამც თუ საეკლესიო საქმეების გარჩევა, არამედ აგრეთვე საეკლესიო ყმების და სოფლების ბკობა. ესრედ წოდებული მცხეთის შეილები <sup>1)</sup> გვაგონებენ რუსეთის ისტორიაში ცნობილთ церковные или богательные люди! — ესენი ეკლესიას ეკუთვნოდნენ.

ეკლესია — მონასტრებს ეკუთვნოდნენ თავდაზნაურნი, გლეხნი ყმად შესრულნი და ნასყიდნი. მაშასადამე ეკლესია — მონასტრები თავიანთი მამულე<sup>2)</sup> ით და ზედ დასახლებულნი ქვეშევრდომებით წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში, რომელსაც თავისი კანონები და წყობილება ჰქონდა. ასე იყო რუსეთშიაც, სადაც ეკლესიას ჰყავდა თავის бляфе, вольные люди, горожане. ქრისტიანობასთანვე ტრცელდება აზრი ეკლესიის თავისუფლებისა და მისი იურიდიულად გაწყობისა. კათოლიკოზი აღვიარებულ იქმნა უფროსად სამღვდლოებისა და იმ პირთა, რომელნიც საეკლესიო მამულზედ სცხოვრობდნენ. <sup>2)</sup> იგი იყო უამგებელი ეკლესიის შემოსავალ-გასაღებისა, მამულის განაწილებისა, მსაჯული საეკლესიო და საერო საქმეებისა თავის მოყმეთა შორის. მას და არქიელს საერთოდ ეკუთვნოდა «ნოშანბ» ანუ სამკვიდრო, როგორც ახლა ჩვენ ვეძახით წილკნის «გუჯარი» ასაკმარისად მოწმობს,

<sup>1)</sup> brosset. lutraduction CXXXVIII და სსვ.

<sup>2)</sup> Законы католиковъ შეად. აგრეთვე ვახტანგის კანონი § 24.

რამდენად ცდილობდნენ სწორედ გაენაწილებინათ და კანონიერად გადევნიეს, რა შეადგენდა ნიშანს შეძლებისა და მდგომარეობის მიხედვით მთელი ნიშანი: «ცხენი შეკაზმული, გარდასახურავი ორი, სუფრის იარაღი—ესენი წილკნელს მიაართონ. ქალი თუ მოკვდეს საწირავი ნიშანი ტყავიანი ტალომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახური, ორი გარდასახურავი. <sup>1)</sup>

თუმცა ეკკლესია წააგავდა სახელმწიფოს თავის მცხოვრებელთა წევრებით, მაგრამ განსხვავება მათში კი საგრძნობლად მოსჩანდა. ეკკლესია ქრისტეს მოძღვრებით აღჭურვილი ნაკლებად სასტიკი მებატონე იყო. ეკკლესიის ყმობა ერჩინა გლეხს, ვიდრე ბატონისა ვნუ მეფისა. რაკი არ შეიძლებოდა ყველა ყმებს და უპატრონო—უბინაო პირთა ეკკლესიის პირდაპირ მფარველობით ესარგებლათ, ამიტომ სამღვდელთა ცდილობდა შეემცილებინა ის მძიმე უიელი, რომელიც ედო ყმას ბატონის გასაძლოლად. ეკკლესიამ კეთილი გავლენა იქონია მებატონეებზე და ყმათა ბედის გაუმჯობესებაში, ამოჰკვეთა ტყვეთა ვაჭრობა, ღვთისთვის სასიამოვნო საქმედ აღვიარა ყმათა <sup>2)</sup> განთავისუფლება და ამგვარმა შეცდინებამ არ ჩვიარა უნაყოფოდ როგორც ევროპაში, რუსეთში, აგრეთვე ჩვენშიაც. ზნე-ჩვეულება შეიცვალა ქრისტიანობის გავლენით მთელს ხალხში. ამით აიხსნება ზაროასტრის (აკესტრის) სწავლის შესუსტება საქართველოში და თანახმად საეკკლესიო კანონებისა ქორწინების შემოღება ნათესაობისა არ

<sup>1)</sup> «გუჯრები» გვ. 41.

<sup>2)</sup> broset. lutrad. CXXXV—CXLIX.

მქონე პირთა შორის წინააღმდეგ ავესტისა, რომელიც თხოულობდა ნათესავეების დაკავშირებას ცოლქმრობით. <sup>1)</sup> ეკკლესიამ იცნა ცოდოდ უკანონო მეუღლეება, დაუნიშნა ჩაქოლოვა იმ პირთ, რომელნიც სისხლით ან მირონით ნათესაენი იყენენ და სცხოვრობდნენ უკანონო კავშირით. <sup>2)</sup> ეკკლესიამ დამართა სასწაელებლები და მოჰფინა მამულს შუქი განათლებისა.

აქ დაბეჭდილი «გუჯრები» გადმოწერილია «საეკკლესიო მუზეუმის» გუჯრიდგან. ზოგიერთი კი გადმოეწერე ქ. გორში კერძო პირების საკუთარ გუჯრებიდან. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა გადათვარიელება დანარჩენი გუჯრებისაც «საეკკლესიო მუზეუმში» და ამიტომ იძულებული ვიყავით დაგვებეჭდა ეს მაინც, რის მოსწრებაც მოვახერხებთ არ მგონია, რომ დამენდუროს ვინმე, რატომ საერთოდ «საეკკლესიო მუზეუმის» გუჯრების გადათვარიელებას არ უცდბი. ჩემის აზრით ერთმანეთში ამ „გუჯრებს“ დამოკიდებულება და კავშირი არ აქვთ და უნდა ვხსურვოთ მხოლოდ, რომ დანარჩენი „გუჯრებიც“ ჩქარა იქმნან აღბეჭდილნი.

<sup>1)</sup> Ковалевский. Законъ и обычай на Кавказѣ I, 153.

<sup>2)</sup> законы Пахтанга, стр. 141. Актъ 1549 г. за преступную связь съ лицами, находящимися въ естественномъ и духовномъ родствѣ, виновные имѣють быть побиты каменьями.

გუჯრები და სიგელები ძვირფასი ისტორიული განძია და მათი უყურადღებოდ დატოვება შეუნდობელი ცოდობა.

«გუჯრები» ჯერ «მწყემსში იბეჭდებოდა და ეხლა ცალკე წიგნად გამოიცა. ვალად ვრაცხ გულითადი მადლობა გამოვუცხადო «მწყემსი» ს რედაქტორს დეკ. დავით ღამბაშიძეს, რომელმაც იტივართა «გუჯრების» გამოცემა.

ა. ხახანაშვილი.



# გ უ ჯ რ ე ბ ი



## ს ი ო ნ ი ს ა.

1533 წ. <sup>1)</sup> ჩვენ ბაგრატიუნთა ძეთა კუროთხეულისა პატრონისა ალექსანდრესთა პატრონმან კონსტანტინე დამათა ჩვენთა ესე უკუნიამდის ჟამთა გასათავებელი წიგნი სიგელი და ნიშანი მოგახსენეთ თქვენ ყოველად

<sup>1)</sup> პლ. იოსელიანს თავის თხზულებაში „Древности Тифлиса“ გვ. 213 მოჰყავს შინაარსი ამ გუჯრისა, რომელიც დამტკიცებულია მეფის ხელის მოწერით. დ. ფურცელაძეს არ აქვს მოხსენებული ეს გუჯარი თავის წიგნში „Церковные гуджари“. პლ. იოსელიანი („პატრონს“) კონსტანტინეს სთაგონის „მეფედ“ („грамата царя Константина“). მაგრამ ამ დროს 1525—1535 წ. მეფობდა გიორგი IX, შვილი კონსტანტინე მე-III და ძმა დავით მე-VIII. მეფე კონსტანტინე 1533 წ., რომელსაც ეკუთვნის გუჯრის თარიღი („ქართლის-ცხ ავრებაში“) არ არის ცნობილი. ეს („პატრონი“) კონსტანტინე უნდა ყოფილიყო ჩემის აზრით შვილის-შვილი ალექსანდრესი, ძმისა მეფე კონსტანტინე მე-III და შვილი ალექსანდრესი, ძმისა მეფე გიორგი მე-IX. ამიტომაც გუჯარს ეს პატრონი კონსტანტინე იხსენიებს „ძეთა ალექსანდრესთა“.

სულისა მოსახსენებლად და სადღეგრძელოდ ჩვენთვის და ცოდვით ჩვენთა შესანდობლად. და შემოგწირეთ მცირე ესე შემოსაწირავი ქალაქური ლიტრითა ორი ლიტრა სანთელი და ერთი ლიტრა საკმელი ტალმი სან ესე ყოველ წელიწადთა უკლებლად მოგეხსენებოდეს და არა დაკლდებოდეს და არა შეგეცვალოს და არცაოდეს შოგეშალოს და დამაშტკიცებელნი ამისნი ღმერთან აკურთხნეს, დაიწერა სიგელი ესე ქო.სა სმპ ხელთა ისიდორესითა.

ს ი ო ნ ი ს ა .

1634 წ. <sup>1)</sup> შ: ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ. დედოფალმან პატრონმან მარიამ ესე წყალობისა და თანახმობისა წიგნი გიბოდეთ თქვენ ქალაქს სიონთა ღვთის მშობლის ყმათა ასრე რომე ამას წინათაც ხელმწიფეთაგან თარხანნი იყვენით ახლა თბილელი და სათბილელიო ყმა ჩვენ პირის სანახავად მოგეართვეს აწე ჩვენცა გათარხნეთ და გაგათავისუფლეთ რომე არაფერი არა საჩვენო და არა სანეფო და არა სათათროს სათხოვარი არა გთხოვებოდეს და არა მიზეზითა და არა უმიზეზოდ არც მოუწავს, და არც მამასახლისსა და მელიქსა და ნაცვალსა და გზირს და ვინ გინდა ვინ კარით ჩვენით წარვლენილნი იყვენეთ ნურცავინ

<sup>1)</sup> პლ. იოსელიანს უცვლომით ამ გუჯრის თარიღი აღუნიშნავს 1637 წლად. ქორონიკონი ტებ=1634 და არა 1637 წ. (Иренисти Тифлиса, გვ. 208) დ. ფრცველაძის აღმუშავებული გუჯრული გუჯარი არ მოიპოება.

სასოსა და შესავედრებელსა ჩე ნსა სიონთა ღეთის-  
მშობელსა კურთხეულისა პატრონისა მაჰისა ჩენისა  
თქვენ დაიდებთ ხელს რარიგადაც საყდარსა და თბი-  
ლელს ეპრიანებოდეს იმ გვარად იმსახურებდეს. დაი-  
წერა წიგნი და სიგელი ქრონიკონსა ტკბ (1634 წ.)

მარიაჲ.

### ს ი ო ნ ი ს ა .

1666 წ. ნებიტა: . და: . შეწეენიტა: . ღეთისათა: .  
და მეოხეზიტა: . სიონთა: . ღეთის: . მშობლისათა: .  
ესე: . წიგნი: . მოგართვით: . თქვენ: . სიონთა: . ღეთის: .  
მშობლისა: . და შენ: . ზედა: . საჭეთ: . მკურობელსა  
თბილელ მოაგარ: . ეპისკოპოსსა: . იოსებს: . ასრე: .  
რომე: . კურთხეულმან: . თბილელმა: . ელისე: .  
საყდრის: . ალაგი: . მიოძა: . და: . მე: . აღვაშენე: .  
და: . ჩემი ძმა: . იმას: . ვაყმე: . და: . მასუკან: . მე: .  
ჯვარის: . მამად: . დამაყენეს: . და მერმე: . მე: . ჩემი: .  
ძმა: . აბლულმესი: . ბატონს: . ციცის: . ვაყმე: . და: .  
მე: . იერუსალემს: . წაველი: . და: . ის: . სახლკარი: .

1) იოსებ თბილელი თარხნიშვილი დიდ მოურავის ჩა-  
მოძაველი იყო. მან დასწერა ღიქსად ისტორია თავის გვარისა  
(გამოსცა პლ. იოსელიანმა 1851 წ.) ელისე თბილელი გუ-  
ჯარში მოხსენებული გვარად საგნაშვილი იხსენიება 1628 წ.  
მის და იოსების შუა თბილელობდენ: ბერძენი კირიაკე და  
გარნავა. ეს გუჯარი შესანიშნავია მით, რომ ძმას შეეძლო  
ქმის ყოვლად გადაცემა ეკატესიისთვის. იოსების შემდეგ თბი-  
ლელობდა სიგონი და შემდეგ ღიქსად ვი მესამე, რომელიც  
შეგვხვდება შემდეგ გუჯარში.

თქვენ: მოგაბარეთ: ამანათად: რომ: რაც: ქირა: აიღოთ: ნაშენებისა: მე: შემინახოთ: საყდრის: წილი: და სამართალი: რაც: იყოს: თქვენი: დაიჭიროთ: და ვინ: იცის: ჩემი: ძმა: იქ: ვეღარ: დადგეს: და ჩამოვიდეს: თქვენ: ქირით: სახლკარი: სადმე: უშოვეთ: და იმ: სახლების: ქირისაგან: იმას: ქირა: მისცეთ: და თუ: მე: მოვიდე: ჩემის: ნაშენები: და თუ: მე: ვერ: მოვიდე: შენების: ნახევარის: ფასი: ჩემს: ძმას: მიეცით: და ნახევარი: სიონთა: ღეთის: მშობლისათვის: ჩემისა: სულისათვის: შემიწირავს: ჩემის: სულის: მოსახსენებლად: რომე: ბატონი: თბილელი: და სრულა: სიონთ: კერზო — კრებულნი: შანდობით: მამიგონონ: და თუ: ვაჭარი: აიჩნთ: და გაჰყიდით: ნახევარი: ფასი: ალაგისა: და შენებისა: ჩემთვის: არის: და ნახევარი: სიონთა: ღეთის: მშობლისა: იყენს: რაცა: იყოს: და თუ: ბევრთ: და კარგად: გაეყიდოთ: ორთავეს: სარგებელია: და თუ: არ: ორმოცდა: ათს: თუმანსა: ქვედს: ნუ: მისცემ: და ნახევარი: ამისა: ფასი: მე: შამინახეთ: და ნახევარი: და თქვენის: საყდრისა: და თუ რამ: შეტი: წამოვა: ჩემის: სულისათვის: სიონთა: ღეთის: მშობლისათვის: შემიწირავს: როგორაც: ზემოთ: გვითქვამ: თბილელი: და მისნი: კრებულნი: მამხსენებდენ: წირვაში: და მალლობას: მეტყოდენ: და ამ რიგათ აღსრულებდნენ: აწე: არის ამის მოწამენი: და დამსწრენი: ხელმწიფეს: ყვანი: გულ: ფაშა: შეილი: დავით: და დერა: გრიგორაშვილები: მარტიოზა: და მისი: ძმანი: და შანშეშვილი: ხოსინა: და მისი: შვილები: და სრულნი: სუდრის ყმები: ანბროსა:

*საყდრის*

შვილი. მაზარებელი. და ანბროს. და შევლაკაშვი-  
ლი. მამუკა. და ბეგალა. ანტონა. და სრულ.  
ერთ. პირად. სუდრის. ყმები. და შემრე. ჩემი. კერ-  
ზოს. სახლის. ფასი. რომე გაისუდროს. ნახევარი.  
ანბროზს. ანბროსაშვილი. აღას. კალი. და. ნახე-  
ვარი. ანტონამან. აღას. ვალი. ასრე. რომე. თუმ  
ნის. თავსა. თევში. ერთი. შაურას. სარკებელი  
მომცენს. სანამდინ, ჩემი. თეთრი. მაგათის. ხელთა,  
იყოს. და რაწამ ჩემი თეთრი მაილომ. და სოხოვო.  
მაგათ. უმიზენად. მომცენ და უკლებლად. თავისის,  
სარგებლითა, არცა ეიცი. ღმერთმან, ნუ ქმნას, და-  
კარგვა, და არც. წახდინა: . რისმე მეზენისაგან. არა,  
იყოს. რა. და თუ. მაგას. და, ძმა. პირობა. არ  
ვათაფონ: . ჩემის. ცოდვის, მზღველნი. იყვნეს: . ბა-  
ტონი, და ყმანი, და. თუ. მართლად. ეაი. კვარად: .  
გათაფნ: . ამა პირობა, ღმერთმან, აღდეკრძელონ, და,  
შაუნდნეს, და. წმინდათა, ადგილის. მადლი. შეა-  
წიოს. ამინ. ამინ. აღასრულა, ესე. მრას, ბზდ: .  
ათ თოთხმეტსა. მაისასა.

ს ი ო ნ ი ს ა .

1727 წ. ქ. სახელითა სახიერისა არსებისა  
დაუსაბამოსა მამის და ძისა და სულისა წმიდი-  
სათა და შუა მდგომლობითა ყოველად უბიწოსა  
წმიდისა სიონთა მღვთის-მშობლისათა ესე უკუნი-  
სამდე ჟამთა გასათავეელი მტკიცე და უცვალებელი  
წიგნი და ნიშანი მოგართვით ჩვენ ღმრთეს შვილს  
ტფილელ ბოღნელ მიტროპოლიტმან დომენტიმ და

ერთობილთ სიონთა ღვთის-მშობლის კრებულთ  
თქვენ ღვთის მოყვარესა და მართლ-მადიდებელს  
ამილახორს ბატონს გივს მას ჟამს ოდეს ალაოხრეს  
ლექთა ტფილის ქალაქს სიონთა ღვთის-მშობელი  
შემდგომად მათსა დაიპყრეს ქალაქი და ქვეყანა ქართ-  
ბა კომლზედ ღრამა კოლი ერთი; მსახურზედ საწირაჲი ცხენი შეკაზმული, აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკედეს ერთი საწირაჲი, საკანონო თუ რომ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

მსოფრისს რატისშვილი თუ მოკედეს ან მეუღლენი მათნი თუ კაბენს დაემარხნენ მთელს ნიშანს საგთაენელი გამოართმევს ერთს გარდასახურავს და საწირავს წილკნელს მიართმევენ, თუ თელთაენს დაემარხა მთელს ნიშანს წილკნელი წაიღებს, სამთაენელს ერთს საწირავს და 1) ერთს გარდასახურს მიართმევენ. ღედელს ერთს დღეს ჩაყენებან ხაროუ მარჩილი სოფლის კაცს აზნუშვილებს ერთს დღეს მასპინძლობა კომლზედ ღრამა კოლი ერთი მსახურზედ საწირაჲი, ცხენი შეკაზმული. თუ მსახურის ცოლი მოკედეს საწირაჲი რაც შეეძლოს საკანონო როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართმევთ.

რა ყამს არაგვის ერისთვის მამულში საარჯულაზედ წილკნელი შებძანდეს, იხმოს მიამთავარი მირზაშვილი, ჯვარის მტვირთველთა საყდრის კრებულნი, ორმოცნი ცხენოსანი მსახურნი მიბძანდეს არაგვის ერისთავთან დუშეთს, არაგვის ერისთავი და მეუღლე მათი საწოლის კარს მიგებენენ წილკნელს ხელი მოჰკიდონ ცოლქმართა დორსა 2) და ქეჩზედ შუა დაწვიონ დაღის პატივითა დაწედენ არაგვის ერისთვის კარი საყდარს. წილკნელს არ მრიხსენენ.

1) და ხშირად იწერებამხლელად ერთიასოთი (და) შენიშვნა. 2) დორი—სურგის მოსაყუჯებელი ხალიში (ს. ს. რაჭელაიანის ახსნა).

ბენი, ბატონი კათოლიკოსი უნდა მოიხსენიონ თუ წილკნელი იქ ერისთავთან ბრძანდება წილკნელის პატრიარქისათვის მათ თანავეობით მოიხსენებენ. ერისთავის სასაფლაოზედ წილკნელი უნდა მოიხსენიონ არაგვის ერისთავი ან მეუღლენი მათი თუ მოკვდეს უწილკნელოდ ვერ დამარხებენ. ამათი ნიშანი მთლათ რომ არა აკლდეს რა ყველას ბატონი კათოლიკოსი წაიღებს. წილკნელს საწირავს და ნიშანს წასახურავს მისცემენ აგრევე თუ არაგვის ერისთავის შვილები ქართველის ბატონის მოხელენი იყვნენ და მოკვდეს იმათი ნიშანიც როგორც ქართველის ისიც ბატონის კათოლიკოსისაა. წილკნელს საწირავს და ნიშანს წასახურავს მისცემენ.

შსახელო არაგვის ერისთავის შვილი ან უკულო რომ მოკვდეს თუ შეუძლია ბატონს კათოლიკოსს საწირავს მიართმევენ, თუ არა და ვერას გამოეცილება, წილკნელისა არის მთელი ნიშანი და ერთი წასახურავი.

ახალუბანს ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, სახუცო ხარი და ცხვარი, სოფლის კაცს ერთს ღღეს ჩაყენება კომლის თანვზე დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, შესახურზედ საწირავი თუ მოკვდეს ცხენი შეკაზმული, მსახურის ცოლი თუ მოკვდეს საწირავი მიართონ, საკანონო უზიარებელი თუ მოკვდეს, მთავრით 3ქენით: თუ ღვდელს არა ეზიარებინოს საუზიარებელი ხარი ერთი, თუ პატრონს 3ქენდეს დანიშნული იმას გამოართვი საკანონო ხარი ერთი და თუ ჯვარდაუწერელს თუ ვისიმე კაცი შემოაკვდეს საკანონო ხარი თორმეტი.

მისაქციელს ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება ხარი და მაჩიხილი, სოფლის კაცს ერთს ღღეს მასპინძლო.

ბა დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი მსახურ-  
ზედ საწირავი, შეკაზმული ცხენი. მსახურის საწი-  
რავი რაც შეეძლოს. საკანონო თუ იყოს რამე რო-  
გორც ზევით დაგვიწერია.

ხშირის ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება ხარი და  
ცხვარი სოფლის კაცს ერთს ღღეს მასპინძლობა  
დრამა კომლზედ პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი;  
მსახურის და მოხელეს საწირავი ცხენი შეკაზმული.  
მსახურის ცოლს რაც შეეძლოს, ერთი საწირავი,  
საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს.

ზრელოუს მირზაშვილებს სახლში თუ უფროსი  
კაცნი მოკედენ ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი  
ნიშანი, ცხენი შეკაზმული, რარი გარდასახური, ერთი  
წილკნელისა <sup>1)</sup> ერთი თვისი სუფრის იარაღი და  
თასი. ესენი წილკნელს უნდა მიართონ, აგრევე მა-  
თის მეუღლის საწირავი მთელი ნიშანი ტყავი ან  
ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი ბეჭედი, თავსა-  
ხურავი რარი, გარდასახური ერთი წილკნელისა ერ-  
თი თვისი. თუ უმცროსი ან უცოლო კაცი მოკე-  
დეს, ან მეუღლენი მათნი რაც შეეძლოს, საწირავი  
მიართონ, ერთი წასახურავი ღვდელს, ერთს ღღეს  
ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფლის კაცს ერთს  
ღღეს მასპინძლობა, დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა  
ერთი, მსახური ან მოხელე თუ მოკედეს საწირავი  
და ცხენი შეკაზმული, აგრევე მათის მეუღლის საწირავი  
რაც შეეძლოს საკანონო რაც ზემოთ დაგვეწეროს. <sup>2)</sup>

შენიშვნა. <sup>1)</sup> წილკნელისა ამ შემთხვევაში და ზევით  
ამგვარ ადგილას უნდა იკითხებოდეს წილკნელისაა—  
წილკნელის აჩის. ესეც ჭამლოგრაფია.

შენ. <sup>2)</sup> აღაგ-აღაგ გამკრალი მელანი ახლად აჩის კალმით  
შემოკლებული. თვით გუჯარი მეტად დაიკვლებულია  
და ამიტომ საჭიროებას მოუთხოვნიან მისსგან ახლებს.

მაზას ოსიტაშვილები თუ მოკვდენ ან მეულ-  
ლენი მათნი კაცხედ მთელი ნიშანი ცხენი შეკაზმუ-  
ლი, ორი საწირავი ერთი წილკნელისა, ერთი თა-  
ვისი. აგრეთვე მათის ცოლების საწირავი, ნიშანი,  
ტყავი, ან ტოლომა, კაბა სარტყელი, ღილი, ბე-  
ჭელი, თავსახური წილკნელს მიართონ. თუ უმც-  
როსი 1) იყოს იყოს ან უცოლო ერთი წასახურავი  
და ერთი საწირავი წილკნელისა. ხუცესს ერთს დღეს  
ჩაყენება ხარი და ცხვარი, სოფელს ერთს მასპინძ-  
ლობა, კომლზედ ღრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა  
ერთი მსახური თუ მოკვდეს ცხენი შეკაზმული და  
ან 2) მოხელე კაცი საწირავად ცხენი შეკაზმული  
იმათ მეულლისა ერთი საწირავი, რაც შეეძლოს. სა-  
კანონო რაც ზევით დაგვიწერია.

საშაბუროს შაბურიშვილის სახლოს უფროსნი  
კაცნი თუ მოკვდენ ან მეულლენი მათნი კაცხედ  
მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი  
ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. სუფრის იარაღი,  
და თასი. აგრეთვე მათის მეულლისა საწირავი ნი-  
შანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ბეჭელი,  
თავსახურავი მთლად ორი წასახური. ესენი წილკ-  
ნელს უნდა მიართონ. თუ უმცროსი კაცი, ან უცო-

---

შენიშვნა. 1) «თუ უმცროსი» ტუჯარში იწერება  
ასე «თუმცროსი». აქაც ჰაზლარგრაფიას. რძი ერთხმე-  
კანი ასო ერთად მოქცეული ერთება თუ ერთით თავ-  
დება სიტყვა და მეორეთი იწება სხვა სიტყვა (თუ  
უმცროსი=თუმცროსი).

2) «და ან» იწერება უუჯარში «დან». ჰაზლარგრა-  
ფიას: რძი «ა» ერთად მოქცეული. „ა“ და ზე-  
მთა მოყვანილი «უ» გძლად გამოითქმის.

ლო მოკედეს ან მეუღლენი მათნი, რაც შეეძლოს  
 სწორადი და ერთი წასახურადი წილკენელს მიართონ.  
 ხუცესს ერთს დღეს ჩაყენება ხარი და ცხვარი, სო-  
 ფელს ერთს დღეს ჩაყენება კომლზედ დრამა პინა  
 ერთი ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ სოფლის  
 მოხელე კაცი თუ მოკედეს სწორადი კ ცხენი შეკაზ-  
 მული აგრეთვე მათის მეუღლისა რაც შეეძლოს 1)  
 სწორადი მიართონ. საკანონო ზევით რაც დაგვეწე-  
 როს ისე გამოართვით

თუ იმ მხარაძეს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი  
 ცხვარი, სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა საკომ-  
 ლოზედ დრამა პინა ერთი ქერი ლიტრა ერთი,  
 მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკედეს სწორად-  
 ვიც — ცხენი შეკაზმული აგრევე მსახურის ოლის  
 ხაწირად რაც შეეძლოს. საკანონო რაც ზევით დაგ-  
 ვეწეროს იე გამოართვით, გრადდაშვილის თუ სახ-  
 ლის უფროსი კაცი თუ მოკედეს ან მეუღლენი  
 მათნი კაცზედ მთელი ნიშანი ცხენი შეკაზმული,  
 ერთი წასახური, აგრევე მათის მეუღლის ტყავი, ან  
 ტფლომა, კაბა, სარტყელი, თავსახური ერთი,  
 წასახური წილკენელს მიართონ.

ზედორის დეკანოზს ერთს დღეს ჩაყენება,  
 ხარი და ცხვარი ამიტომ აძევს სახუცო საყდრის  
 შემოსავალი, ყმაც ჰყავს იმისი დრამა არ ძევს. თვით  
 ძღვენი და საკანონო თუ იყოს რამე, როგორც  
 ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით, აგრეთვე სხვა-  
 თა ღვდელთა.

1) «შეკედოს» გუგუხში იწერება «შეძლოს».  
 აქვე ქმლადგაფიას: თან «ე» იწერება ერთ «ე»-დ,  
 რომელიც გამოართვინს გძლად.

არაგვის პირს ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, სახუცრ კარგი ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს ღღეს ჩაყენება, ღრამა კომლზედ პინა ერთი, პური, ქერა ლიტრა ერთი. მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს კარგი საწირავი და ცხენი შეკაზმული. აგრევე მათს მეუღლეთა რაც შეეძლოს საწირავი. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

არანის ზანდუკლები სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული ორი წასახურავი ერთი წილკნელისა, ერთი თაფისი. აგრეთვე მათის მეუღლის ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, თაფსახურავი ორი, წასახურავი უნდა წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცროსი იყოს, ან უცოლო ერთს საწირავს მიართმევენ ერთს წასახურავს ბატონს წილკნელს. არანის ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი, სოფლის კაცზედ ერთს ღღეს ჩაყენება, კომლზედ თითო პინა პური, თითო ლიტრა ქერი, მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრევე იმათის მეუღლისა რაც შეეძლოს ერთი საწირავი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

მთვალისკლის ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება ხარი და ცხვარი, სოფელს ერთს ღღეს ჩაყენება კომლზედ ღრამა პური პინა ერთი ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ სოფლის მოხელე თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული აგრევე მათის მეუღლის რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ანანურს ჩაბანდეს ბატონა წილკნელი კრე-  
ბულხთ ეპი სწიროს ერისთვისათვის. სასადილოდ  
ერისთვისაგან მიუვიდეს ანანურის დეკანოზი ხონჩას  
ძიართმევს. ანანურის დეკანოზი რომ მოკედეს  
რაც შეუძლია საწირავს მიართმევს სხვა არა  
აძევს-რა.

შაისხვევლებს არა აძევს-რა. არა ღრამა, არა  
სხვაც, არც ჩაყენება წილკნელისა, თეინიერ თუ  
ლეილი მოკედეს, ან გამოჩენილი მსახური, რაც  
შეეძლოს საწირავი მიართონ. ქაისხვევლებს ამიტონ!  
არა აქეთ-რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი  
იყუ. ეფისკოპოს შესვლას წყნობდენ, არც ახსა-  
რებას იტყობდენ, ხალ ერისთავმა რომანოზი წილ-  
კნელი შეგახენა წილკნელს ჯალღო უყვეს, არ შე-  
უშვეს ერისთავმა უწყინათ, იასაულები გამოუსივათ,  
ავად მოეპყრა, აღვენ და წილკნელს შეეხვეწნენ და  
წილკნელმა იბატრევა და წილკნელის საწირავი დაი-  
ღვეს. ამას იქითს-ვისც დასჯელაქეთ, იმათ თეითანაც  
და ბრწყინისათვისაც არაოტოთ არა არენაჲ. მთა-  
ში შესვლა მამათაჲთა და ჯვარის მტრთუისა არ  
იქნებდეს

აფხაქს დედელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და  
ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა, კომლ-  
ზედ ღრამს პური პინა ერთი, ქერი ლი რა ერთი,  
მანხურისა და მოხელეს საწირავი ცხენი შეკახმუ-  
ლი. აგრევე მსახურის ცილს რაც შეეძლოს ერთი  
საწირავი წილკნელს მიართონ. ხეჯანონი რაც შე-  
მოთ დაგვეწეროს, ასევე გამოართვით. მათა მთავარს  
აბაზი საყარის კურთხევაზედ.<sup>2)</sup>

და ქრამისხე ხელთ-თარას ეს გამოწყობდენ იმე-  
დებე ქრამს-გაგონე მომისხე ხელთ-თარას მოწყობ-  
ლი, დამატრებელ ამ ორბივე შემთხვევაში ერთი იტყვე-  
უნდა უაფილიცა: დამწყობი ამ გუჯრანსა.

...  
 ალევს ღვდელს ერთს ღღეს კარგად მასპინძლობა, სახუკო ხარი ორი, ცხვარი ორი კომლოზედ, ღრმა შულო ერთი ქერი ლიტრა ერთი მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მძხვლე საწირვე ცხენი შეკაზმული, აგრევე იმათი მეუღლისასაც შეეძლოს ერთი საწირავი მარტონ. საკანონო რაც ზევით დავეწეროს ისე გამოართვით. მას ზევით წილქნელს ხელი არ აქვს. მარზაშვილს 1) ქსანზე საქმე არა აქვს, არც ანანუხს ზევით შოაში.

ჩვენ ფრიად კოდეკმან და ყოველად უღირს-  
 მან წილქნელ ფთისკოპოსმან წილქნის ღვთის მშობ-  
 ლის სამწყსოსა გუჯარო მე დანაწერიონე მატონის  
 შვილის კათოლიკოსის დამქსტის ბძანებითა ასე  
 რომ ქსანზედ რატონივილმა საწირავად დაგეზბატავ.  
 წავედით. ქსანში ჩამოცვივდა ერთი ხელი წირვის  
 იარაღი, აგერი სხვა რამ საქონელი და წილქნის ღვ-  
 თის მშობლის სამწყსოს იქ დამეკარგა გუჯაროც.  
 დიად დიდს შევიწროებამ ჩაგარდნი იმ გუჯაროს და  
 კარგდესათონ, დიდ დიდს ხნის ნაკურთხი ფთისკო-  
 პოში ვეყავ ჩემი ეკლესიის სამწყსოს აბაგი ე. ი.  
 ამბაგი და რთვი მრწინდი აზნაურშიღის რა უღდა,  
 მსახურს რა ეღდა ან სახუკო ან ღრამა რა ეღდათ.  
 ბევრი ნაკლებიც დავეწერე აგრემც.

...  
 ჩორს ღვდელს ერთს ღღეს მასპინძლობა კომლო-  
 ზედ ღრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი,  
 მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მძხვლე საწირვე-  
 ვი, ერთს ღღეს მასპინძლობა, საკანონო რაც ზე-  
 ვით და ვეწეროს ისე გამოართვით. მამა მთუარს აბაზი.

1) ე. ი. მინაშვილსკედ.

აშს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი და ცხვარი, სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა კომლზედ დრამა; პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკედეს, ან სოფლის მოხელე საწირავეი საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ძველს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე საწირავეი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართონ.

ღუშეთს კობიაშვილები, თუ სახლში უფროსი კაცი ან მოხელე მოკედეს ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი, ნიშანი — ცხენი შეკაზმული, სუფრის იარაღი, თასი წასახური ერთი, წილკნელისა ერთი თფი ერთი. დედაკაცზედ ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა სარტყელი, ლილი, ბეჭედი, თავსახურავეი და წასახურავეი, ესეები წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცროსი კაცი ან უცოლო მოკედეს ან მეუღლენი მათნი ერთი საწირავეი, ერთი წასახური მიართონ ღუშეთის ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი, სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე საწირავეი და ცხენი შეკაზმული დედაკაცზედ რაც შეეძლოს ერთი საწირავეი მიართონ. საკანონო იყოს რამე როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

შალაშვილები ან წილკლიშვილები სახლის უფროსნი ან მოხელენი თუ მოკედეს ან მეუღლენი

მათნი კაცზედ მთელი ნიშანი — შეკაზმული ცხენი  
ორი წასახური, ერთი წილკნელისა ერთი თავისი,  
აგრევე იმათის ცოლებს თუ მოკედეს ნიშანი ტყა-  
ვი ან ტოლომა სარტყელი, ღილი ბეჭედი, თავსა-  
ხური ორი, წასახური წილკნელს უნდა მიართონ.  
თუ სახლის უმცროსი ან უცოლო მოკედეს ან მე-  
ულლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახური  
მიართონ.

კარჭაა შეილება <sup>1)</sup>

არლუნს ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი  
და ცხვარი სოფელს ერთს ღღეს ჩაყენება. კომლ-  
ზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.  
მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე საწირა-  
ვი — ცხენი შეკაზმული აგრეთვე იმათი ცოლების  
საწირავი, როგორც შეეძლოს საკანონო როგორც  
ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ბაზალუთს ჩდალელი შეილი. სახლის უფროსი  
კაცი თუ მოკედეს ან მოხელე, ან მეულლენი მათ-  
ნი: კაცზედ მთელი ნიშანი — ცხენი შეკაზმული ორი,  
წასახურავი ერთი, ერთი წილკნელისა, ერთი თავისი-  
სი, აგრეთვე იმათი მეულლენი რომ მოკედენ საწი-  
რავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი,  
ღილი, ბეჭედი თავსახურავი ორი მიართონ. თუ  
სახლის უმცროსი კაცი მოკედეს, ან უცოლო, ან  
მეულლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახუ-  
რავი წილკნელს მიართონ. ბაზალულს ღვდელს  
ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი, სოფელს  
ერთს ღღეს ჩაყენება. კომლზედ დრამა — პური პინა  
ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკედეს

1) ამ გარკას გარდასახვადი არ არის ჩამოთვლილი.

ან მოხელე სოფლისა საწირავი — ცხენი შეკაზმული.  
აგრეთვე მათის ცოლგმისა რაც შეეძლოსთ საწირა-  
ვი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც  
ზემოთ დაგვეწეროს ისე გამართოთ.

მაღლურეს ღვთელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი  
და ცხენი სოფელს ერთს ღღეს მასწინძობა.  
კომლზედ ღრამა — ჰური ზინა ერთი ქერი ლიტრა  
ერთი. მსახური მოკედეს თუ ან მოხელე საწირავი  
ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი ცოლგმი რომ  
მოკედენ რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკა-  
ნონო თუ რომ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს  
ისე ზილევით.

მზნდკლს ღვთელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი  
და ცხენი. სოფლის ერთს ღღეს ჩაყენება კომლზედ  
ღრამა — ჰური ზინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსა-  
ხური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე საწირავი —  
შეკაზმული ცხენი. აგრევე თუ მათი ცოლგმი მოკე-  
დენ რაც შეეძლოსთ საწირავი მიართონ წილკნელ-  
სა. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგ-  
ვეწეროს, ისე გამართოთ.

ბრემისხევის ტვირთები მიქელის შედეგი.  
უფროსი ან მოხელე თუ მოკედეს ან მეუღლენი  
მათნი კაცზე მთელი ნიშანი — ცხენი შეკაზმული,  
ორი წასახურავი ერთი წილკნელსა, ერთი თვისი.  
აგრეთვე მათის მეუღლისა — საწირავი ნიშანი ტყავი  
ან ტოლომა; კაბა, სარტყელი; ღირლი, ბეჭედი,  
თავსახურავი ორი, წასახურავი წილკნელს უნდა  
მიართოთ. თუ სახლს უმცროსი კაცი ან უცოლო  
მოკედეს ან მეუღლენი მათნი <sup>1)</sup> ერთი საწირავი და

<sup>1)</sup> აგრეთვე მისი მსაღად შემტრისი კაცი.  
ამას კეუთხის მსაღად სიტყვა «ან მეუღლეს მათნი»,  
რადგან უფროსს არც მეუღლე კეუთხი და.

ერთი წესახურავი წილკნელს მიართონ, გრემისხვეს  
ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი, სო  
ფელს ერთს ღღეს მასპინძლობა. კომლზედ ღრამა  
მა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური  
თუ მოკედეს, ან სოფლის მოხელე საწირავრ — შე  
კაზმულთ ცხენი აგრეთვე მათი შეუღლისა რაც შე  
ედლოს ერთი საწირავრ საყანონო თუ რამ  
იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოა  
რთვით.

ბონჩას ღვდელს ერთს ღღეს მასპინძლობა, ხა  
რი და ცხვი ი სოფელს ერთს ღღეს მასპინძლობა.  
კომლზედ ღრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა  
ერთი. მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე  
საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრეთვე მათი ცოლები  
რომ მოკედენ რაც შეეძლოს საწირავი მიათონ.  
საყანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწე  
როს, ისე გამოართვით.

ბენცემანს ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი  
და მარჩი — სოფელს ერთს ღღეს მასპინძლობა.  
კომლზედ ღრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა  
ერთი. მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე  
საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრეთვე მათი ცოლები  
სა რაც შეეძლოს საწირავი მიათონ. საყანონო  
როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

შაშას ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და  
მარჩილი, სოფელს ერთს ღღეს ჩაყენება, ღრამა  
კომლზედ პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი,  
მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელენი საწი  
რავი ცხენი შეკაზმული; აგრეთვე მათი შეუღლენი თუ  
მოკედენ, რაც შეეძლოს საწირავი მიათონ თუ  
საყანონო იყოს. რამე რაც ზევით დაგვეწეროს, ისე  
გამოართვით.

მუღურის შეილები სახლის უფროსი ან მო  
ხელე თუ მოკედეს ერთი წიშანი რაც იყოს, ცხენი  
შეკაზმული, ერთი გარდასახური წილკნელს მიათ

თონ, რაკრთვე მათის მეუღლისა სწორად ტყვეი ან  
ტოლომა კაბა, სარტყელი ღილი ბეჭედი მიართონ.

შინკანი არაგეს აღმა ესახლა. რახან არაგვის  
გალმა ესახლა ბატონის კათოლიკოზის სამწყსო არის  
ყამთა ვითარებისაგან და ავის დროსაგან, არაგეს  
გალმა დასახლდა წილკნელის სამწყსოში, ჩვენ და  
ბატონ კათოლიკოზს ცილობა და ლაპარაკი შეგვექ-  
ნა სამართალში. წილკნის ღეთის მშობლისა იყო  
წილკნელმა რომანოზ ბატონს კათოლიკოზს თავი  
აღარ აწყენია, დაუანებეთ და წილკნელის მამამთე-  
რებს ყინკანთან ხელი არა აქესთ. ეს გუჯარიც მა-  
შინ დაიწერა.

ანანურს ზევით ძვეს გარდა — ისე წილკნელს.  
ათორმეტაგანდს მოქცეული არის. რა ხან წმინდის  
აბაზის შეილნი შექნ ლიყენენ იმათი ფისკოპოზი  
ვინკაენ წილკნელი ყოფილან იმათი სამწყსო ყო-  
ფილა მცირედ მცირედ ქრისტიანობა მამოუგდიათ  
ხუცესი და დიკონი დაუღვინებიათ წმინდის ნათ-  
ლისღების შეილობა გამრავლებულა არაგვის ერის-  
თაგან არაგენ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავთ  
თვინიერ შაბურაშვილის მეტი, იმას ჰერია დაბალი  
საერისთავო ანანურს ზევით მთიულეთს, წილკნელისა  
არა ედვა — რა. ჩვენ ფრიად კოდვილმან და ყოველ-  
თა კაცთა უნარჩევსმან წილკნელ ეფისკოპოზმან  
რომანოზ გვიბძანა არაგვის ერისთავმან ზაალ და  
მწყსა და კეთილათ გარჯულოვა ჩვენც არ უღებ ვიქ-  
მენით ბრძანებასა მწყემს მთაერისასა, რომელმან  
ბრძანა წარვედით და მოიმოწაფენით. და შემდგომი  
ამის წარვედით და შეუღვით კვალსა ისე მამად  
მთაერისასა და მივედით მთიულეთსა მცირე რამ  
ქრისტიანობა იყო და არც ხუცესი, არც ქრისტიან

ნობა და არც ნათლის ღების შეილობა მართ 1) არ ეწოდებოდა, ისევე კერპის ხზგავსი იყვნენ. არც მართალი ნათლის ღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იცოდნენ, არც მარხვა იცოდნენ, თვინიერად იდ მარხვის მეტი. ფრიადითა ქირითა ვაღვაწეზოგი ერისთვის ძალი მქონდა შემწეთ. 2) ზოგი ნებით მიიციენ. აღსარება ემბაზით ნათელა გავაჩინეთ, წმინდას ზიარებას ერის კაცს მისცემდა საღვე ღვდელი და ერის კაცი საღვე აზიარებდა. ესეც ამოვკვეთეთ. ერის კაცს ღვდელი სახლუმლოს არ მისცემს — თითონ ღვდელმა უნდა აზიაროს ერის კაცი. ჩვენ რომანოზ წილკნელი ზაალ ერისთვის ღროს მთიულეთში სამჯგო ვყოფილვარ, 3) საყდრებთ ვაკურთხეთ იქაურს ღვდელს სახუცო თითო ფური დავდევით ერისთავმა და ჩვენ სახუცო დაყოფილი არ აქეთ იქაურს ღვდელს. ორი ღვდელისა, ორს ფურს მოქცემდენ — ერთია ერისა. ათი ღვდელი რომ გაჩნდეს მთიულეთში სახუცო ათი ფური გამოართვით. ჩემობას ორი ხუცესი იყო იქაურს ხუცესს მამამთავრისა არ ეღვათ რა, არც ერისკაცზედ დამა ეღვათ, არც ეფისკოპოზის წირვა თუ თვისის წებით არ უნდოდათ. ახალი მოქცეული იყვნენ იმიტომ ვერა საეფისკოპოზო გამოსაღები ვერა დავადეთ რა. ვინც ჩვენ შემდგომად წილკნელი ბრძანდებოდეთ ეცადენით კეთილად მოქცევასა და სწავლა და სარწმუნ-

1) მათ,

2) ჩამდენიმე სიტყვა ასო ნაკლებად იწერება: შმწე (=შემწე) მამამთავრებს (მამამთავრებს) და სხვ.

3) ჩვენ... «ვეოფილვანთ» და არა «ვეოფილვანთ».

ნოება განამკაველეთ, ეკკლესიის და ეფესკოპოზის სამსახური ისწავეთ, თორემ ღმერთი ეფესკოპოზის ხელით გამოიძიებს თავის სამწყსოს საქმეს ასე ბადანებს სახარებასა შინა ასწავებლით და შოდღვებით თქვენცა ამცენით ერთხელ—ორჯელ და ბევრის გზისაც და ვინც თქვენი სიტყვა არ შეიწყნაროს, განიყარეთ მტვერი ფერხთა თქვენთაგან და უბრალო იქნებით. ნინოს მოქცეული ყოფილა, მასუკან იქ წილკნელი ყოფილა. ძველს გუჯარში საეფესკოპოზო სათხოვარი, არა სახუცო, არა ღრამა არ ეწერა, არც ჩვენ დავადეთ.

მსანზედ ირტოზს კარინთები თუ სახლის უფროსი კაცი ან დედაკაცი მოკედეს კაცზედ მთელი ნიშანი ცხენი შეკაზმული. ორი წასახურავი, ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრეთვე დედ კაცზედ საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბუ, სარტყელი, ღილი, ბეჭედი ორი, წასახურავი წილკნელს მიაართონ. თუ სახლის უმცროსი მოკედეს ან უცოლო, ან შეუღლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიაართონ. ირტოზელს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა. კომლზედ ღრამა ერთი შელო<sup>1)</sup> ქერილიტრა ერთი. მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული აგრევე მათის ცოლები რაც შეეძლოს საწირავი მიაართონ. სკანონო თუ რამ იყოს, რაც ზევით ეწეროს, ის გამოართვიეთ.

მძისს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა.

1) შელო — ნ.სთაისბოკელი (ს. ს. ორბელიანის ასსნა).

კომლზედ ღრამა შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკედეს — საწირვი ცხენი შეკაზმული, სოფლის მოხელესაც ავ'ევე მათს ცოლებს რაც შეეძლოს საწირავი მიართონ, საკანონო რაც ზევით დგვეწიროს, ისე გამოართვით.

თავდორაშვილებს იმათს ცოლებს საწირავი აქვეთ ღრამა ან აქვეთ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით, მოხელეთ განწესება.

ხოვას წინამძღვარე ვინც იჯდეს, თუ მოკედეს საწირავი ცხენი შეკაზმული, ნიშანი წილ ნელს მიართონ. ამფორის<sup>1)</sup> მელარეს ჯვარდს მჭირავ აბაზი ღვთაებებს კურთხევაზე.

ხალ გორს დეკანოზს ერის დღეს, ჩაყენე ახარი და მარჩილი. ქართველს კაცს თითო ძღვენი, მსახურს საწირავი ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი მეუღლის ეთი საწირავი ღრამა კომლზედ თითო შელო ქერი ლიტრა ერთი, საკანონო თუ რამ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით საფსები. მაგისტანა კაცი თითო ძღვენს მართომეს და თითოს შაურს.

ახლს სოფელს, ერთს დღეს იმათი მეუღლის ღრამა მასპინძლობა, სახუცო ხარი, ერთი მარჩილი ერთი მსახური თუ მოკედეს ან მოხელე (სოფლისა საწირავი ცხენი შეკაზმული, კომლზედ ღრამა შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი, საკანონო თუ რამ იყოს რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

<sup>1)</sup> სიტყვიდან «ამფორის»... სკა სკდ. თ წინს მჭყრ დ. მუღანის მჭირავია.

იკოსს ფიცხელაურები სახლის უფროსნი კაცნი ან მოხელენი თუ მოკვდენ ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი შეკაზმული ცხენი, ორი წასახურავი ერთი წილკნელისა, ერთი თვისი. სუფრის იარაღი და თასი. აგრეთვე იმათი მეუღლისა საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი მთლად ორი წასახურავი - ცხენი წილკნელს უნდა მიართონ. თუ სახლის უმცროსი ან უცოლო მოკვდეს ან მეუღლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ. ღვდელმა ერთს დღეს მასპინძლობა ხარი და ცხვარი სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა, კომლზედ ღრამა შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მამთავარს და მსახურს ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული აგრევე იმათი ცოლების საწირავი რაც შეეძლოთ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ძარიანთის ღვდელსა და სოფელს ერთს დღეს მეუღლის ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ ჩაყენება, სახუცო ნახევარი ხარი, ღრამა კომლზედ შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი... იმათი იყოს (როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით). <sup>1)</sup>

---

შენიშვნა. ამ უკანასკნელა სატყეპით თავდება ეს ფრიად საინტერესო გუგარი. სამწუხაროდ მას თავიც აკლია და ბოლოც. იგი უნდა უოფილიყო მეტათ გძელი და ფაჟის შინაარსით ერთის მხრივ შეკვიმსება «დასტურლამაღს». ეს გუგარი დაწვრილებით მოგვითხ-

მე- XVII ს. მ: ნებითა ლეთისათა: მამისა  
ძისათა და გვიყენებია ჩვენ ერისათვის გიორგისა თან  
მემაცხედრება ბატონის შვილმა ელენესა და ასული-  
სა წმინდისათა არსება დებულისა დაუსაბმოსა და  
უსრულებელისა ლეთი'ა მამისა დათან არასისა და  
თან მოსყადრისა პირვლა საუკუნოსი თა შობილსა  
მამისაგან ლეთისა ძისა და ყოველად წმიდისა ცხო-  
ველსა მყოფელისა ერთა არსისა და სულისა წმინ-  
დისათა რომელთა იგი მეუფევება და უფლება და

რამს წილენელის უმების კარდასახადს, როგორც «დას-  
ტურღამალი» სამეფო და სადედოფლო კლესებზედ.  
იურიდიული ენაც კი ამ ორივე ძვირფასი ნიშთასი მე-  
ტად წაგაკვს ერთმანეთს. კარდა ამისა, ეს გუჯარი სა-  
უუკადღებოა ქრისტიანობის გავრცელების ისტორიისთვის  
ჩვენ მთაულ ხალხებში. ზაალ არაკვ ერისთვის დროს  
და რომანოვის წილენელობაში მთაში ჯერ კიდევ კერ-  
პები უფილან, ისტორია იქ ქრისტიანობის შეტანას  
ფრად საინტერესო და ძვირფასი ნაწილია ამ გუჯარისა.

ამ ჩამოთვლილი სოფლები ჯიჯრ: შინი, თელავიანი  
და სხვ. მოიხსენიებიან კახუშტის გეოგრაფიაში (ნახე  
appendix I-re liste des vilages du kartlei ex  
du cakhexh) საჭიროდ არ დაჰინახეთ სათითაოთ  
მოგვეხან ამოწერალი ცნობები, ჩვენი ბატონ შვილის  
გეოგრაფიიდან, რადგან სახელების მეტს თითქმის სხვა ცნო-  
ბას არ იმდევა გუჯარში მოხსენებული სოფლების შესახებ.

დამტკიცებით ვერ ვიტყვი, რა დროს უნდა  
ეგუთნოდეს ეს გუჯარი. დახლოებით კი შეგვიძლიან  
დაუსკათ თარიღი, რომელიც, სამწუხაროდ, აკლია ამ  
გუჯარს, რადგან ბოლო მოგვეხალი აქვე გუჯარში  
იხსენება «ბატონი შვილი კათალიკოზი დომენტი». სძი

ხელოვნება ერთმანეთს და განუყოფელია და არა  
 ანა მათა შორისა გზნყოფა თვინერა შიშეში სს-  
 განთა რომელთა მიწრა იქმნესა აღნაგანი აღკუღა  
 და არსანი არისა და ხილუღანი და უხილუღანი შექმ-  
 ნულა რომელანი იყო და არსა და იყოსა ყოღლად-  
 გე რომელსა სუფუღისა არა არსა დასასრულა მეოხე-  
 ზითა ყოღლად უხრწნუღისა და ყოღლად უბიწოსა

კათალიკოსო გუენდა სსხელსოღობუღო «დომენტი»  
 პარკელა დომენტი 1520 წ. მას დროს ტფალისა  
 აიღო შაჰ ამირანმა. ეს დომენტი ბატონი შუაღა  
 იყოს მეორე, ძე ქაახანისა, ჭაბუღა ს მართუღელან-  
 იელ კათალიკოსო XVII სსუ. ბჭა ისტორიება რომელ  
 დენსაძე გუენდა 1671 წლსაღას (დერ. რუღ. სტ. 110).  
 ამ დომენტ ბატონი შუაღა დროს კრით შაჰღა არაგ-  
 ვანს კრისაღას, რომელად მხოღელა სსღამს მმარუღელანაგ ს  
 1660 წ. ეს ის შაჰღა უღდა უღუღიღიღო, რომელად  
 რომანოზ წლღელს ძეღელა ბეენი გუენდა მხოღელან  
 ქრისტანსაღას გვუღელე უღდა მხოღელან. ამ დომენტ  
 უღდა სს კათალიკოსო დომენტ ბეღელანს სსღა გუ-  
 ჭღა, რადგანღ წლღელსაღა დღეღელაღა სს სსღა. ამ კრ-  
 თნი ისტორიულა პარა გვამღელს სსღეთს მხოღელანს  
 ეს გუენდა ბეენადღელ სს ჭეღელან ბეღელანს სსღელს.  
 (ზაღა კრ. სსღაღელ სსღე «ქრთლს» ცხოღელანს გვ.  
 64 და ბეღელ.) რღ მუღელა ბეღელანს «დომენტ» ბჭა სყო-  
 ლობღელ ტბე ღიღელანს სსღა, ტხოღელანს ბეღელანს  
 სსღელ და მხოღელანს ბატონი ბეღელანს ამ დროს  
 «ქრთ. ცხოღელანს» რღ ბღის ზაღა ბრაგელანს კრისთანს  
 ბეღელ მხოღელანს ბეღელანს ბეღელანს დომენტი უღდა  
 იუღელს მეორე დომენტი კათალიკოსო ჩამღელანს  
 ბატონი ბეღელანს ქრისთანსღამ.

ყოვლად ბრწყინვლისა დედოფლისა ჩვენისა, ლეთისა  
მშობლისა მარად სა ქალწულისა მარიამისათა რომ  
ლისა მიერა ზღარცითა ესახებულა ოქმნა პირელა სა-  
უკუნოთა და ყმათა შობილი მამის გან ძე და სიტ  
ყო ლეთისა რომლისა მიერა დაიხსნა წყვეა პირვე-  
ლისა მამისა ურნებისა მიერა მოწვივანული დაგრდა  
გარფენილი ყოველთა ზედა შეილთა მისათა რომ-  
ლისათა მიერა დევ მტერობადაყო მშობლობა ცხა  
და ქვეყნასა ძრიელებითა შეწევითა ცხოვლისა  
მყოფლისა ძელოსა ცხოვლისა ჯვარისა პატიოსანი-  
სათა რომელსა ზეა განიყრნა მეთუემან დიდებისა-  
მან ქრისტემანა დმრთმან უხრწნელნი მხლანნი  
თეისანე რომელსზედა დაიბნია ყოველთა რომითა  
გულთა წმიდა მყოფელი სისხლი და განმწმენდელი  
ცოდეთა სოფლისათა წყალი თან მდგომრობითა  
წმიდათა უხორცოთა ზეცისა განწესებულა ცხრა  
არკეთა ცხრა თვე და ასათ ურულოთა ძეცლა მარ  
თებელთა ცხოვრებისა ჩვენისათა წმიდათა ანგელო-  
ზათა მთავრანგელოზთა მიქელა და გაბრიელიათა  
შეწევითა და მეოხებითა წმიდასა წინასწარმე-  
ტყველისა წინ ბორობელისა და ნათლისა მცე-  
მელისა.

ნამობთა დედათა უზესთაეისა წინ მარზობისა  
იოვანესათა და ძეთა ქალწულისა ძეთა ქუბილისა  
დაუფიროს და ძმ დ უწოდებულისა მადერსასა მასა  
სუფლოსა მძმყარდან მოსილისა საყარწილისა მოწა-  
ფისა მაცხოვრისა ქალწულთა მანარებელისა ლეთისა  
მეტყაველიბზა ჩოვანესითა მეოხებითა წმიდათა ყოვ-  
ლად ქებულთა ხოთრმეტუჭ ყოველისა საოფლისა  
მამწირებელთა დითა ქდაგთა ლეთისა სიტყვისათა  
რომ ლთა ბადიწთა მოცორებთა მათითა მოიბდუნე-

სა ყველანი ნათესაჲნი პეტრე სასუფეველისა ცათ  
კლიტეთა მპყრობელისა და პავლე სამცამდე აღ-  
წვეწულისა ღუსმენელთა სიტყოთა მასმენელისა პი-  
რად ქრისტესა სახელდებულისა დასახათ მყისა მორ-  
ბანეთა მათათა სამეოცდა ათათა მოწაფეთა წმინდა-  
თა წინას წარმეტყველთა და ღეთისა მახილველთა  
შორითგანვე ქრისტესა ღეთისა სქმითა მამასწავე  
ბელთთა მეოხებითა შეწვეწინთა თან მდგომარეობითა  
ყოველთა წმიდათა ღეთისათა ხორციელთა და უხორ-  
ცოთა ასრე რომე დაგვიყენებია ჩვენ ერისთავსა გი-  
ორგის და ბატონის შვილს ელენეს ჩვენისა სული-  
სათვის მეაღპეთა ჩემის ძმებისა ზაალ ერისთვის რე-  
ვაზის შაკითხვითა ლუარსაბისასა და ქაიხოსროსითა  
(ჩვენთინ) ოთარისა დიშერისა პაპუასი ზურაბისათა  
ჩვენთინ შენდრობას იტყოდეთ და შვილთა ჩვენ-  
თათუნ შენდრობას დღევდელობას გამარჯვებას იტ-  
ყოდეთა ყოველს სულმან შვილი უნდა გარდაგბდი-  
დესა ოთხსა კოკას ღვინოს სამის კოდის ნამცხვრს  
პურს ერთი საკლავი სვილვი ძროხა ერთი ცხური  
ორს მღვდელის მისის, სანთელ საკმეველითა ჟამს  
აწირვინებდეთა დიდს შაბათს გარდინდიდე ყოველმე  
და ვაჟის ძის შილი ნათლის ღების დღეს ოროლს  
კოდს პურს სამს კოკა ღვინოს სამს სამს ცხუარს  
სახორცესა და რვას გიორგობისთვის ცხრასა თვესა  
ოროლს ხუცესა მისისა სანთელ საკმელითა ჟამს  
აწირვინებდეთა კიდევ ბანცური ნინია ტირძისისა  
მოურავი ენკენისა თვესა ერთი დღე რომე იღვას  
ერთს ლიტრასა და ნახევარ ჩარეკ სანთელს ნახევარ  
ლიტრა საკმელს ერთ ჩარეკ ბამბას და ერთისა თოხ  
ლითა და მისისა პურიითა და ღვინითა ჟამს აწირვი-

ნებდე და ამასაც იმ დღეს მოიტანდე წლითა წლამ-  
დი ხეველთა ღამეთა დეკანოზი სანთლებს დაანთებ-  
დესა და კმევდესა სასაფლაოზედა რომელიც ამოსწ-  
ყდეს და მის მამულზედ დასახლდეს სახოა კაცი ის-  
რვესა გარდიხდიდესა არა ეთხოვებოდეს რა ერთისა  
საყრისა და მსახურობის მეტი რომელმაც ესა წიგნი  
ამიერთა უკუნისამდე შაშალოს ანუ ჩემა სახლის  
კაცმან ანუო ხელმწიფემა ანუ დედაკაცმა და ანუ  
სახომა კაცმა რაც ამაში წმიდანი სწერია პირველად  
ღმერთი და მერჲე ყოველნი მისნი წმიდანი ხორცი-  
ელნი ზეცისა და ქვეყანისანი ვინც ესეა წიგნი და  
სიგელი შეშალოსა რისამც დაუსაბამო და დაუსრუ-  
ლებელი ღმერთი მამა და ძე და სული წმიდა და  
ყოვლად უბიწო დედოფალი ღვთისა მშობელი მა-  
რადისა ქალწული მარიამა შენმცა ექნების ძროლა  
ეკლისა კეთრი გეზისა ცოცხლივ დანთქმა და თან  
მირონისა შიშთვილი იულობა დიასკორისი მიზეზდ-  
მაც დახდებისა მესადრვე წყევითა იგი ფსულმუნთ  
ნურა რათამც სინანულითა იქმნებისა ხსნა სულის  
მისისა ვინც ჩვენ ესე წიგნი და სიგელი შაგვიშა-  
ლოს ჩვენ ერისთავს გიორგის და ბატონისა შვილსა  
ელენესა ჩვენითამც ცოდვითა განკითხვითა მას მეო-  
რედა მოსვლის რაც ამაში წმიდანი სწერიან ვინც  
მოგვიშალოს შამც იცველებებისა რჯული მისი ქრის-  
ტეანობისაგან და სულიმც მისი ნუმც იხსენების ჯო-  
ჯოხეთისაგან ვინც ესე სიგელი არ მოგვიშალოს  
ამა სოფელსამც გექნებისა შვილითა და თვითა გა-  
ხარება და დღეგრძელობა და მასა გრძელისა საუკუ-  
ნესამაც ღმკვიდრებისა სული მისი სამოთხესა რო-  
დესაც ეს წიგნი დაძველდესა დეკანოზი ახალს გარ-

დაწერინებდესა და ბეჭედსაც ისევე დასვეებდესა ვინც ამას შლა დაუწყოს ამა წიგნს უზენებდეს და ნურც დაიკარგებდესა ვინც ღვეანოზი იქნებოდეს თუ კარგად ესა სამსახური ქნა რაც ამის წმიდანი სწერია ამათისამც მადლითა დილოცები და თუ ავად გემსახურო ამათისიმც მადლით დაწყველები და ცრულიმც იქმნებით მარდლითა.

შენიშვნა. ეს გუჯარი იმდენად შესწორებულა იბეჭდება, რამდენადაც საჭიროა იგი აზრის გასაკუბად. ეს გუჯარი შესანიშნავია მათ, რომ სმოგანი ასოები გამოტოვებულა იქ, სადაც საჭიროა და ხართუღა უადგილო ადგილას. გარდა ამისა, სიტყვები „კრედელი“, და იწერება „კრმელ“, „კრმს“, „დ“. გასაცნობად ღად გუჯარის ხასიათისა მოვიყვანო რამდენიმე სიტყვად და გაუსწორებლად «სმის» კოდის გმტხვანს პუტს, ერთი დასაკლავი ძრება, ერთი ცხუტხან სხთელა სკმეველითაოუმს აწიკვინებდეთ დიდს შბთს, გარდის დიდეთ... სმსმას ცხუტს... დმისის პურითა დღვინითა... წლთი წლამდი... ვინც ესეა წიგნი შაშელას რესმტა დაუსამო ღთი». ასე ვარჩევ ამ ადგილს: სამის კოდის გამოტხვანს პუტს, ერთი დასაკლავი ძრება, ერთი ცხუტხი... სანთელი — სკმეველითა ეამს აწიკვინებდეთ დიდს შაბათს, გარდის დიდეთ... სმსმას ცხუტს და მისის პურით და ღვინითა... წლთი წლამდი... ვინც ესეა წიგნი შაშელას რესმტა დაუსამო ღმერთი»...

აი კიდევ ერთი ადგილი: „ნებათა და შეწევნითა... ჯვარისა პეტროსნისათა, რომელს ზედა განიპურნა მეუფეშან დიდებისამან ქრისტემნა უხრწნელანამკლავნი თვი-სანი... დათხია ყოველთა სმსწლითა» ასე შესმის: ნებათა და შეწევნითა... ჯვარისა პეტროსნისათა, რა-

მელსა ზედა განიხუენსა მეუფემან დიდებისამან ქრისტე-  
მან უხრწნელნი მკლავნი თვისნი და დათხდა ყო-  
ველთათვის სისხლი.

ენის მხრივ შესანიშნავია სიტყვები: ცხურო—  
ცხაკი; სური—აური; სახა—სახასო—მაშლა—შეშ-  
ლა; ეკლა—ეკლად; წინწმკეტეველი—წინასწამე-  
ტეველი.

გუგარს ბოლო აკლია, ამიტომ დრო, რომელსაც  
იგი ეკუთვნის არ შეიძლება აღნიშნული იქნას. ჰაღე-  
ოგრაფიულ მხარე ხასიათი იგი 16—17 საუკუნ. უნდა  
იყოს. ამ აზრს ამტკიცებს აქ მოხსენებული ისტორიუ-  
ლი შარი. გიორგი ერისთავის თავის წამდენიმე ძმით  
ცნობილია „ქაჩაღის ცხოვ.“ მასს ჭუგდა ცხრა ძმა,  
როგორც ამ გუგარშიაც კვითხულობთ. ზოგის სახე-  
ლები „ქაჩო. ცხოვ.“ იცის: ზურაბ, რევაზ. ზოგისა  
გი არ იცის, თუცა მათ ცოლებსა ასახელებს. ეს გუ-  
გარი აქვებს ამ ნაკლს ჩვენის მატანისას. გიორგი  
ცოცხალი იყო ჯერ კიდევ 1610 წ.

წ ი ლ კ ნ ი ს ა.

1736 წ. ნებითა და შეწვენითა მღთისა ესე  
ქამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცილვე  
ბელი საბოლოოდ გამოსადეგი წიგნი და სიგელი შე-  
გიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ იესიან დავითიან სო-  
ლომონიან ბაგრატიონმა მეფეთ მეფემა პატრონმა  
ქართლისა და კახეთისა ხელმწიფემ მეფე ალექსან-  
დრემ თქვენ მუხარანის ბატონის შვილს ქრისტეფო-  
რესა ასე რომე მიხველ კარსა დარბაზიზისა ჩვენსასა  
გვიჯგენით მაგალისის მაგლელობა ჩვენს ვისძინეთ

აჯა და მოხასენება შეგიწყალეთ და გიბოძეთ აროდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგანა და არა შემდეგათა მეფეთა მებატრონეთაგან ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულობაში სამსახურშიგან გიბძანებ კარისა ჩვენ ვეზირ ვეჭილნო და ვინცა ვინ კარისა ჩვენი მოხელენი იყვნეთ ეს ბძანება და ნიშანი ესე სიგელი თქვენც ასე დაუმჯიკცეთ ნუ მოუშლით დაიწერა ბძანება და ნიშანი ხელთა კარისა ჩვენის მწიგნობარი მდივანი მუშარიბი ბაინდურას შეილი აეთანდილისითა დაიწერა მარტის 20 ქორონიკონს +24 (ბეჭელი) (წილკნისა <sup>1</sup>).

წ ი ჯ კ ა ნ ი .

1747. ჩვენ ფოცხვერმა და შეილმან ჩვენმან მამუკამ და გიგმა ესე მეჩაღვის წიგნი მოგართვით თქვენ ჩვენს ბატონს არაგვის ერისთავს ჯიმშერს რომ ჩვენის მართლმადიდებლის ხემწიფე მეფის ბატონის მეფის ერეკლესაგან ბძანება გქონდათ და ჩვენი მაკურთხეველი წილკნელი მამიყვანეთ, რაც მთიულეთში სახუცო იყოს სამს წელიწადში ერთი ძროხა მოგართათ თუ ამას იქით ჩვენ... უზიარებელი და უნათლოლო მოკკლათ საკანონო მოგართვათ, თუ სამწყთომ უარი გვიყოს, სამართალი თქვენ გვი-

შენიშვნა. <sup>1</sup>) დ. ფურცელაძეს მატკუკს მან ჩასია ამ ბუჭრისა.

ყოთ... მე ჯიმშერ ერისთავს ასე გამირიგებია:  
რამთენი ღვდელი იყოს იმთენი ძროხა მოგართოს  
ქრისტეს შორის ქორონიკონს ულ). 1)

წ ი ლ კ ა ნ ი .

1792 ქ. ბატონიშვილი ვახტანგი გიბძანებ ბო-  
ქაულთხუცესო ბეჟან. მერე ყოვლად სამღვდელოს  
უფალს წირკნელისათვი ქაისხვევლთ ღრამა სახუცო  
და რაც საეპისკოპოზო სამსახური არის უნდა მიერ-  
თმეინათ ჩენი ოქმოც ჰქონდათ და კიდევ დაუგვი-  
ანებიანთ და არ მოუციანთ. ახლავ უნდა დაღვე და  
როგორც რიგი არის ღრამა სახუცო და საეპისკო-  
პოზო რაც იყოს უკლებრივ უნდა მოაცემინო მა-  
გათი ეპისკოპოზი ეს არის და მას უნდა. რაც რიგია  
მსახურონ და დაემორჩილნენ და ეკლესიებიც აკურ-  
თებინონ ეს ახლავ ბეჯითად უნდა გაარიგოთო,  
ჩენი საწყენი იქნება. ნოემბრის 3 2) ქორონიკონს  
(შპ 1792) ქრისტიანე არ იქნება უფესკოპოზო და  
მაგათ ხომ ამის მეტი ეპისკოპოზი არა ჰყავთ და

1) ეს გუჯარი ასუჩათებს იმ მღვდელმკობას ქრის-  
ტიანობისას, რომელსაც წამოადგენს ახლავ მთებში  
მცხოვრებელი საზოგადოება. მთავრობა ჯ რიმის ში-  
შით ეტუება, ცდილობდა დაემუარებინა ქრისტის რწუ-  
ლი მთიულეებში. ამ გვარი გუჯრები წილენელისა გადევ-  
გვსდებიან. დ. ფურცელაძე თარღლი უზის 1749 წ.

2) დ. ფურცელაძეს არ აქვს დაბეჭდილი ეს გუჯარი.  
შენიშვნა. აქაც—რწულზე მადრეკილების შესახებ არა  
დაწერილი გუჯარი. დ. ფურცელაძეს არ დაუბეჭდია.

ამას უნდა ემსახურონ ხომ თავსაც დაიდეს და თავ-  
ლებიც მისცეს თუ ხუცესი თუ მაგათი ამხანაჟი თუ  
სხვა სოფლები ემსახურებიან, ეგენი რალა არიან  
(ბეჭედი)

წ ი ჯ ნ ი ს ა.

1881. ჩვენ ღვთივ აღმატებულმან ღვთივ დამ-  
ყარებულმან იესიან დავითიან სოლომონიან პანკრა-  
ტიონმან ძემან ცხებულის საქართველოს მეფის თე-  
იმურაზისამან და კახეთის არაგვის მპყრობელ მქო-  
ნებელმან მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პა-  
ტრონმან ჰერეკლემ თანამეცხედრემან ჩვენმან ქრის-  
ტეს მოყვარემან დედოფალთ დედოფალმან პატრონ-  
მან ანნამ და პირმშომან სასურველმან ძემან ჩვენ-  
მან — სწულმან ვახტანგ და საყვარელმან ბიძაშვილმან  
ჩვენმან ბატონისშვილმან ასანშირბამ ასე და  
ამ პირსა ზედან რომე ჟამთა ვითარებისაგან ანანურს  
შეკით ანაგვის ერისთავს მთის ადგილებში აღარ  
შეეშვათ (წირკნელი) და რჯულზედაც მადრეკილი-  
ეგნენ და მობძანდით თქვენ მუხრანის ბატონისშვი-  
ლი ყოვლად სამღვდელო წირკნელი მიტროპოლი-  
ტი ქრისტეფორე, დაგაყინით). სამწყსოსა თქვენსა,  
ვითარცა ძველთაგან თქვენი ყოფილიყო და გუ-  
ჯარშიაც ძველთაგან მთა და ბარი თქვენი სამწყსო  
ყოფილიყო და ჩვენც ხელახლა წყალობა გიყავით  
თქვენი სამწყსო მთიულეთი კიდევ გულა მაყარი,  
ხანდო ჰერთალი ჟამთ სახუცოს ერისთავები იღებდ-  
ნენ დიდი უწყსო და უმართებულო იყო და რჯუ-  
ლის ურიგობა. ჩვენ ახლა თქვენის მონასტრის წილ-

კნის ღთის მშობლისა ღიდისა ეკკლესიისა მჯღომარეს წილკნელს შეგვიწირავს რაც რომე მთისა ადგილებიდამ სახუცო გამოვიდოდეს თქვენს მამათმთავარს მიებარებოდეს და მამათ მთავარი თქვენ მოგართმევდეს არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შექდგომთა ჩვენთა მეფეთა მეპატრონეთაგან აწე მიბრძანეთ კარისა ჩვენისა ექილ ექილნი და ყოველნი მესაქმენი ჩვენნი არაგვის სახლთხუცეს და მოხელენო თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით. დაიწერა სიგელი ესე ხელითა კარისა ჩვენის მდივან მწიგნობართ უხუცესისა ოთარისათა თვისა იენისსა ლ (30) ქორონიკონს ულდ (ბეჭედი), (ერეკლე) გვერდით: ჩვენ ქართლისა კახეთისა და სრულიად საქართველომასა კათოლიკოს პატრიარხი და ალავერდელი მიტროპოლიტი ძე სანატრელისა ხელმწიფე მეფისა ირაკლი მეორისა ანტონი ვამტკიცებთ მიტროპოლიტობისა ამის წეროლსა აპრილის 3, წელსა ჩჲა 1801

კათალიკოსი ანტონი

შილ მღვთისა

XVII ს. 1) . . . . . ამითითა თავდობითა მინდობითა და შეუამდგომელობითა და თანაჲ შემწეობითა ესე აგარაკისა შეწირულობისა მტკიცე და შეუტყუალელებელი წიგნი და სიგელი გკადრეთ და

1) თავი აკლიან დ. ფუტყელაძეს გუჯრებში ეს გუჯრად ვერ კნასხუი

მოგახსენეთ ნებისთა ლეთისათა ჩვენ იესიან ღვეითიან  
სოლომონიან ბაგრატიონიანმან აფხაზთა რანთა  
კახთა სომეხთა შარვანშა და შირვანშისა და ყო-  
ველისა აღმოსავლეთისა და საქართველოსა თვით  
მპყრობელ-მფლობელმან მეფეთ მეფემან პატრონმან  
გაიჭგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ  
დედოფალმან ზაქარაძის თამაზ და ძეთა ჩვენთა პა-  
ტრონმან ლუარსაბ და პატრონმან დავით შენ მცველ-  
მფარველო და დიდო ხელისა მპყრობელო ჩვენო  
მამაო მამათაო წმინდაო შიო რომელი ეგე აღმო-  
ბრწყინდი ვითარცა მათიები შუა მდინარით ასურეთი-  
სა და მოიწიე ქვეყანასა ამას ჩვენსა და არა ეცა  
ხორცთა შენტა განსასვენებელი არამედ ეძიებდა აღ-  
გილთა ფიცხელთა და განუსვენებელთა და დაემკვი-  
დრე უდაბნოსა ამას მღვიმისასა და დიდთა მათ მო-  
ღვაწებათა შენტა მიერ მრავალნი სასწაულნი აღას-  
რულენ ვიდრე ხორცთა და შინა იყავ და შემდგო-  
მათა მიცვალებისაცა დიდთა სასწაულთა მოქმედებ  
წლითი წლად ნაწილთა შენტა აღმოცენებითა სო-  
როთა მავით სამარხოსათ თითოელსა ასათა შენ-  
თაგანსა წარმოგვეცემ შენდა სადიდებელადა და ჩვენდა  
შევრდომით და ამბორის ყოფით სავედრებელად და  
ნუგეშინის საცემლად. ხოლო ჩვენ ვიგულებთ და  
გულის მოდგინეთ და გამოძიება ვყავთ და პირველი-  
თგანცა თქვენი ყოფილიყო ჟამთა ვითარებისაგან  
თქვენსა უდაბნოსა აღარა ჰქონებოდა და მრავალნი  
ჟამნი გარდასრულიყვნეს და ჩვენ სასოებით და სი-  
ყვარულთით მინდობილმან ცვა ფარვათა თქვენთამან  
აღუგძრნა სურვილი მცირისა ამის ზღვნისა შემო-  
წირვად გკადრეთ მოგახსენეთ ოკამიმეშველანნი მა-  
თის სამართლიანითა მთითა, ბარითა, ველითა, ვე-

ნახთა, წყლითა, წისქვილითა, სახნაუთა და უხნა-  
ვითა სათიბრითა და უთიბრითა ყოვლითურთ უხაკ-  
ლულოდ და უკლებლად და ყოვლის ადამის მონა-  
თესავისაგან შაუდევარ შემოუსარჩლოდ ასრე და  
ამა წესითა ვინგინდავინ მღვიმის წინამძღვარნი იყუ-  
ნეთ ყველიერის შაბათსა ჩვენთვის ჟამსა სწირავდენ  
სამით მღვდლითა და ერთის მთავარღიაკენით თორე  
მეტსა კოკას ღვინოს დახარჯედეს, ერთს კაბიწს  
პურსა, ოთხს ორაგულსა, ოცსა ლიტრა ფიცხულსა  
მისის საურწყოთა და რაცა სანთელი და საკმელი  
მოუწდებოდეს და რაცა მონასტრის წესი იყოს იმ  
რიგად კარავა ღებული ალაპი გარდაიხდებოდეს და  
არავისგან არ მოგვეშალოს შეიწირე მცირე ესე ზღვე-  
ნი ოკამ სოფელი მეშუელანი მათის სამართლიანი-  
თა ყოვლითურთ უკლებლად და ხელ შეუშალად  
მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად და ჩვენთა ცო-  
დვითა მოსატევებლად და ძეთა ჩვენთა საღლეგრძე-  
ლოდ ესე წმინდაო მამაო შო გვედრები გვეცედ  
გეფარედე ხელი აღგვიპყარ და შეგვეწიე და გვიხს-  
ნენ ყოველთავე ხილულთა და უხილავთა მტერთა-  
გან და ესრე სახედ შემოგწირეთ ვითარმედ საჩვენო  
სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვბოდეს რა არა  
ღალა არა კულუხი არა საბალახე არა კოდის პური  
არა ულაყი არა საჯინიბო არა მეორემავეთაგან და  
ვინგინდავინ კარით ჩვენით წარვლენილი მოსაქმენი  
იყვნეთ არავისგან არა ეთხოვბოდეს რა თვინ ერ  
ლაშქარ ნადირობისაგან და სათათროსა საურისაგან  
ვიდე ესე ვითარის შეწირულობითა წიგნითა და  
სიგელითა ამით გკადრეთ მოგახსენეთ და დაგიმტკი-  
ცეთ აწე ვინცა ნახო სიგელი და ბძანება ესე

ჩვენი შემდგომად ჩვენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა სახლისა ჩვენისა განმგეთა ვეზირთა დივანთა მწიგნობართა და ყოველთავე კარით ჩვენით წარვლენილთა მოსაქმეთა და საქმით მოქმედთა დღითა და მცირეთა ერთობილთა დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ მტკიცედ ბრძანებულსა ამას ჩვენს თენიერ სიმტკიცისა და თანადგომისაგან ვიღე და ვინცა ამა ჩვენგან შეწირულსა ოკა<sup>ს</sup>ს მეშუელაანთა მაცილობელნი ვინმე იყენეთ ანუ სიგელი ვქონდეს სიგლითა ამი გაგვიცუდებია და მტკიცე ოდენ ესე არს აწე ვინცა და რამანცა გვარმან კაცმან მეფემან ანუ დედოფალმან კათალიკოზმან ანუ სხვათა ეპისკოპოზთაგანმან გინათუ ქორებისკოპოზმან ანუ სამღვდელთა დასთაგანმან ანუ თუ თავადმან დიდებულმან აზნაურმან და მსოფლიოთა კაცთაგანმან გინათუ სჯულის გარდამავალმან სარკინოზმან ანუ მწვეალლებელმან ცასა ქვეშე მყოფმან ძემან კაცთამან ხელყოას შლად ქცევად და შეცულად შეწირულისა ამის ჩვენისა შერისხლი შენა, ღმერთო დაუსა<sup>ა</sup>ამო მამაო ძეო და სულო წმინდაო და შენ უმეტესად ზეშთა. <sup>1)</sup>

<sup>1)</sup> კვლავ აქ მოხსენებულა მეფე გიორგი უნდა იყოს გიორგი მუთერსძეძე წოდ. გურგენ სანად (შაჰნავაზად). ცალი მასი თამარის + 1683. მასსად მექს გუჯარი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII სუკ. დასაწეისს. («ქართ. ცხ.») გვ. 55 და 56 მდ.

1804 წ. ასურთა ათ ორთა მამათა შორის მზეებრ საჩინოა, საკვირველო საკვირველებათაჲ, მრავალთა მოქმედო, ზენათა საქართველოთა განმანათლებლო; და ქვეშე მღვიმით ვარსკლავთა უბრწყინვალესო მნათობო, ღირსო შიო, მამათა მამაო ეყავ ესე განზრახვად შენდა სახელითა შენითა უდაბნოსა შინა შეკრებულთა წმინდათა მამათა და ძმათათვის მე მონამან და მსასოებელმან შენმან ბუჟყიაშვილმან იოანემ, და მეუღლემან ჩემმან დავით გაბაშვილის ასულმან ნინომ შემოგწირეთ ათი თუმანი თეთრი. რათა წლითი წლად სარგებლობდეს თუმანი თვეში ორ შაურად. ვინაიდგან უმეტეს განევანებება არა ჯერ იყო ათის თუმნისა მის სარგებელი იქნების ხუთი აბაზიცა ოთხად განიყოს, რომლისა მეოთხედი იქმნების ხუთი შაური ხუთშაბათსა დღეს ვინც მწირველი იყოს, რომელიც არს ზემო ეკკლესია დიდი მღვთის მშობლის მიცვალებისა იქ იწირვიდეს და იმას მიერთმეოდეს ერთი შაური სანთლის საკმლის ფასად და ერთი აბაზი საწირავად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელოდ და სოფელსა ამასა შინა კეთილად წასამართებელოდ. მეუღლისა და შეილთა ჩემთა კეთილად დასაცველოდ სწირვიდეს მას ხუთშაბათს მწირველი და ეგზეთვე მეორესა, მესამესა და მეოთხესა კვირაკესა. ხოლო თეთრი იგი ათი თუმანი ნურცა წარეგების სხვად რადმე რათა არა განწყდეს წირვაცა ჩემთვის თეთრი ესე მიმირთმევიეს მანასტრის შენისა წინამძღვრისა და მართებელისა ყოვლად ღირსისა მამისა არქიმანდრიტისა ჭ მუნყოფთა მღვდელ მონაზონთათვის, რათა მისცენ ვეჟილსა ერთსა და თთვე და თთვე <sup>1)</sup> მიიღებდნენ სარგებელ-

1) ეს ტექსტი დ. ფურცელაძეს არქივს დაბეჭდ ღი. ტექსტში სწერია «თვე».

სა და ვედრებასა მას ჩემსა აღასრულებდნენ უკეთუ  
რომელმანმე ვერაგობამა კერძო ან მუნით ანუ ჩემ  
კერძო მოშალოს შეწირულება ესე და წირვა ჩემ-  
თვის იგიმცა შეიშლებს სახისა თვი ისაგან და ნო-  
ბოხოლონოსორის და თერდატის შესგავსად  
დაისჯების <sup>2)</sup>. ხოლო დამამტკიცებელნი კმისნი  
კურთხეულ იყავ მადლითა შენითა დაძვერა  
ხელითა მდივნის მალაღამის იოსებისათა, თუ ვინიციხ  
ქამთა ვითარებისაგან, რომელიც შეწირულებს სიგელი  
დამიდვია და წმინდის შიო მღვიმის მონასტრისათვის  
სიგელი მიმირთმევა თუ ის დაიკარგოს ქამთა ცვლი-  
ლებისაგან ამ წერილმა უნდა იპოვნოს და ჩვეულებ-  
ებისაებრ წირვა და ლოცვა უნდა განაახლონ იანვრის  
იამ წელსა ჩუბ ქორონიკონს უშა

ბეჭედი მოურავი იოანე.

### შიო მღვიმისა

კეთილ მორწმუნეს და განათლებულეს ჩვენს მოყ-  
ვარეს მეფის სძალს ქეთეუანს

დვთისა დედისა მსახურებსა უმოწყალებსა ხელმწიფესა

1802. წმიდის შიო მღვიმის მონასტრის არ-  
ჩიმანდრეტი და ჩემთანა ესე ძმანი გლახაკნი ბერნი  
მაჲად მლოცველნი თქვენნი უმაბლესს პატივისცე-

<sup>2)</sup> შეადარე «ქართლის ცხოვრების» მართკობა  
სა იანვრისა.

მას და ქრისტეს ღვთისა მიერ ღმრთიან მოგზავნებთ,  
და წმიდისა ამის მონასტრის მადლოსა მთარეულად  
თქვენსა უგანათლებულობას მოუძღვინით. უგანათ-  
ლებულესო მეფის სძალო, ქრისტეს მიერ უნებარე-  
დენ ვინადგან სასომან შენმან წმიდამან მონასტერმა  
იწყენ განათლებად და აღორძინებად, რომელსა შვა  
ძმათა სიმრავლე დაემკვიდრება მარად მლოცველად  
ოჯახისა თქვენისა; უმოწყალესო ხელმწიფა, ვინად  
გან აღრითვე სწყალობდი სასოსა ამას შენსა მონას-  
ტერსა, რომელსაც ჰქადაგებენ ნაქმნი თქვენნი. აწ  
გთხოვთ მონასტერიცა და ჩვენიცა სიგლახაკე ახალსა  
მოწყალებასა. ესე არს დრო მოწყალებისა მეფის  
სძალო, ნუ ჩვენთვის უფროსლა სახელისა თქვენი  
სათვის ჰყავ მოწყალება სამლოცველოდ მეფის ძის  
იოანესდა. და სადღეგრძელოდ ბატონის შეილეს  
გრიგოლისად ცხენისა მოწყალებისა გვედრებით,  
ცხენისა ბოძებასა გთხოვთ, რომელიცა ამ ეჟამად ფრიად  
საჭიროდ გვესახმარება მორეწასა პუ. ისაჲს კვალადცა  
გვედრებით ღვთისათვის და არ უძულებულს კაცთ  
ვიდრე ჩვენი, ანუ ჩვენ მონასტერსა შეწიე არა ჩვენა  
გთხოვთ მოწყალებასა უფროსლა წმიდა მამა იოანე  
თქვენი ესე წმიდა მონასტერი ვინადგან თქვენ იცით  
მოწყალებისა წყაროდ დაუწყევლელოდ და ხვთის  
შსახურისა დიდებულისა ოჯახისაგან რტოსა ზედა  
დავიძინეს დამეწილად. მშისთვის პიველ ყოველის  
თქვენ გთხოვთ მოწყალებასა რომლისათვისაცა გა  
ახელით ბერი მონასტრისა იერო დიაკვანი ძმა ჩვენი  
სერაპიონ და მქონეელი მათის უწმიდესობის მოწყ-  
ალებისა წერილისა, გთხოვთ მუხრო დაღმით ცხე-  
ნის მოგების მოწყალებასა და სასოებითაცა კეთილ  
მორწმუნებისაგან თქვენისა მოვილოთ მოწყალება,

და ღაღმთებით ჩვენ და მონასტერი ჩვენი საუკუნოდ  
მლოცველად ქრისტეს მოვეარე გვამისა თქვენისა მე-  
ფის ძის იოანესა და საყვარელისა ძისა თქვენისა  
გრიგოლისა 1802 1).

მრავალ კრძალულებით გაგებდავთ  
მონასტებსა გლახაკი ბერი წმიდის  
შ. მ. მღვიმას მონასტრისა და  
უკრძალულებად მოგახსენებთ მონ-  
ნასტრის ძმთა საკსება.

---

რ უ ი ს ი ა,

აღწერა რუისის სობოროს ეკლესიის შეწირუ-  
ლების წერილთა:

ძალაქს სასახლისა და მღებრიშვილის შეწირუ-  
ლობის წერილი ათაბეგის შემოწირულობა სოფლისა  
ბებნისისა ვასიტაშვილის შეწირულობის სიგელი ოქ-  
მებისათ მეფის ეახტანგისაგან სითარხნის სიგელი—  
მეფის ერეკლეს ოქმი დაფანტულის კაცებისა— ივანე  
ციციშვილისაგან შეწირულების სიგელი— პაპუნაშვი-  
ლის დავითის შემოწირულობის სიგელი— გიგიაშვი-  
ლების პირობის მოცემული წიგნი— დავით ბატონი-

---

1) ეს ქეტიკანი უხდა იუკეს შირკელი (მეფულე გი-  
ორგი მე—XII. იგი იყო თავად ანდრონიკაშვილის ქა-  
ლი. 216 и др. Бутковъ. Матеріалы для исторіи  
Кавказа II, 157.

შეიღისაგან რუისს სამღებროსა შეწირულების სიგელი — ავალიანთა და დიასამიძიანთ ოქმი მამულის (სამს) საძღვრებისა — გიორგი ამილახვარის მამულის შეწირულების სიგელი — შეიღის ოქმები მეფის გიორგისა და სოფლის მოწმობა შეიღის ოქმი — იასაროჯის ოქმი — ჩხიკვაძეების შემოწირულობის სიგელი — დეკანოზი ზაქარია მამაცოვი.

1801 წ. მათის დიდებულობის ბრძანებით საქართველოს შემკვიდრე და მართებელი დავით მოგიწერ მახაბელო ზაზავ მერმე სანატრელმა პაპა ჩვენმა და მამამა ჩვენმა თავდებისა მღვთის მშობლისა ყმა და მამული ყოველად სამღვდელთს ბროკელს იუსტინეს მიაბარა და ჩვენც ამას უბოძეთ იმის ყმასა და მამულზედ თვალყური გეჭიროს და უბრალოდ სხვა ბერი არავინ შეუშვათ, ვისიც უნდა ოქმი მოგიტანოს და ამას უნდა ამსახურო იმის ყმა და მამული მათს ქორონიკონს შპთ ჩვენ გვესმის რომ ამისი ყმანი არ ემორჩილებიან და არც ემსახურებიან თურმე ავად შეეპყარ და ის რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე უნდა ამსახურო: 1) (ბეჭედი)

1801 წ. მათის დიდებულობის ბრძანებით საქართველოს შემკვიდრე და მართებელი დავით მოგიწერ მახაბელო ზაზავ მერმე სანატრელმა პაპა ჩვენმა და მამამა ჩვენმა თავდებისა მღვთის მშობლისა ყმა და მამული ყოველად სამღვდელთს ბროკელს იუსტინეს მიაბარა და ჩვენც ამას უბოძეთ იმის ყმასა და მამულზედ თვალყური გეჭიროს და უბრალოდ სხვა ბერი არავინ შეუშვათ, ვისიც უნდა ოქმი მოგიტანოს და ამას უნდა ამსახურო იმის ყმა და მამული მათს ქორონიკონს შპთ ჩვენ გვესმის რომ ამისი ყმანი არ ემორჩილებიან და არც ემსახურებიან თურმე ავად შეეპყარ და ის რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე უნდა ამსახურო: 1) (ბეჭედი)

1) დაკითხი თავის თავს მმართველად უწოდებს, ვიდრე საქართველოს ბედი გადაწყდებოდეს (რუსეთის სასულთნო გარეკლად) იწოდებოდენ რუის საბჭოში ეფისკოპოსები.

1) დაკითხი თავის თავს მმართველად უწოდებს, ვიდრე საქართველოს ბედი გადაწყდებოდეს (რუსეთის სასულთნო გარეკლად) იწოდებოდენ რუის საბჭოში ეფისკოპოსები.

ნ კ ტ რ ე ს ე ლ ი .

ვახუშტორებ კითხვას

1767 წ. მკითხაობის მუჩილგა.

ესე წიგნი მოგართვი მე მკითხავე შარიამამ თქვენ ბატონს ნეკრესელს ასე რომე მკითხავე ვიყავ და ჩვენის ვართავეტისაგანაც საკანონო დამედო და ხელი ავიღე კითხაობაზე და ეს წიგნიც თქვენთინ მამირთმეგია ამას იქით თუ ჩემი მკითხაობა კიდევ მოგხსენდეს ცეცხლში დამწვით. არის ამისი მოწამე სულ ერთობლივ ლომის ციხელნი და აქ ფეიქარი კირაკოზა, მეწისქვილე ევაზა და მე ანტონას დამეწერა და მოწამეც ვარ. დაიწერა აპრილის 11 (11) ქორნიკონს 1767).

ნ კ ტ რ ე ს ი ს

1775 ეს წიგნი მოგართვი მე გიორგი იმერელმა მეტუხზიდემ რაჭელმა თქვენ ყოვლად სამღვდელთს დოკითვოს ნეკრესელს. თქვენ მოგეხსენებათ თავის ადგილ ცოლი... გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გაუშვი თუ სხვას მიზეზით გამეშოს და ბოზობის მიზეზით არ გამეშოს, ქრისტეს წინა შენ პასუხი მოგცე. მე არაშელოძე მიქელა იმერელი ვარ ამისი მოწამე, რომე ეს სიტყვა ჭეშმარიტია და ორმა ამისმა მეზობელმა შეჩიტიშვილს, პაპანაცვალსაც ასე

შემომფიცეს: მართალია, რომე ბოზობის მიზნით გაუშვა. მე ანტონა სომეხს დამიწერია და მოწამეც ვარ ამათი სიტყვისა, დაიწერა ღვინობისთვისა, „ა“ ქორონიკონს შებ. 1)

ნ ე კ რ ე ს ი ს ა .

მ რ ი ს ტ მ ა ლ ჰ ს დ ბ ა .

შოსითეოსს.

1785 წ. ჭათს მალალს ყოვლად სამღუდელოებას ნეკრესელს ჩემს მოწყალეს მამას უფალს და მეუფეს.

ბრაფილე წინამძღვარი ღიდის სასოებით და მდაბლად თაყვანის-ცემით ჩემს მოწყალეობელს წმიდას

შენ. 1) ეს გუჯარა საყურადღებოა მით, რომ ხდას ფარდას კერძოს ცხოვრებას, გვაჩვენებს ზნეობის მდგომარეობას მე - XVIII ს.უგ. ამ ცნობებს ვერ ვბოულობთ ჩვენს მატანეში და ამიტომ სასოგადოების სუჭათის დასახატად ფრად საინტერესონი აჩაან ამ გვარი ხელთაწერნი. სჩანს, ცოლის დალატი მეტად დიდი ჩიჩქი იყო ჩვენი ხალხისთვის, რომ იგი მი-ზეზად ხდება ცოლქმართა გასშორებლად. ამასვე გვამტკიცებს კანონები მეფე ვასტანგ VI. მაშასადამე ეს გუჯარა თახსმად იუყიდიული ნაშთისა სიმატლით გვი-სატაკს წმინდა მსარეს ჩვენი ხალხისას.

ნეკრესელი დოსითეოს კარგად ღრის ცნობილი ჩვენს ისტორიაში. ჩამდენიმე გუჯარში იგი ახსენიება. კათოლიკოზი იოსები 1762 წ. უგზავნის მას დადგინებას შესახებ ეპიტოპის მოწყობისა და სამღვდელეობის მოქმედებისა. (ხსე დ. ფურცელაძე. Церковные гуд-жари, 40).

ჩვენ მიერ დაბეჭდილი გუჯარა არ იმალება დ. ფურცელაძის წიგნში.

მარჯვენს ენმბნენერ და მათს უნებელს მშვიდობით  
და სიმრთელით გებას ვითხოვ ღვთისაგან წიგნი მო-  
გეწერათ და ბარტყულა გებოძათ რომლისაც მეტა-  
ნიით მადლობა მიირთუი ჩემგან შეუფეო წმიდარ  
და რომელიც საყვედურები მოგეწერათ ისინი თვი-  
თეულ აღმომკითხულთა გულის ხმა ეპყავთ რომ-  
ლისა პასუხნი ესრეთ მოგხსენდესთ: ყოვლად სამღუ-  
დელო შეუფეო მე მწიგნობართ უხუცესობით არას  
დროს არავისთვის მიმიწურია წიგნი და არცა ვარ  
მწიგნობარწინ ამქლუარს ვიწერები და ვარცა ძადლი-  
თა თქვენითა: ფაშაანისა რომ მოგეწერათ იმის პა-  
სუხნი მცხეთელებმა ასე მოგახსენესთ: თუ სვეტს  
ცხოველს მძლავრობით და უსამართლობით სხვანი  
არ ართმევდენ მამულს და ყმას სვეტი ცხოველი  
არავის რას ართმევსო დია დიდის ხნით განწესება  
არის კახეთისა და მეფეთაგან ძუელადვე გუჯარებით  
დამტკიცებული რომ რომელიც სოფელი საკუთარი  
ყმა და მამული არის კახეთში სვეტის ცხოვლისა  
სამწყსოც სვეტის ცხოვლისა არის ასე რომ სხვა  
ეპისკოპოსი ვერ შეეცილება ფაშაანი მიწა და წყა-  
ლი და იქ მსახლობელნი კაცნი საკუთარნი ყმანი  
არიან სვეტის ცხოვლისა თუ არა ეს გვიბრძანეთო  
თუ საკუთარნი არიან მამ სამწყსოც სვეტის ცხოვ-  
ლისა არის: თუ ამას ბრძანებთ, ალაზნანს გაღმა  
რადგან არის ნეკრესტონს სამწყსოაო. ვერის ხევი  
სადლა არის, ვგონებთ რომ ალაზნანს გაღმა, უფ-  
რო ფაშაანს ხვით არის, და შილდის მახლობელიც  
არის, და საკუთარნი ყმანი და სამწყსონი არიან  
სვეტის ცხოვლისა მართალია რომელნიც საზიარონი  
არიან მეფისა და კათოლიკოზისა, ვითა საგაჯეო,  
ხოდაშენი, კალაური, გურჯაანი ესენი საზიარონი

არჩან და მისთვის სხვისა სამწყსონი არიან ესე იგი ნინო წმიდელისა და რომელიც საკუთარი ყმანი არიან სვეტის ცხოვლისანი სამწყსონიც სვეტის ცხოვლისანი არიან ესე იგი იმითი ახაშენი ვედის ხევი და ეს ფაშანი ამასაც მოგახსენებენ ჩვენ ბატონმა ნეკრესელმა დაგვიწმინდოს და ხელო დაგვიღუას რომ ჯიმითი და ახაშენი და ვედის ხევი რომ საკუთარი ყმანი არიან სვეტის ცხოვლისა. ვისი სამწყსონი არიან ან ამათი ვისკოპოზი ვინ არის. არჩიან დრიტმა სტეფანემ თქვენს ყოვლად საშლუდლოებას მდაბლად თაყვანის ცემა და ხელს მთხვევა მოგახსენა მოკითხვის მადლობა მოგახსენა და ქრისტეს აღდგომის დღესასწაული შოგილოცათ ღია შეუძლოთ იყო წიგნის პასუხი კი ვერ მოგწერათ ეს მეოთხე თვეა რომ სულ ავად და შეუძლოდ იმყოფება.

მუცენი საკუთარი ყმანი და სამწყსონი არიან სვეტის ცხოვლისა მაშ ფაშანიც რადგან საკუთარი ყმა და მამულია სვეტის ცხოვლისა სამწყსონც სვეტის ცხოვლისა არისო. აქ ჩამოსვლა გებრძანებიათ ჩამობრძანდით იმისი უწმიდესობაც აქ ბრძანდება, და ჩვენც აქ გახლავართ გეპრაიანებათ გუჯრით გველაპარაკეთ გუჯარი გექმნებათ, გეპრაიანებათ სიტყვიით ორისავე ყაბული გვაქვსო.

მორდანეს შვილის ქვრებისა დედაკაცისა ასე მოიხსენიეთ ჩემგან წინაშე ღეთისა სწორე და ქვეშ მარიტობა.

იმის სიმაღლეს ცოციშვილი მანუჩარ და ამერეჯიბის შვილი გამოუგზავნა იმის უწმიდესობასთან და დედაკაციც თან გამოეტანებინა და ებრძნა. მე ვიცი ნეკრესელი ამას მწამობს რომ მითომ მე ამ დედაკაცს უღვევლ. რომელიც განაჩენი აქუს მღვიან.

ბეგებისაგან მიცემული და ჩემგან დამტკიცებული. მე ის წიგნი ამიღიაო. ეპისკოპოსნი შეჰყარეთ და მდივან ბეგებიც თან დაისწართ და როგორც თქვენ უსჯით წინაშე ღეთისა, და სამართალს უზამთ მეც იმ სამართლის თანახმა ვიქმნებოა. იმ ორთავე კაცთ შეჰყარეს ეპისკოპოსნი და მდივან ბეგებიც მოიყუანეს და ის დედაკაციც წარმოაყენეს და ალაპარაკეს. თითონ მდივან ბეგებმა წიგნები დაუსინჯეს და სასმენელად ყოველთა წარიკითხეს და ასე ბრძანეს რომ ამ წიგნების მოშლა და დარღუევა არა თუ ჩვენგან, ქვეყანაზედ შემცოდეს კაცისაგანაც არ შეიძლებაო. თქვენმა მადლმა რომ განაჩენის პირიც თითონ მდივან ბეგებმა გამიკეთეს და დამაწერინეს:

თქვენის ყოვლად სამღუდლოებისაგან მე ამას ვითხოვ რომ თქვენის მამობრივის მოწყალებისა და სიყვარულისაგან დაგდებელი ვიყო, და თქვენის მშვიდობის ამბავ მიბძანებდეთ. აპრილის 29. წელსა **ჩღპე 1785** მეუფეო წმიდაო თქვენის ყოვლად სამღუდლოებისაგან რა საკადრისი იყო ასე უწყალოდ მხილება შერისხვა და განკითხვა დიკასტირისა და დიკასტირის მსაჯულებისა ასე უსამართლოდ და დაუნაშავებლად ჯერ სწორეს შევიტყობდი და თუ ბრალეულად აღმოჩნდებოდნენ ან მიზეზნი შეიქმნებოდნენ რისამე, მაშინ რაც მხილება და ყვედრება და განკიცხვა გებრძანათ ყოვლისავე თანა მდებ იქმნებოდნენ, და თუ არა და რა მართებული იყო ასე მხილება და შერისხვა.

მ. ფაშანისა რომ კათოლიკოზისა თქვენი მონა წინამძღუარი ყმაც არისო და სამწყსოცაო. <sup>1)</sup>

ბექელი («ტრაფილა»)

---

<sup>1)</sup> დასითუას ნეკრესელი რამდენჯერმე იხსენება გუჯრებში. ეს გუჯარი აქვს დაბეჭდილი დ. ფურცლად. მეს, საინტერესო კითხვას შეესება და ამიტომ ფრთხილად საინტერესოა იგი.

მსეც მოგახსენესთ მცხეთელებმა, მორკითხეთო  
შინით და გარეთ კახეთში, გაღმა და გამოღმა მქარ-  
ში ერწოსა საგურამოსა და სხუაგანა. თუ სადაც  
საკუთარი სოფელი არის კათოლიკოსისა, სამწყსოც  
კათოლიკოსისა არ იყოს, თითონ ერწოელნი დღეს  
ახმეტას სახლობენ საკუთარნი კათოლიკოზის ყმანი  
და სამწყსრნიც კათოლიკოსისანი არიან. ეგ ფაშაანი  
ჩვენ ხომ არ შეგვიწირავს, ღია დიდის ხნით ძვე-  
ლათგანვე სახასოთ დადებული და შეწირული მამუ-  
ლია მეფე თანც და გუჯარებით დამტკიცებული,  
თუმც მემკვიდრენი ამოსწყდნენ და გაფუჭდნენ. მაგ-  
რა ხიზანი მიგვიყვანია სვეტის ცხოვლის მკეთარი  
ყმები დაგვისახლებია და სამწყსოც სვეტის ცხოვ-  
ლისა არის მანამ აქ ჩამობრძანდებოდეთ, ჩვენგან ასე  
მოიხსენეთ.

ნ ე კ რ ე ს ი ს ა .

1788 წ. საქართველოს პატრიარხი მეფის ირაკ-  
ლი მეორის ძე ანტონი მოგიწერ ყოვლად სამღვდე-  
ლოვ ნეკრესელ ეპისკოპოსო დოსითეოს: მე დიდად  
მიკვირს შენის მეცნიერებისაგან, რომ საქართველოს  
მამათ მთავარს სამწყსოს შემოსცილებიხარ, და ჩვე-  
ნის ყმისა და სამწყსოს ვეძის ხვევლის ასაბა შვი-  
ლის დიაკონის დავითის თავის მღვდელად ხელი  
დაგისხამს, როკორ მოგსელია, რა მიზეზია, ან ვი-  
სის ბრძანებით გიქნია უნდა მომწერო დაქვრიებუ-  
ლი იყო, და მწყემსი აღარ უჯდა, იმისის უწმინდე-  
სობისაგან განწესებული და იმის სიმალლისაგან დამ-  
ტკიცებული დიკასტირია ხომ იყო, და ესენი განა-

გებდენ სამღვდელმოსა და სულიერს საქმეებსა, რა-  
 ტომ ამათ არ დაეკითხე. და ამათის წიგნით არ  
 აკურთხე, და თუ ამ ჩემს კათოლიკოსობაში იყო,  
 ჩემს უკითხავად როგორ გაჰბედე ჩემს სამწყსოს მი-  
 ტაცება, ორგზითვე დიდი უკადრისი საქმე გიქნია,  
 და წინაღმდეგომი წმიდათ მამათ კანონით თუ შენი  
 სამწყსო იყო, ნეტარა ხსენებულმა ბიძა ჩვენმა იმის  
 უწმიდესობამ დიაკონად ხელი რათ დაასხა, და თუ  
 შენი სამწყსო არ იყო, ვინა ხარ, ან რა კადნიერება  
 გაქვს შენ ჩემს სამწყსოზედ, რომ ჩემს კათოლიკო-  
 სობაში სამწყსოს შემომეცაილე, და ჩემს დიაკონს  
 ჩემს უკითხავად მღვდელად ხელი დაასხი: მე ასეთს  
 ქვეყანაში ვარ წამყოფი რომ იქ შენისთანაგებისაგან  
 ამგვარს კადნიერებას ვერ ეწყობიან, და ვერც დასთ-  
 მობდენ და ვერც მე დავსთმობ ვერც შენგან, და  
 ვერც სხვათაგან. და არც ჩემს დროში ანისთანას  
 ურიგობას ვისზე ვაქნევიან: მე კარგი პასუხი მაქვს  
 შენთვის მოსაწერი ამისთვის მაგრა ამ დროებაში  
 დია მოუტლელად ვარ, და ჩემაგიერ პასუხის მომ-  
 ცემად კმა არს შენდა, კანონი წმიდათა მოციქულ-  
 თა, შ; ანტიოქისა, იქ. და ეფესოსისა კო. და იქი-  
 დამ ჰსცნობ ყოველსავე მე არა რა პასუხი გცე ამის  
 მეოი; მე ვე მღვდლი დავით კანონისაებრ მამათასა  
 მღვდელობიდან განმიკვეთიო, ახლავ გამოუტებ დე,  
 რომ ნულარა სწირავს, და ნულარცარას იმღვდელ-  
 მოქმედებს, ვერა ცხვარი განჭრილი სამწყსოსაგან  
 თვისისა და სხვისაგან მამოღბი ხელის დასხმისა, ახ-  
 ლავ შეატყობინე რასაც წამს ეს ჩემი წიგნი მოგი-  
 ვიდეს, დაყოენე: შენ უნდა ამგვარს მამათ კანონის  
 წინააღმდეგებს საქმესა: დეკემბრის იხ. წელსა ჩღპც.

კათოლიკოს ანტონ. 1)

1) დ. ფურცლადკს შეცდომით ქვე სამწყსო აღიკეს  
 ბუფარი 17 მან წ. (ს. Церк. Гудат. 43)

ბ ე დ ბ ი ს ი . (1)

1777. ლმერთმან ბედნიერის ხელმწიფის კირი მოსცეს კახეთის იჯარაღარს კურდღელაშვილს და ეფთოს. ბოდბეში სამღებრო ხომ შეწირულია და იმასთან ხელი არა მაქვს და რომელიც სომეხი საბოდბლოში ვაჭრობენ, ბოდბელი იმათ ბაჟს არ მაძღვეს. ჩემო ხელმწიფევე შფოთის მოხილლ ვაცი გახლავარ ბოდბელიც აქ გახლავსთ და მთელი ქიზიყიცა მოიკითხეთ და ეს ჩუენი საქმე გვარიგეთ ლმერთი გაგიმარჯვებს რომე კახეთის იჯარაღარის კურდღელაშვილსა. ეპისკოპოსის წყევლის დიადო მეშინიან იენისის ნბ (12) ქორონიკონს შს). (ბეჭედი, ერეკლე!) 465-1312=1777 მოწერილი აქვს: მღვდელთა უფალთ ბოდბელთ დავით. მისივე წმიდესობა ჩუენი ძმა პატრიარხიც აქ ბძანდება გადმობძანდეთ და ეს საქმე და სამართალი გარიგდეს.

ბ ე დ ბ ი ს ი .

- 1615 შოვლად სამღვდელთ ბოდბელი ვასილი.
- 1592 ყოვლად სამღვდელთ ბოდბელი მათეოს.
- 1642 ყოვლად სამღვდელთ ბოდბელი დიასამიძე.
- 1721 ყოვლად სამღვდელთ ბოდბელი ზაქარია.
- ყოვლად სამღვდელთ ბოდბელი ანტონე.
- 1673 ყოვლად სამღვდელთ ბოდბელი ციციშვილი ნიკოლოზ.

ამ ყოვლად სამღვდელთათგან მიცემული წიგ-

1) ნახე წინა გუჯარსი ამავე კითხვაზედ. დ. თუკ. ცელაქს არ აქვს დაბეჭდილი.

ნი მებაჟობისა აქეს ბალიშვილს პაატას. თუ ინებებს მისი სიმაღლე მიერთმევა. აგრევე აქეს ხევის, ქეხის, ხევის მებაჟობისა. <sup>1)</sup>

1754 წ. მომებარა მე საამიშვილს ზაალის ყმას ბარძიშს ბატონის ბოდბელისაგან ორი თუმანი თეთრი ზაზას გამოსახსნელი. სექტემბრის ძღ. ქორონიკონს უნბ. <sup>2)</sup>

### ს ნ ა ნ უ რ ი .

1776 წ. ბატონისშვილი ანაგვის საყნასთაოს მშეობელი ლეონ გიბძანებ სახლთხუცესო ფარემუზ ნაზირო გოგიაე და ერთობით საერისთაოს მოხელენო და ჩვენგან გაგზავნილნი მოსაქმენი რომელნიც იყენენ ყველას ეს ჩვენი ბძანება ასე გქონდესთ შეტუობილი რომ რომელი კაცი ამ სიაში სახელდობრივ სწერია ანანურთა ღეთის მშობლის შეწირულნი არიან ამათთან ხურა კაცს საქმე ნუ გაქვსთ და

<sup>1)</sup> დ. ფურცელაძეს ჩამოთვლილი ჭყაკს ბოდბელე-ბი მე XVIII საუკ. გასულამდე. ჩემს გუჯარში მხლად ზემო მოყვანილი ბოდბელები ამოვიკითხე. ის თარღი დაუსკი, რომელიც დ. ფურცელაძეს აქვს აღნიშნული. ბოდბელი ონოფრე არ იბოება დ. ფურცელაძეს დაბეჭდილ გუჯარში. არც არას მოყვანილი ცნობა მებეყებზედ. ჩვენ ეს ცნობაც საყურადღებოდ მიგვაჩნია.

<sup>2)</sup> აქ გვონებ ტყეობიდან ან ყმობიდან გამოსახსნელ ფულზედ უნდა იყვას ლაზარაკი. დ. ფურცელაძეს არ აქვს დაბეჭდილი.

ნურცა რას საჩვენო სათხოვარში ნურას ვერში ნუ გარეკოთ რაც რომ გუჯრიდ ეკლესიის სამსახური აქვსთ იმას უკლებრივ უნდა მსახურებდნენ ლაშქარ ნადიროვის გარდა ჩვენი სამსახური ამით არ აქვსთა რა და არც ჩვენ ამით ვმსახურებთ, თუ ვინიცობა რამდენსამე წელიწადში ერთხელ საქართველოს საქვეყნო ხარჯი სხვა ეკლესიის შეწირულობა გლებკაცთაც გარეკენ იმ ხარჯში ესენიც თავიანთ შეძლებით უნდა გაერივნენ, ამას გარდა თუ სახელდობრივ შირჩევთ ჩვენგან არ ეთხოვება რა არას მოხელეს და მოსაქმეს ამითაჲნ საქმე არა აქვსთ რა და ვერცარას გამოკართმევენ ღმათთან ნურც ვრავის სამოურაო აქვსთ ვისმე ხელი. ყველამ ასე იცოდეთ თუ ვინმე ამ ჩვენს ღმანებას გარდახდით და ესენი საჩვენო სათხოვარში გარიეთ ღდათ გარდაგახდევინებთ და ჩვენის შეცოდების მსგავსადაც გარდაახდევინებთ და თუ ვინმე ამათში ამოწყვეტილიყოს იმათი მამულიც ეკლესიისა არის რომ იმისი საჩვენოთ მოხმარება არ იქმნება ეს როგორც ვებძანებია ასე უნდა აღასრულდეთ და თუ ვისმე ამადზე და ან ამით სამოურაო საქმეზე სამართლიანი სიტყვა გქონდეთ ჩვენ მოგვახსენეთ და პასუხი მოგეცემათ სიმაართლით. დეკემბრის 30 ქორონიკონს უმღ. (ქვეით სწერია შემდეგი:)

არაგვის საერისთაოს წმინდის ღეთის მშობლის ტაძრისათვის ანანურს ძეკლთაგან რაც შეწირულობა ჰქონდა გუჯრით და ხელ ახლა მათის სიმაღლის სრულად საქართველოს მეფსა მეორის ირაკლისაგან დადებული გუჯრით გახსლებულაყო თვითეულათ სახელდობრივ ამას ქვემოთ სწერია. ანანური მითით, შარით, წყლით წისქვილით ბალით სახნავი უხნავით

აქვე როსტის ნადირასადირა ნუნაშვილი საღისევილი  
შედოსშვილი გიორგი ბასილაშვილი პაპუნა შაქარის  
შვილი იანა და ხოსიტა გიგოიძე და დათუნა გი-  
გოიძე ბერი თამაზა და გოჩიაშვილი. ქარის ხევის  
შედუკამენი მამიტა მისის მამულითა ბრჭივა მისის  
მამულითა კიდევ ერთი კომლი მამული ნარიმანას  
შვილი ბერი ფსადე პაპა თავისის მამულით და სახ-  
ლის კაცებით ოქროს შვილი, ბერის შვილი, დემე-  
ტრე შლაგიძე, ნინიკა მისის მამულით, ჭამს ოთხი  
კომლი კაცი, ერთი გეთისშვილი პაპუნა მისის სახ-  
ლის კაცებით კოდისშვილი გოჩია მისის სახლის  
კაცებით მესამე სულაბერიძე აბრამა მისის სახლის კა-  
ცებით და მეოთხე შაქაქური შატატა ესენი მთით  
ბარით სახლით და კარით ჭურმარით, კალოსაბმლით  
სახნავით ველით და ვენახით წყალ წისქვილით სა-  
სამართლოს ქალით სათიბით და სამართლიანის  
სამძღვრით. 1)

პრაგვის პირს ინაშვილი მღვდელი მანარობე-  
ლი ქვემო ხანდავს ურია ქუთათელი იოსებ და ქუ-  
თათელი იაკობ და პაპუნა მათის მამულით რისაც  
შქონებელი იყოს და ერთი ვენახი ნაწილისა შვილი  
ნაწილა და მისი შვილი გოდერძა ქარის ხევის ბრა-  
ჭულო ღანძის შვილი ბერი, აქაკს ზოდოკე მღვდლის  
დებულობა ბანკური ღთისაგარ ბერი ხელუზაური  
ბუჩასშვილი ლომი თაფის სახლის კაცის ბაბრადე  
მღვდელი იაკობ. სარიმავლის ნაქანი ვენახი გრი-  
გოლისშვილი შქონდა და ახლა ჩვენ ოსევ შევწირეთ.  
ბატონისშვილი ვახტანგ გიბძანებ ციხეაულო  
შერბე რომელიც ბრძანებები სანატორიოს ჩვენს ძმას

1) გუგუის გახსენების შესახებ ნახეჩქვა «ბატონ-  
ქობა საქართველოში» გვ. 11—12.

ბატონის შვილს ლეონს ამ წერილით განუწყესებია ანანურთა მღვთის მშობლისათვის შენ ახლავ უნდა დადგე და ასე (დასე) აღუსრულო და გარიგო მარიამობისთვის ქორონიკონს უმ., ამისი გაურიგებლობა და აღუსრულება დღეის იქით არა საქმით არ იქნება. <sup>1)</sup>

### უდაბნო ნათლიძე.

1738 ქ. მსე. მცირედი შესაწირავი შემოგწირეთ ჩვენ ჩოლაყაშვილმან სალო ხუცესმან გივმან თქვენ პატრიონის სულისა ჩვენისა მეოხს უდაბნოს ნათლის მცემლის ასე, რომე თქვენი საკადრისი არა არის რა და ქვენად შესაწევენელად, სულისა ჩვენისა სახსრადდა, მტერთა საძლეველად სახლთხუცესი მე მოვიდოდე ყოველს წელიწადს ათისთავსა მოგართმევდეთ და არას დაგაეწლებდესთ, სანამ ცოცხალი ვიყვნეთ არას ღროს ეს ჩვენს სიცოცხლეში არ მოგიშალოთ ღვთის შეწევნით. ქორონიკონს უკვ აპრილის მ;

მ. მე გრიგოლსაც რაც შემიძლია ასე გემთახურო ვინემ ცოცხალი ვიყო ქორონიკონს ულ.

### ნათლისმცემლისა.

1764 მ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა კათოლიკოს პატრიარქმა მეფის ძემ ანტონი ესე წიგნზე მოგართვით ჩვენ სასოს მრავალ მთის მონასტერს ნათლის-მცემელს და მის წინამძღ-

<sup>1)</sup> ეს გუჯარი დ. ფურცელაძეს აქვს დაბეჭდილი.

ვარს სიმონს 1) და მათს კრებულთა რომ ჩემს ძმას მეფეს ირაკლის მათს სიმალლესაც გაერიგებინა და ჩვენ სამლოცველად და საგარეჯოდამ ჩვენის სარგოდამიწველიწადში ორი საპალნე ღვინო მოგერთმოდეს ნათლის მცემლის მონასტერსა და ოცი კოდი პური ჯი-მითიღმე ჩვენის კოდის პურიდამენ მოგერთმოდეს ამის შიზეზისაგანა რომ დიახ ავის დროსა და ლეკის აორე-ბისაგან დიახ საქმე გასჭირებოდათ თქვენს მონასტერსა და მას შინა მდგომთა კრებულთა და ეს ჩვენგან მორთმეული მცირედი შესაწირავი ყოველს წელიწადს უკლებლად მოგერთმოდეს. დაიწერა წელსა ჩქა და აფესა იენისსა მრ-სა დღესა.

კათოლიკოსი ანტონი.

მ. ჩვენ ყოველისა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი მეფის ირაკლის ანტონი ამ წერილს ჩვენ-ცა ვამტკიცებთ თებერვლის 3.

კათოლიკოს ანტონ.

ნათლასმც. უდაბნო.

1779 მ. ჩვენ საიმერეთოს მეფის ძემ ალექსანდრემ ეს წიგნი და პირობა მოგერთვით ნათლის მცემლის უდაბნოს მამასა წმინდას ეფთვიმე ასე რომ მე მანამდის ჩვენ ცოცხალი გახლდეთ იმ მონასტრის

შენამუნა. 1) და ფურცელადი არ იხსენიებს წინამძღ-ვარს სიმონს და მაზეზს, რომელმაც აიძულა კათოლიკოსი ანტონი შესაწირავი მიერთმია მონასტრისთვის (пер. гудж. გვ. 73).

მადლით და თქვენის მადლით ნიადაგ წელიწადს ას მარჩილს თეთრს და ან ერთს ჯორს და ან ერთს იაბოს ამას უნაკლულოდ მოგართმევდეთ ხოლმე ჩვენის საოხათ და ხორციელის ხსენის საკურნებლად რომ მარად სასოება გვაქვს და დიდებულ მონასტერში და თქვენის სიწმინდებელ თქვენც ჩვენი მლოცველნი ძლიერის მიმართ მავედრებელი უნდა ბძანდებოდეთ თქვენის კრებულთითურთ როგორადაც თქვენგან ნაბოძები წიგნი გვიცხადებს და ჩვენგანაც ნიადაგ წელს ეს ზემო ხსენებული მოსახსენებელი მოგერთმევათ ა აგვისტოს ბბ ქორონიკონს (შაზ)

მეფის მე აღეკასანდრე. <sup>1)</sup>

იოანე ნათლ. მცემ. მონასტეკა.

1689 წ. მ: ნებითა და შეწევნით მღვთისათა ჩვენ მღივანბეგმან ბარძიმ მცირე ესე შესაწირავი მოგართვი და წლითი წლად მოგახსენე სულისა ჩვენისა სახსრად და დღეთა ჩვენთა კეთილად წარსამართებლად იოვანე წინა მარბედ უფლისაო მონასტერსა თქვენსა და ვინც იქ შეკრებულიყვნენ ჩვენგან მიერთმეოდეს ყოველს წელიწადს რაცდა ხუთი კოდი პური სამი საპალნე ღვინო ხუთი ლიტრა ზეთი ორი ლიტრა სანთელი იქ მდგომნი მწირველნი ვინც მღვდელნი და მთავარ დიაკონნი იყვნენ თორმეტ საუფლო დღეს ჩვენდა სასულიეროდ და სადღეგძელოდ ქამს სწირვედენ და ამათ საწირავს ცალკე მიერთვამთ იანერის ა ქორონიკონსა ტმზ (1689). <sup>2)</sup>

1) შინაარსი ამ გუჯრისა მატყვის დ. ფურცელაძეს.

2) შინაარსი ამ გუჯრისა იხილე წიგნი დ. ფურცელაძეს.

გ რ ე მ ი ს ა.

1800 წ. მაის უმაღლესობას ბენდიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის გრემისა მლოცველის გრემის კარის ეკკლესიის პავლე მღვდლისა. მე რომ გახლდი ჩემი სამწყსოსაც მამის ჩემის სამწყსოც მიეცით. ამას გვევდრები უსამწყსო გახლავარ ნეკრესელზედ ერთი ოქმი მებოძოს რომ მამის ჩემის სამწყსო მამეცეს დეკემბერს მ ქორონიკონს უპს (1800) ჩვენ ყოვლად სამღვდლო ნეკრესელი ამ ბრძანებას რომელიც მის უმაღლესობას მეუფეს გიორგის უბძანებია ჩვენ მათის მლოცველისათვის ამისი მოშლა და წინააღმდეგობას არც შეგვიძლიან და ხელსაც ვაწერ დეკემბერის მ ქორონიკონს უპს (1800) ნეკრესელი. <sup>3)</sup>

<sup>3)</sup> მეუფის გიორგის ბძანებით ნეკრესელმა ეპეკსიაც და მისი უმკბაც პავლე მღვდელს უბოძა, რადგან პავლეს მამას სჭერია იგი. აქ გხედავთ ერთს შემთხვევას შემკვიდრებით თანამდებობის გადასკლისას. შუად. Ррест. гр. გვ. 88 и двор. гр. გვ. 9, 11, 12, 14. და ჩემი «ბატონუბობა საქართველოში» გვ. 120. ეს კითხვა იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგუბნაა მას ცალგე წერილი უძღვანთ.

დ. თურცელაძეს ეს გუჯობი არ აქვს დაბეჭდილი.

ხოლო კვლად ჩელებთის წალს. ზებით აღაზანს ქრთვის საბუე-გრემის წყალი, გამომდინარე დადოეთსა და აქას შორის კავკასის და მომდინარე ვითარცა წინანი მდინარენი: ამ წყალზედ არს გრემი, რომელ ქმნეს ქადაქად ქორონიკონსა 1466, შემდგომად განდგომილებისა კასთა მეპატრონეთა და მეოფდენ მუნ... (კახუშტი, გეოგრაფია გვ. 316.

ნი მანდ ჩვენს ეკკლესიაში უნდა იყოს და იმყოფებოდეს ყმაც ჩვენს არს და ვე ეკკლესიას და მანდ გაგიწესებია და სამწესოც უკლებათ უნდა მოსცე, რაც რომ ამის მამას სჭეროდეს. დეკემბრის 6 1800 წ.

იძიება

გ რ ე მ ი.

1800 წ. ქ. ჩვენი ბძანება არის ნაზირ დავით მერმე გრემს ჩვენი კარის ეკკლესია რომ არის, მაგ ეკკლესიის წინამძღვარი არის დეკანოზი ხელაშვილი გიორგი ერის და მაგ საყდარში ყალიშათ პეტრე მღვდლის შვილი არის სხვას საქმე არავისა აქვს ვე პეტრე მღვდლის შვილი პავლე მღვდელი უნდა იყოს მთიბათვის მ ქორონიკონს შპს. შენ რომ მოგეწერა ეს იმისი პასუხი არის კურთხეული მეფის გიორგის ოქმა დავით მაყაშვილთან მიწერილი.—<sup>4</sup>)

დროისა და დანიშნულია იმისთვის დასაწყისად  
ერთ სანდო უნდა საბიჭო თანხმდეთ  
ქმთ ე ჯ ა მ გ ი რ ს ა.

1790 წ. როდესაც მათმან უმაღლესობამ მეფემან საქართველოდამან ირაკლი მეორემან ინება და წინამძღურობა მიბოძა თელავის კარის ეკკლესია-

<sup>4</sup>) ეს გუჯარბი შუადგენს მეფის ბძანებას პეტრე მღვდლის თხოვნასზედ, თავს განგარკულებს მეფეს მოკვებს სასრულეში ნაზირ დავით მაყაშვილის შემწეობით. ჩვენი უმაღლესი მთავრობის საქმის წარმოება იხატება. დ. თუწყვალაშქს არ აქვს მოუყანილი ეს გუჯარბი. ზოგან და ზოგან მცირედი შესწორება შეტაკებს გუჯარბში, რაცა იგი დამსხინჯებულა ბნელი ადამიანსტრატოული ენით.

ისა და გრემის ეკკლესიისა. იმის წინა წელიწადს იმ კარის ეკკლესიაში იმყოფებოდა მღვდელი იოანე ხირსელი მეფისაგანვე დადგინებული სოფლის საკათურით (?). აიღო ხელი და ისევ თელავს კარის ეკკლესიის კრებულისა ეკკლესიაში განწესდა იოანე მღვდელი ხირსელი, დარჩა ის კარის ეკკლესია უმღვდლოდ. მაშინ მიბრძანა მისმან უმაღლესობამან წინამძღვარო გრიგოლ ეცადე და ერთი მღვდელი დაუდგინე ამ ეკკლესიასაო მე ბრძანებისაებრ გულსმოდგინე ვიქმენ და აღვასრულე გპოვე პატიოსანი მღვდელი პეტრე პირველ მრხდომელი იყალთოს ეს ბატონის ბრძანებული გამოგიცხადე და შენც ინებე აიყარე შენის ცოლით და შეილით და ყოვლის შენის საცხოვრებლით მიხველ და იმ ეკკლესიაში დასდეგ. ეკკლესიის წირვა და ლოცვა განუწყესე და რომელიც მღვდელობის წესია ისე მსახურხედ ეკკლესიისა, ამ ეკკლესიის გაუკეთებინე მევე ბარძიფეშხუმი ვეცხლისა თორმეტის თუმნისა და დავსდგი სადიდებლად ჩვენის ხელმწიფისა რადჲან შევიქმენ შენის იქ დაყენების მიზეზი და შენც გულს მოდგინე იქმენ. ამი თვის ეს წერილი მოგეც თუ შენს სახლში სამღვდლო კაცი არ აღიხოცოს ის ეკკლესია არ გამოგერთოს მისის უმაღლესობის ბრძანებას გარდა. აგრევე არცა სხვათა წინამძღვართაგან და რაც იმ ეკკლესიის შემოსავალი აქვს არცარა საქმე იმისთანა აქვსთ სხვათა ეს წიგნი მტკიცედ მომიცია მე კარის ეკკლესიის წინამძღუარს გრიგოლს: პეტრე მღვდელი შენთვის და შეილთათვის ოკლდომბერს ზ (7) ქორონიკონს უოღ (1790) (ბეჭედი) ქ. როდესაც კუროთხეულმა მეფე გიორგიმ კარის წინამძღვრობაში გიბოძა მაშინ ეს წერილი ამ პავლე მღვდელმა წარ-

შომიყენა გრიგოლ წინამძღვარს მიეცა ეს წერილი მეც ამისი თანხმა შევიქენ რომ ამ პავლე მღუდლის მეტს მღვდელს იმ ეკკლესიაში საქმე არავისა აქეს. ამისი არის კუროთხეულთ მეფეთაგან ნაბოძები და ჩვენც როგორც იმათ უბოძებიათ ის ბრძანება ალგვისრულებია, ივლისის 3 (20) ქორონიკონს შპც (1800) (ბეჭედი)

კახის წინამძღვარა ელევთერ (?)

ჩვენ მეფე სრულიად საქართველოსა ირაკლი შოარე ვამტკიცებთ <sup>1)</sup> ამ წიგნსა გიორგობისთვის 16, 1795 წ. ჩვენ ბატონისშვილი იულონ ამ წიგნსა ვამტკიცებთ რაგვართაც წინამძღვარს გრიგოლს დაუყენებია და შემდგომ მათს უმაღლესობას დაუმტკიცება ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია და დაგვიყენებია ამ ეკკლესიაში სეკლემბრის 13, 1795 წ. (ბეჭედი)

1793 ქ: ღვთით მათის ღიდებულების ყოველად მოწყალის ხელმწიფის კირი მისცეს თქვენს სამარადისოდ მლოცველს თქვენს საცლადავს მოხუცებულს წინამძღვარს თეოდოსის: უმოწყალესო ხელმწიფეო რა მაღლობა მოგახსენო ესე ვითარცასათეინ მოწყალეებისა ყოველად სურვიელ ვიყავ საფლავისა ჩემისა და აწ მებოძა. ღმერთმან ყოველთამან აღიღოს და აღამაღლოს კეთილ მსახური სიმაღლე თქვენი ვითარ დავით და კონსტანტინესი ღვთის მოყვარეო მეფეო თუ დოდო აშენდება და ჩვენ მზა ვიყავით ვიღრე

1) დ. ფურცელაძეს ან დაუბეჭდია ეს გუჯარა.

სიკვდილადმდე, და თუ არ იქნება აშენება ვევედრე-  
ბით და ვით გარესჯას არ ჩამოერთოს ეს ღოდოს  
მამული და საქმე გაჭირებული აქვს ღღეს მონასტერ-  
სა და ამ მიზეზთა ძალით ვაბედავთ მოხსენებას, და  
ვევედრებით მეც და ჩემთანა ესე ძმანიცა რომ უძვე-  
რეს პირველის არ იქნას და ნება თქვენს სიმაღ-  
ლისაა უმოწყალესო ხელმწიფეო: ოკლამბერს: **მკ:**  
ქორონიკონს **შპა (1803)** ქ: ჩვენ მაგიერად დავით  
გარესჯის წინამძღვარს თეოდოსის ასე უამბეთ **მბრე,**  
როგორც ამ არსით უითხოვნია წმინდის ღოდოს შე  
მოსავალი არ ჩამოძირთმეგია სრულებით შენ უნდა  
მიიღო და (შეგვატყობინო) შემოსავლის ერთობა  
უნდა შეგვატყობინო რომ იმისი მაგიერი იმ მონას-  
ტრისათვის კიდევ ჩვენ უნდა დავსდეთ, ყოვლად  
სამღებდლოვ უფალო ნინო წმინდლო იოანე დო-  
დოს შემოსავალი სრულებით წმინდის ღვთის-  
ჯის წინამძღვარს თეოდოსის მოაბარე ახლავ ოკლო-  
მბერს **მკ** ქორონიკონს **შპა (ბეჭედი)** ქ: ჩვენ საქარ-  
თველოს უფლის წულ შეფის ძე გიორგი ამ ბატონის  
ძმის ჩვენის ბრძანებას ვამტკიცებთ ოკტომბრის **ლა** <sup>2)</sup>  
ქორონიკონსა **შპა (ბეჭედი გიორგისი).**

---

**ნ ა ნ ო წ მ ა ნ დ ა .**

1757 წ. ქ. იდიდებოდენ ყოვლად ყოველსა  
ერთობასა შინა სამობა, და ყოვლად ყოველსა სა-  
მობასა შინა ერთობაჲ; თვისისა ერთობისა მიერ  
მრავალთა განყოფაჲ, და სამობისა მიერ ყოველთა

---

<sup>2)</sup> დ. ფურცლამკს ან დაუბეჭდაჲ ეს გუჯარი.

ერთობა მრავალთა ქმნულთა ზედა, და ყოველთა  
აგებულთა ზედა, რაიცა ყოველთა ღმერთთა ზესთა  
ღმერთ არს, და ყოველთა ერთთა ზესთა ერთ არს:  
და რომლისადმი ყოველთა ზოგადთა და კერძოთა  
შინა, და უქმთა უშვთა სხეულთა შინა, არსთა ძერა-  
თა გრძნობათა შინა, და მსიტყუთა სულთა და გო-  
ნებათა შინა, თვისისა საწყურისა ერთობა და შექმო-  
ბა ილაღადება მყოფობისა და ცხოველობისა წადილი  
აღსახმილდება, და ელვა სურვილისა ზესთ ეთერისა,  
და ზესთ სამყაროსა და თვით მათ ძალთა და საყ-  
ღართადმი, მიეფინება: მის საუკუნოსა ძალისათა და  
ზესთ საუკუნოსა ძალისათა რომლისა ხედვადი ქმულ-  
თა პირველ ქმნისა და ვიდრე აღსასრულადმი არსთა  
განზომადა და განზრახვადი უმჯობესსა ჩვენსა წინაით  
განაგებდა: და რომლისა მიმართ დასაბამობით და სა-  
კუთრებით და ტომობით ვიდრე მე ჩვენი, და ჩვენ-  
თანავე დაუშდაბლებელითა თანა დაგლახაკებითა თა-  
ნად ჩვენთანა ღირსაცა მამაი მომახსენეო ილოცვიდა  
სიტყვაჲ შენიო რომელ. არს მასწავე ნებაი შენიო,  
მან ჩვენცა მოგუახსენა მონათა, თანა დგომითა დე-  
დისა ქალწულისა და ჩვენისა ვიტყვი მომკუდრისა ბუ-  
ნებისა შორის ძალად უკუდავებისსა მოქმედებად მო-  
მყენებელისა მარიამ საქონისა სძლისათა: ხოლო შე-  
წევნითა ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა  
სამღებელისა ჯუარისაითა ესე აღრჩევა და კეთილად  
განრჩევა განვაგვთ და განვაწესეთ ჩვენ ღუთივ ცხე-  
ბულმან მეფემან ქანთკვლთამან თეიმურაზ, და ძემან  
ჩვენმან მეფემან კახთამან ირაკლიმ და ყოველისა სა-

ქართველოთა კათალიკოზ პატრიარხმან იოსებ: 1) ოდეს მოკლებითა კეთილისაითა, და განმრავლებითა სიბოროტისაითა ცოდვითა ჩვენთა მიერ მოაკლდეს და შემცირდეს და რომელნიმე სამარადისოთ აღობრდეს წმიდანი ეკლესიანი: და განმრავლდეს უსჯულოთი მიერნი ჩვენსაზე დაობრება და ტყვეობა მწარე მას ჟამსა ქვეყანასა კახთასა ფრიად მოკლებული საეპისკოპოსო დაუშენი ეკლესია ჭერემლისა სრულიად ოხერ და შენებულება ტაძრისა დაქცეულ და ყოვლად უკაცრულად იმყოფებოდა: რამეთუ მრავლათ ჟამითგანვე, პირველ ჩვენსა წარტყვენილ და მოხრებულ იყო: და ჩვენ მას ეკლესიასა შინა ეპისკოპოსი მისი თვისსა საყდარს- ზედა მჯღომარე არა გვეხილვა: ხოლო შემოსავალნი და რაიცა სარგო მის ეკლესიისა თვისსა აღგროსა და სამწყსოსათა შინა აღიღებოდა, სრულიად ცუნდათ წარეგებოდა არც მის ეკლესიისა წარსამატებლად და აღსაშენებლად წარეგებოდა, არცა მისთვის დაიმარხებოდა: და ენაიღვან ესე ესრეთ იყო აღშენებასა და განახლებასა მისსა, ფრიადი ჭირი და სახმარი უხმდა, და ესე არა ძალ გვედგა და უსჯულოთა მტერთა მარადის ზედა მოსვლისა და ბრძოლისაგან, მას შინა სამლუდელლოთა ანუ საეროთა მკვიდრობაი, არა იქმნებოდა: ამისთვის ესე ესრეთ განვიზრახეთ და განვაწყესეთ, რათა ეკლესიისა შემოსავალნი ეგრეთვე ეკლესიათა შეეძინებოდეს და ცუდად არა წარეგებოდეს: და ამის მიზეზი-

1) ამ დროს მღ. იოსელიანს ვრ ქუაქს მახსენებულ კათალიკოზა იოსებ (6 древн. Тифлиса) იოსები იყო კათალიკოზად სელაჰმონ I დროს იმერეთში. იგი იხსენება გუჯარში 1774 წ.

სათვის სამთა ეპისკოპოსთა თვისსა ეკლესიასა შინა  
მყოფთა და შენთა და განკარგულთა განუწყოლიეთ  
და ყოველივე საქერემლოთი, რაიცა შემოსავალი იყო  
სამათ განუყავით ვითარცა აქა აღგვიწერიეს, და მის  
საეპისკოპოსოსა სოფლისა და სამწყსოთა გამოსაღებ-  
თა და ღრამათა და ყოველთავე საქერემლოსა გამო-  
სავალთა ესე ეპისკოპოსნთ აღიღებდნენ და თვისსა  
ეკლესიასა ახმარებდნენ და მათს ზედა წარაგებდნენ.  
გარნა ესეცა განჩინება და ბრძანებაი და გვიძს რათა  
ყამი თუცა მოიწიოს და ოდესცა ინებოს მეუფემან  
ჩვენმან ქრისტემან და მოწყობებთ მოხელეა ყოას და  
მშვიდობა მოჰქუინოს რომელ მას ეკლესიასა შინა  
თვისსა ეპისკოპოსსა დადგრომა და მას შინა მკვი-  
დრობაი ძალ ეღვას, თვინიერ ყოელისა სიტყვისა და  
ყოელისა ცილობისა თვისი მამული და სამწყსო და  
რაიცა შემოსავალი დგსარგო მისი იყოს ყოველივე მის  
ეკლესიისა ეპისკოპოსსა მიეცეს უკლებად და უც-  
ლებელად და უსიტყველად ხოლო სამთა ამათ  
ეპისკოპოსთა ამბა ალავერდელსა ბოდბელ მიტრო-  
პოლიტსა და ნინო წმიდელსა მიეცეს სამწყსო საქე-  
რემლოც ესენი: უფალს ჯამბა ალავერდელს ენდრო-  
ნიკაშვილს ნიკოლოზა ერგო სამწყსო საქერემლონი  
სოფელი კონდოლი სრულიად: სოფელი კირის ხევი  
სრულიად: სოფელი წინანდალი სრულიად: და სამწყ-  
სო და თავნდრს შვილი მამუჩინ შვილები: და ამას  
გარდა კიდევ სოფელი ველის ციხეა: უფლოს ბოდბელ  
მიტროპოლიტს ენისელთ მოურავის ძეს იოანეს ერ-  
გო ქერემლის სამწყსო სოფელი ვეჯინი — სრულიად:  
თავადის შვილის ერასტის შვილებითა: და სოფელი  
ფხაველი სრულიად: თავადის შვილის მოურავის  
შვილებითა და სოფელი ხიარი სრულიად: თავადის

შვილის ზურაბის შვილებითა: და ამას გარდა ქოდა-  
ლა და მელანნი: უფალს ნინოწმიდელს ტუისის შვილს  
საბას ერგო ჭერემლის სამწყსო კალაურში თავადის  
შვილები ვაჩნაძეები თავეთის ყმითა: და სახასო ძველ-  
თავანვე ნინო წმიდლისა არის: და ამას გარდა სო-  
ფელი ურიათ უბანი სრულიად: სოფელი ჩუმლაყრ  
სრულიად და სოფელი ზევანი თავადის შვილას ჯან-  
დიერთა და გურჯანში მარტო თავადის შვილების  
ყმა და სახასო ძველთავანვე ნინო წმიდლისა არის:  
ამას გარდა სოფელი კოშკი: და სოფელი დარჩიეთი:  
და სოფელი ჯალაბაურა: და სოფელი შიბლიანი:  
წელთა ჩლწ. ქორონიკონს უჰმ 445. თვესა აპ-  
რილსა იმ რიცხვსა. <sup>1)</sup>

1758 წ. ქ. ჩვენ კახთა მეფემან პატრონმან  
ირაკლი, ვიგულისმადვინეთ და განვაჩინეთ დაუშენი  
ჭერემის ქალაქ იკლესია, და საჭერემლო მთა და  
მალნარი ყოვლად სამლუდულოს ნინოწმიდელ მიტ-  
როპოლიტს საბას მიუწყალობეთ: ვიღრე ეჟამდმდე  
აღმენებისა მისისა; რათა შემოსაველსა მის მთისასა,  
მხოლოდ ნინო წმიდელი აღიღებდეს და თვისსა ეკლე-  
სიასა ახმარებდეს. და სხვანი ეპასკოპოსნი არაფინ  
იყვნენ. მაცილობელ მისა, ესრეთ დაგვიმტკიცებინს  
წელთა ჩლწ თვესა თებერვალსა იბ. ქორონიკონსა  
უჰმ. (ბეჭედი ირაკლისა).

<sup>1)</sup> ჭერემა სძვეს კახეთში (კახუშტას გეოგრაფია,  
314) ამ საბაზედ იხილეთ დ. ფურცელაძის წიგნში  
გურჯანთა.

1779 მ.: ჩვენ ყოვლისა ზემოისა საქართველოისა მეფემან უფლისა მიერ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან ირაკლი მეორემან და ძმამან ჩვენმან ყოვლისა ზემოისა საქართველოისა მამათ მთავარმან მეფის ძემან ანტონი ვბრძანეთ და განვაწესეთ და დაესწერეთ ბრძანება ესე შენდა მომართ ყოვლად სამღუდელოო ნინო წმინდელ მიტროპოლიტო უფალიო საბა, ვინათგან ძუელთა გუჯრებთა შინა ეკლესიისა შენისათა მეფეთა წინაპართა ჩვენთა მიერ ბოძებულთა ესრეთ წერილ იყო ვითარმედ დოდოს არქის მონასტერი ყოვლად სამღუდელოს ნინო წმინდლისათვის მიგვიბარებიაო სხვას ხელი არავისა აქვსო, გარდა იძისა ვინცავენ ნინო წმინდელს იყოს, და ოდეს ცოდვათა ჩვენთათვის უმკვიდრო იქმნა და დაცალა მონასტერი დოდოსი, მისი მამული და ყმა და სამკაული ყოველივე თქვენ მოგებართ. ხოლო ჩვენცა განვაწესეთ და დავამტკიცეთ ესე დიდსა გუჯარსა შინა ჩვენ მიერ შენდამი ბოძებულსა, და ვინაიდგან არა მცირედი ზრუნვა გაქენდა მონასტერთათვის უდაბნოსათა, ვითარცა მწყემსსა და მაკურთხეველსა და მოურნედ ზედა მდგომარებსა. მათსა მოხველ აწ და ვედრება ჰყავ ჩვენდა მომართ რომელ დავით გარეჯის მონასტერი იწრო ყოფასა შინა არსო, სახმართა ნივთთა საჭიროებისაგან და ჩემდა მობარებული დოდოს მონასტრის ყმადა მამული მათ მიაბარეთო, აშენებამდე მონასტრისა მის. ჩვენც მოხსენებანი შენი კეთილად ვრაცხეთ და მივაბარეთ მოხსენებითა შენითა დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტს გერმანეს და კრებულსა მის მონასტრისასა, დოდოს მონასტრის ყმა და მამული, გარდა ბრძანე-

ბითა და განწესებრთა ამით ვითარმედ ოდეს ინებოს  
ღმერთან და მადლითა მისითა კვალად აღემატოს  
და აღშენდეს მონასტერი დოღოსი ჩვენ მიერ ანუ  
სხვათა მიერ, და ყოველივე რაც იყო მონასტრისა  
მის ყმადა მამული მიყისთანად გამოეზაროს ბრძანე-  
ბითა ჩვენითა შენ მიერ გინა შემდგომთა მოსაყდრე-  
თა შენთა მიერ დავით გარეჯის არქიმანდრიტს და  
კრებულთა და ყოველივე მიეზღოს დოღოს მონას-  
ტრის დაუკლებელად, ვინა აწცა ნუ მოაკლებ ზე-  
დამხელუელობასა მონასტრისა მის მამულსა და ყმასა,  
რათა ძალდატანებით და უსამართლოდ მსახურებით  
არაინ შეაწუხოსთ. ხოლო აწ მალალ ღირსო დავი-  
თო გარეჯის არქიმანდრიტო გეზმანე ვინაიდგან შენ-  
და რწმუნებულ არს თან ძღვებობასაგერ დოღოს მო-  
ნასტრისა ყმისა და მამულის მოურნეობას ნუ დაა-  
ღწმ ხოლო ბრძანებანა ესე ჩვენნი ვგენ მტკიცედ  
უმერყად და პირუტყველად, სანამდის წმინდის დო-  
ღოს მონასტერი 1) აღშენდებოდეს. ესრეთ უნდა  
ეგოს. დანიწერა ბრძანება ესე და განწესება ხელითა  
ცარისა ჩვენისა მდივანგ მწიგნობრის თუმანი მვილის  
სულხანისათა მთიბატვის ძმ, ქურონიკონსა შაზ.

ნახო წმინდა.

1795 წ. შთავარ ეპისკოპოზმა ანტონიმ უჩიე-  
ლა მახობა ქუთათელაძეს. შენს კაცებს ჩემის ეკლეს-

შენს. 1) სამს სტრიქონში გადმოცემულია შინაარსი ამ  
გუჯრისა დ. ფურცელადის წიგნში. თარიღი 1778 წ.  
შეცდომა უნდა იყოს, რადგან შაზ=1779.

ნახო წმინდა სიქეს სამს კეკისზედ საგაკეთაძან.

სის სანთელი ემართათ ზეგრათ, და ბატონმა მეფემ  
ბოქალი მიბოძა, და მისი პირით გთხოვე და შენ  
სახსუბრად მოინდომე, და რადგან ეკლესიას თავისი  
ზეგარა სანთელი არ მოართვი ამისთვის ეკლესიისაგან  
შესლად დაგაყენე, და შენ არ შეიგონე, არც შემო-  
მეხვეწე და არც შენდობა ითხოვე და ამაში შედი  
თვე გავიდა და ზღვოვას ნინო წმიდელი იოანე იყო  
ჩემთან, და მძლავრებით შედი ჩემს ეკლესიაში, და  
დეკანოზმა რომ დაგითხოვა, ლეკურით შეუტყვე და  
კარში გამოადგებინე და იმ დღეს წირვა დათმობინე,  
და მის შეილებს სიკუდილის დაპირდი, და შენგან  
ეკლესიაც გატეხილი მაქუს, მღვდელთ მთავარიც  
გალახულა და დეკანოზიც, და ბეგარაც წართმეული  
მაქუს და ეს საქმები მჭირს შენგან, ეს საქმე ნინო  
წმიდელს წერილით დაემტკიცებინა, რომ მახობამ  
სწორეთ ასე ქნაო: დეკანოზი მოძღვარი არის მახო-  
ბასი, და შეჩვენებით თქუა სწორეთ ასე იყოვო ეს  
საქმე; და ვგრეთვე პასარიონ მღვდელმა დამტკიცა,  
და ამათან სხვა სამღვდლო კრებულოც მოვიდნენ და  
ისინიც ასე მტკიცედ ემოწმნენ: და აწ ჩვენ ასე გა-  
ვაჩინეთ, რადგან ორი მღვდელთ-მთავარი და მისი  
მოძღვარი, და სხვათა სამღვდლო კრებული ესრეთ  
ემოწმებინა და შეჩვენებით ამტკიცებენ. ღმასთან სხვა  
სიტყვა დაური ყოველივე ტყუილი იქმნება. მღვ-  
დელთ მთავრის შეურაცხების, და დეკანოზია და ეკ-  
კლესიის წინა აღდგომობის, და კვალად ეკლესიაში  
გახველით და ქადაგების ჭარდასწავლი ამას არ შეგ-  
ძლებოდა, და ესეოდნის დანაშაულებისათვის შეგ-  
მოკლეთ და ყველათ ხელათ უნდა მიეცეს მახობა  
მთავარ ეპისკოპოსს, სახორციელო სამართალი ჩვენ

ამის მეტი ვერ შეეძლოთ, და სასულიეროთ თვით  
განაწესონ: წულუკიძის წყალობას და მინაცემს გარ-  
და: თავისის ყოფით მიეცეს მახობა მთავარ-ეპისკო-  
პოსს: ოკტონბრის: კბ. ქრისტეს აქათ, **ჩღჟჟ** 0 0 0  
0:—

მ. მეფე იმერეთა მეორე სოლომან დავითიანი  
ვამტკიცებ. ნებითა ღვთისათა.

მეფეთა მეფე სოლომან.

მე წულუკიძე კაცია. ამა მათის უმაღლესობის  
მეფის მღივან ბეგების განჩინებას ვამტკიცებ და თანა  
მოწამე ვარ და ჯერ მიჩნს და მოჩილ ვარ ამა ზე-  
მო წერილისა აღწერილისა.

(ბეჭედი წულუკიძისა.)

მ. ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპო-  
ლიტი: დოსითეოს ვამტკიცებ წიგნსა ამას და ვინც  
ეს გასტეხოს წმიდის სამებისაგან შეჩვენებულ იყოს  
სულით და ხორცით:

(ბეჭედი)

მ. ყოვლად სამღვდლო გაენათელ მიტროპო-  
ლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ წიგნსა ამას და ვინც  
ეს გასტეხოს წმიდის სამებისაგან შეჩვენებული იყოს  
სულით და ხორცით.

(ბეჭედი)

ყოვლად სამღვდლო ჯუმათელ მიტროპოლიტი  
მაქსიმე ვამტკიცებ წიგნსა ამას და შევაჩვენებ ვითა-  
რცა ეშმაკსა ამა წიგნისა გამტეხსა. 1)

(ბეჭედი)

1) ამდენი მიტროპოლიტების დამტკიცება უზენეს  
კითხვის დიდს მნიშვნელობას. ეს გუჟარა დ. ფურცლას-  
მეს არ აქვს დაბეჭდილი.

ი მ კ ე ე თ ა .

1812 წ. თქვენ, ბატონს ჩემს ყოვლად სამღვდელს მთავარ ეპისკოპოსს ანტონის, ეს წიგნი მოგართვი მე თქვენმა მონამ გოგია ქუთათელაძემ. ასე ვითარისთვის, რომ შენი კაცის დავით ქუთათელაძის შვილი ვიყავ ნაბიჭვარი, და სამართლით თქვენი ვიყავი. მაგრამ წულუკიძეს ვახლდი და შემდგომათ მამა ჩემი და ბიძა სემი მიქელა უბედოთ გადავიდა და მერმეთ გვევდრე, და ჩემი თავი თქვენ და თქვენს ეკლესიას მოვეწადე და კვალად გვევდრე, მამი ჩემისა და ბიძი ჩემისა სულობის მოგებას და თქვენ წყალობა მიყავით და მიბოძეთ. და აწ მე ასე წიგნი მოგართვი რომ დღეის იქეთ ყოველივე, რათა ჩემი შეძლებით თქვენი და თქვენი ეკლესიის ერთგული და მოსამსახურე ვქმნე და არც თქვენ მეტი ბატონი მინდოდეს და რაც ბევრა მამაჩემს და ბიძაჩემს ემართა, და დავთარშიაც სწერია, არც ის დავიცა და მხიარულებით მოგართვათ. და თუ ამაში მატყუარად გამოვიჩნდე, როგორც ბატონის წინააღმდეგს ეკადრებოდეს, ისე შემრისხე და ჩემს ყოვლისაგან გამაყენე. არის ამისი მოწამე და გამრიგე დავითა წულუკიძის მოურავი, ბეოკანა წერცხელი, და თვით დავითის დტსტურით, და გამოგიგზავნით. გარიგდა ეს ჩემი საქმე, და მე მღვდელი მონაზონს ლორთქიფანიძეს დამიწერია. ქარონიკონს ჩქიბ (1812) ნოემბრის 11 (9)

2) ეს მთავარ ეპისკოპოსს ცნობილია ისტორიის ში. ნახე ჩემი შენიშვნა სონის გუჯრისა. იგი იყო ქუთათელად და შემდეგ დაინიშნა კათოლიკოსად (H. A. e. A. II, 2. 88).

ხ ა ხ უ ლ ი ს ა .

1739 წ. ძ. ნებითა ღეთისათა და შეწევნითა  
წმიდისა ღეთისმშობლისათა ძლიერებითა, პატრიარქისა  
და ცხოველსმყოფელისა ჯეარისათა, წმიდათა ზე-  
ცისა ძალთა მთავარ ან გელოზთა და ყოველთა ზე-  
ცისა ძალთათ წმიდისა წინასწარმეტყველისა და წინ  
მორბედისა ნათლის მცემლისა იოანესითა და იოანე  
ქალწულ მახარებელისათა და წმიდათა წინასწარმე-  
ტყველთა, მოციქულთა, მღვდელთ მოძღვართა, მო-  
წამეთა მამათა და ყოველთა ღეთისა სათნო ყოვლილ-  
თა წმიდათათა ამათ ყოველთა წმიდათა ზეცისა და  
ქვეყნისათა ხორციელთა უხორცოთათა უზამდგომე-  
ლობითა ჩვენ ცვა ფარვით ღეთისათა მანდობილთა  
იესრან: დავითიან: სოლომონიან პანკრატიონმან მენ  
ფეთ მეფემან ღეთისა მიერ ცხებულმან აღექსანდრემ  
გვარე და მოგახსენე მცირე ესე შემოსაწირობა მენ  
სასრასა სიჭაღლოს მცველსა და მფარველსა, განმა-  
ძლიერებელსა, აღმამალღებელსა და მტკიცედ დამამ-  
ყარებელსა ჩემსა ხახულისა და გელათისა წმიდასა  
ღეთის მშობელსა უდროობათ გამონაწირი ჭიჭინაძე  
და მეტის შეილების მამული ბევრს არგო შეფლებს და-  
ეპყრათ და აწ ეს ჭიჭინაძენი ჩვენ შემოგვეხვიენენ  
აფდექით და მაგიერი ჩვენ მიხდა სანაცლოდ მივეცით  
და ეს ჭიჭინაძენის მამულნი ისევ წმიდა ხახულისა  
ღეთის მშობელს მიუძღვანეთ და შეეწირეთ და მაფა-  
სავე მემკვიდრე მებატრონეთ მოვეცით ჭიჭინაძე და  
მეტის შეილებსა ბევრსა ხუცესს თუ ერისგანსა შეი-  
წირე მენ ყოველად პატრიარქსა ხახულისა ღეთის მშო-  
ბელო და ნაცვალ გვაშე აქაცა და მერმესაც მას  
საუკუნესა ამინ გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან

ხახულისა ღეთის მშობლის სამსახურში - და ჩვენს ერთგულებაში არ მოგეშალოს არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან დაიწერა ჩვენისა გარდასულისა ამ ცხრამეტს იენისის ოთხსა მას აქე ათას შეიღას ოცლა ცხრამეტსა.

ჩაწერილ არს კომიტეტსა შინა საეკლესიოსა ჩუღვ წელსა № 137 1).

ბ ა ნ ა თ ი

1797 წ. მ. 4) შენ დიდებულოდ ედოთუალო და კათა მოზამოგაენათისა და ხახულისა ღეთის მშობელო, ჩვენ ცვა ფარვათა შინთა მინდობილმან და მსასოებელმა. სადიდებლოად იმერეთა მეფემან მეფეთამან მექან არჩილისამან მეორემან სოლომან დაგითიანმა ესე მცირე და მწელილებრივ შეწირულობის წიგნი მოგართფით ესრეთ და ესე. ვითარად რომ. პირველად თქვენს. შეწირულს. ადგილზედ. მანდივარს. და თუა მხეიძე დასახლებულიყო და მას მერმეთ კურთხეული ბიძა ჩემი კათოლიკოზი იოსებ დასდიეებოდა. და იმ. მხეიძეს. იმ ადგილ მამულზედა. კათოლიკოზის იოსებისთვის ხაჩზედ შემოეფიცა. რომ დენიმე კაცი და ამ ფიცს ეწია ამოწყვეტილიყენ და რომელიმე კი-

შენიშვნა. 1) თუ ეს ალექსანდრე მეხუთეა, რომელიც 1730 წ. გარდაიცვალა ჩვენი ისტორიის ცნობით, მაშინ აქ დასმული თარიღი (1739) შეცდომაა. თუ ალექსანდრე სოლომან II-ის ანის მოხსენებულის ეს შეუძლებელია, რადგან ეს უკანასკნელი ალექსანდრე დაიბადა 1760 წ. ოცდაცხრამეტას მაგერად, აქნება ოცდაცხრა უნდა იკითხებოდეს, მაშინ ალექსანდრე მე- V აქნება.

შენიშ. 2) დ. ფურცელამეს არ აქვს დაბეჭდილი ეს გუჯარბი.

დევ მორჩენილიყენენ. მოვიდა წინამძღვარი მხეიძე  
მოსე. შამოგვეხვეწა. და რომელსაც. ეს წერილი  
აქხადებს. ყოველივე. ისრე მორე. მოგვახსენა. და  
გამოგვიტყდა გავსინჯეთ. იმ. ადგილზედ. ველარ ავეა-  
რეთ. თავისი გლეხის ბეგარათ. ხახულისა ღეთი-  
მშობლისათვის ძინაქონათ. და ვერც. ის. მოვშა-  
ლეთ. და ახლა. იმ. მხეიძიანთ. შამოგვიწირავს. მღე-  
ღელი. მხეიძე. მხეიძე იოანე. და მისი. ბიძაშვილი  
თავისი ცოლშვილით თავისი სახლკარით. ადგილ-  
მამულით თავისი. ყმით და რასიც მქონებელი. იყონ.  
უკლისათ. სრულებით თქვენთვის. შამოგვიწირავს  
თქვენ და. თქვენს ეკლესიაზედ მდგომს. გაენათელს.  
გმსახურებდენ. მის. გლეხს. რომელიც თქვენი (შე-  
წარ) შესაწირი ემართოს. თქვენ. მოგართმევდეს. და  
სამსახურით, თავის ბატონს. მხეიძეს. ემსახურებოდეს  
შეიწირე. და ნაცვლად გვაგე მადლი და მეოხ მექმენ.  
აქა. და მას მერმესა აწდამი უკვე. ეს. მხეიძე. ყო-  
ველს. აღდგომას. და ამალლებას. ჩვენთვის. აწირვი-  
ნებდეს. ჩვენთვის განსაძლიერებელად წარსამართებ-  
ლად. და სული საოხად. და უკეთუ ვინმემძღაფრე-  
ბით. რისხვითა. შენით. და ამოუწყვიტეს საყვარელ-  
ნი და სასურველნი. და მას. რისმხვა. ღეთისა მიერი  
და სახლსა მისსა და შვილთა მისთა და იყვენ წყე-  
ულ. აქა. და მის მერმესა. ხოლო დამამტკიცებელნი  
და დამბეჭდელნი ამინი. კურთხეული იყენენ. სუ-  
ლითა ღეთისათა. ამინ. ბრძანებისა. ამის. ჩვენისა გა-  
მრიგედ და მწამდე წულუკიძე. გიარგი. კიკინაძე.  
ნიკოლაოზ. აღიწერ. ხელი ია. მეფის. კარის მღვდლის.  
გრიგოლა შვილის იესესითა ქრისტეს აქეთ: ჩლშზ. მარტს 8

გ ე ლ ა თ ი ს .

1776 წ. ქ. ჩემი ღწა დღე და ღამე ეს იყო რომ რათგან გელათს დიაცენათ ვეკურთხე მღვდლად ვეკურთხე და მღვდელმთავართ რაც რამე ყოველივე გელათისთინ მინდოდა და კიდევ შემეწირავს რომ რაც გალავანი შემოვაღლე ის დახურვა მინდოდა. აღისუბანი თხილთაწყარო ღიბრადეები დაეიხენი დიად დიდი ხნის დაკარგული და შემეწირავს ქუმბურ იძენი ერთობით ყველა დიდის ცდით და თეთრით მიყიღია ყველა მუხურას კიდევ ოკრიბას გენეტაძენი. რაჭას კვაშხითი და საწულიკიძო დიად მრავალით ქამიღამ დაკარგული ამოვიყვანე რომელოც ჩენს დაეთარში ეწერა ჯვარისას და კვაშხიეთის გლენები და მამულ ადგილი ყველა ამოვიღე ჩუნეში და უძღლოური ორივე საფიცრიტ გაცემული იყო და ამოვიყვანე სრულეებით ჩემი სარჯელით. რონს სულაქველიძენი სამი გლენი დაკარგული იყო და ამოვიყვანე. კორიშს გლენები ამოვიყვანე. ამას გარდა საცა იყო დაბნეული ან გლენი ან მამულ ადგილი იყო და შევიტყვე წიგნით ყველა ამოვიღე ზოგი თეთრით და ზოგი ცდით და სარჯლით. გაღმა საერისთოში ორი გლენი ჯანელიძეები ამოვიყვანე: ქუტირს საკანდელაკო კაცები დაკარგული იყო და ამოვიყვანე და მის პატრონს მივეცი და საგელათოთ გაეხადე ისევე. ამას გარდა ვაჭრები ორი ურია მოშა და მისი ძმები მოძღვარბ კიდევ ქუთაისიღამ გამოვიყვანე მათი ცოლშვილით და გელათს შევწირე დავითა და მოშაკა მეფე სოლომანმა შესწირა. ისრავლა და ამისი ცოლშვილი იაშვილმა მთავარ ეპისკოპოსმა მაქსიმემ შესწირა გელათს. ბაბალია მისი

კოლშვილით—აბრაჰიმს და მისი ძმა მათის კოლშვილით. ყუზერა და მისი კოლშვილი. ხანანია და მისი ძმა მათის კოლშვილით. კოციკა და ორი მისი ძმა მათის კოლშვილით. შამოელა და მისი შვილი ახალციხელი კაცო კოლშვილით. წითელი დავითია ურია მის ძმა და მათი კოლი: ესენი ყველა სიყმაწვილიდამ დაინსენი და ამოვიყვანე და გელათს შევწირე. სიძე პატარა ურია ობოლი კიდეც გელათს შევწირე, და მისი ძმა და მათი კოლშვილი. მეორე შალომია (ღ) და დიაკონი მათის კოლშვილით საგელათო ამოვიყვანე და გელათს შევწირე. ქუთაისადამ გამოყვანილი დავითელა სომეხი ელისბარაშვილი და მისი კოლშვილი. ორი გლეხი თეოდორეძე. ჯინჭველაშვილები ორი ძმა მათის კოლშვილით. თანდარეშვილა გვორგელა, დავითელა პაპაშვილი მესხისა და ავალბანისაგან დაეხსენი. მიქელიძა ლოპიძის სახლისშვილი. თეოდორე კალატოზი. წვერიანაშვილი ორი ძმა ნიშნიძენი. ქაიხოსრო შამედისშვილი. კანკაძე და თუნია. კვირია (კვლია) კლიაშვილი ნაყიდი ნიკიპსგან დაეხსენი. დავითელა ქვარიანი. <sup>1)</sup> მღებარი გორდუზაშვილი და ბერიკელა და ჰეტრია გორდუზას ძმა სიმონ გულაშვილი ჩხარის ნამოსახლი—და კიდეც სიმონ გულაშვილი შერაცს შვილები ესენი საყდრის იყვნენ და ახალციხრდამ მოგრყვანე. გიორგი ინაკავეძე და მისი კოლშვილი ოთხმოც ფლურათ ვიყიდე. მეფე ალექსანდრეს შეწირული გიორგი ელიაშვილი იყო და მერმე კრდეც გაუჭირდა და თეთრით

შენაშენს. <sup>1)</sup> უმკვას გასყიდ გამოსყიდვა კარგად იხსტება ჰმ გუგუაშვი, რამელები კეგუთუნის დიდი სოლომონ მეფეს დროს.

მე დაეხსენი. მისი ძმისწულები შეწირული იყო და გაუჭირდა და კიდევ მე დაეხსენი თეთრით. ვარლანეიშვილი ოტიელა, ჯოხიები ორი მოსახლე ხუცისი და მისი ძმა ორივე ქარათხაძემა თარაძისშვილისაგან ვიყიდე და გელათს შევეწირე აქიმიშვილები ორი ას მარჩილათ ვიყიდე: გიორგელა მურთადის ძმა ოცდახუთ მარჩილათ ვიყიდე. გიორგი ბერძნისშვილები ოთხას სამოც მარჩილათ ვიყიდე ამირან მესხისაგან ესენი ყველა გელათისთვინ შემიწირავს და ვინც ეს ჩემი ნაღვაწი და მოყვანილი გელის ეკლესიას გამოსწიროს შეჩვენებულა (იყვეს) იყოს ამინ:.

დაიწირა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შეიდას სამოცდა თექვსმეტს და თვესა მანის ცხრას:.

---

### ნაკონწმანდა.

(აქ ხუთი სტრიქონი სრულიად აღარ სჩანს, ისეა გადასული მელანი. აღგიღ-აღგიღ გაირჩევა წვალებით სიტყვები: «მქონდა», «შემიწირავს» და სხვა, მაგრამ აზრის აღდგენა შეუძლებელია. არც ი.ე დიდად სამწუხაროა, რადგან აქაც, როგორც ამას წინ ჩამოთვლილი უნდა ყოფილიყო, რა შეუმატებია და რა გაუკეთებია).

ამას გარეთ ბურიას ოცხანას კუამლი კაცი შევსწირე. სასახლე არ იყო და შევხვეწეთ ბატონს

<sup>1)</sup> მელანი გადასულია.

მამია ზურიელს და დიდის ქრთამით მომაქრთამა საყდრით, სახლებით, მოსახლეებით, სათივითა, საყანითა... და მისის ყოვლისფრითა. (ბოლოში ათი სტრიქონი სრულიად ამოშლილია).

პირველ გვერდზედ მოწერილია ერთს მხრივ შემდეგი: ჩვენ ძრისტეს მიერ კურთხევითა კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათოლიკოზმან ლორთქიფანიძემ პატრონმან ბრიგოლ კვალად გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ცათა მზაძაესა ბიჭვინტის ლეთისმშობელსა ერთი კუამლი კაცი ნარმანიამ ბარვაბინო და მისი ძმაჲ ასრე რომე ქუაპუ შარვაშიძის იყო და ჩვენ ვიშოვნეთ, დავასახლეთ და შემოგწირეთ მათის ცოლშვილითა სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათა. ბეგარას და სამსახურს გარეთ სამი ლადარკი <sup>1)</sup> სანთელს ბიჭვინტის ლეთისმშობელს მიაართმევდეს, ყოველს წელიწადს ვინცა მის ტომმან კაცმან გამოგწიროს მას რისხავს თავად ლმერთი მამაჲ, ძე, სულიწმიდაჲ და ბიჭვინტისა ლეთის მშობელი ნუცა იქნების ხსნა და გამოხსნა სულისა მისისა აწდა უკუნისამდე. ამინ.

მეორე თაბახზედ ვკითხულობთ შემდეგ მინაწერს სიტყვებს:

აგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა და ცათა მზაძაეს ბიჭვინტისა ლეთისმშობელსა ჩვენ კათოლიკოზმან ნეესაძემ ლავით <sup>2)</sup> ტეკლათს ბრიგოლია ბე...ლი <sup>3)</sup> შეილი ხოხონაო

<sup>1)</sup> «ლადარკი» მეგრულად წონაჲ, დაახლოვებით ერთი გირვანქა. ნახე ჩემი „ზედ-წარწერათა გარჩევა“ გვ. 57. ბროსესს საც შეხვედრია ლადარკონი სთარგმნის «Сам»-დ. ეს შეცდომაა.

<sup>2)</sup> იწერება დათ. <sup>3)</sup> ორი ასო წაშლილია.

მისის ცრლშვილითა სხვის შვილითა, სახლკარითა ჭურმარნითა, მამულითა, ტყითა, ველითა, საყანითა გასაველითა და გამოსაველითა, საძებრითა და უძებრითა დღეს რისიც მქონებელი იყოს მისის სამართლიანის საქმითა და მისის ეკკლესიის სასათლაოთი ასრე რომე შირან მხეიძემ ბიჭვინტისა ტყვეები დაყიდა ოთხი და იმას გარდა სახლებით გამოგართვიეთ და სხვა ნიშანით გაქეთ. აწე ვინცა და რომელმანც ძემან კაცისამან ან ლდიანმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ სხვამან ამისდა შლად და ქცევას და გმობას ხელყოს, მასამც რისხავს თავად ლმერთი მამაჲ, ძე და სულიწმიდაჲ. წყეულ და კრულ და შეჩვენებულიმც არის მისი სული და ხორცი და აქა და მას საუკუნოსა. ნუმცა იქნების ხსნიდა გამთხსნა მის აწდა უკუნისამდე ამინ.

მესამე მიწერილი აღგილი ასე იკითხება:

აგრეთვე გკადრეთ და შემრგწირეთ თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ლეთისმშობელსა ჩვენ კათოლიკოზმან ნეესაძემ ლავით ხარაშედია ქრისტეშია და მისი ძმისწული ხოსია მათის ცრლშვილითა, სახლკარითა, ჭურმარნითა, მამულითა, ტყითა, ველითა, გასაველით და გამოსაველითა, საძებრითა და უძებრითა და მისის ეკკლესიის კართა, ასე რომე პეჭუნა, ჩაჩუამ ჩენი წულისკარი მოგვპარა, გამოვიჩინეთ და გადასახად შილ გამოგართვით ბატონის ლდიან-ბურიელის ნება დართულობით. აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ანუ დიდმან, ანუ მწირმან, ანუ ლდიან-ბურიელმან ამდსნი შლად და ქცევად ხელყოს მასამ-

ცა რისხავს თავად ლმერთი და მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორციონი.

მეოთხე მონაწერი ეკუთვნის მეფე სვიმონს:

ბკადრეთ და შემოგწირეთ შენ საშინელსა ბიჭვინტისა ლეთისმშობელსა ჩვენ მეფეთ მეფემან სვიმონ ჩხარს ოქონის საყდარი, მისის გარემო ადგილებით ჩვენის სულის საოხად.

მეხუთე მონაწერი შემდეგია:

აგრეთვე ბკადრეთ და შემოგწირეთ ჩვენ ლიპარტიმან ბიორგი და ძემან ჩვენმან შამაყ<sup>1)</sup> და თანა მეცხედრემან ჩვენმან ლადიანის ქალმან ბატონმა ანა (ანნა) თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ლეთისმშობელსა სასახლე ნაგეაზაო რვის კუამლის კაცითა სახსრად და საოხად სულისა ჩვენისა. ამინ.

მეექვსე მონაწერი ფრიად მოკლეა:

ნამაშევს ოთხი კომლი კაცი შირლადენი.

მეშვიდე მონაწერი:

მქვსი კუამლი კაცი და ერთი სასახლე ზადლ ლულდისა (ლულადისა) შეეწირეთ ბიჭვინტისა ლეთისმშობელსა ბოდღანს.

მეცხრე მონაწერი წერილი ასოებით კარგად შენახულია:

თლილი სასახლე ორმოცის კუამლის კაცითა და ხუთეული სასახლე ორმოცის კუამლის კაცითა მათის შესაელით და გამოსაელით და სათევზოთი.

<sup>1)</sup> იწერება «ვაშყ», «ვაშყე ლადიანი» იკითხება გუფარში 1661 წ. (пер. гудж. 146) აგრეთვე 1657, 1658 და 1659 წწ. (i. bid. გვ. 145).

მეათე მონაწერი:

უნდა მოიტანოს აშურლამ მახარობელმან დეკანოზის კაცმან ერთი ჩარეკი საკმელი სადიდმარხოთ, ხატის მიწა აქეს, შიგნით ეზოშიდ. <sup>1)</sup>

მეთერთმეტე მინაწერი ვრცელია:

ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათოლიკოზმან პატრონმან ღვით შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა ოცხანის გლეხი სხვედაძე ბიორგი და მისი ძმაჲ მამინა და სახნია მათის ცოლშვილითა მისის სამოსახოთა დღეს რის მქონებელიც იყოს, მისის სამართლიანის საქმითა ასრე რომე სხვედაძეს ჩვენი დახსნილი მერეკიჲვე სეხნია ძალანდაძე შემოაკვდა და სისხლშიდ ბეჲან ბერიძეს ჩვენ გამოფართვით და ჩვენ ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა შეეწირეთ. აწე ვინცა და რამნცა ძემან კაცისამან ანუ ბურიელმან, ანუ ღადიანმან ან დიდმან, ან მცირემან ეს ჩვენგან შეწირული შლად და გამოზმად ხელყოს, ისიმც შეიშლება რჯულის ქრისტიანობისაგან, ნუმცა იხსნის წირვა და ლოცვა, წყეულ კრულ და შეჩვენებულიმც იქმნების მისი სული და ხორცი ცოლითა და შვილითა რაც ამ დაფთარშიდ წყეველა და შეჩვენება ეწეროს მის თავსა და მის ცოლსა და შვილზედამც აღესრულების აწდა უკუნისამდე. ამინ.

<sup>1)</sup> ხშირად ვხდებით ფორმას: «შიდ» «ში»-ს მაგიერად («ეზოშიდ» და არა ეზოში). ეს პროვინციალიზმია.

მეთორმეტე მინაწერი მხედრული ასოებით:

აგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ სა-  
შინელსა და ცათა მბაძაფესა ბიჭვინტის ლეთის-  
მშობელსა ჩვენ კათოლიკოზმან ნემსაძემ ლაით  
ხორგას ერთი კუამლი კაცი აზნაურის შეილი ბერუა  
მორღებჟ ორის მისის გლენებით. მეორე კუამლი  
ღასტურაი თომიხილი. მესამე კუამლი ღასტურაი  
ბაბუა. მეოთხე კუამლი ღასტურაი ძოჩალია. მეხუთე  
კუამლი ხოჩილაფა (?) ბაბაკაჩა, მეექვსე კუამლი  
ხახაფა ხუხუტა. მეშვიდე კუამლი ხახაფა ხეახალი.  
მერვე კუამლი ხოჭილაფა ხეჩა. მეცხრე კუამლი  
სხილონია ჯეიბილეი მათის ცოლშეილითა, სახლ-  
კარითა ჭურ-ბეღელ-მარანითა, ეკლესიის კარითა,  
სასაფლაოთი. ღღეს რისიც მქონებელნი იყვნენ მისის  
ყოველისფრითა. შეიწირე შენ საშინელო ბიჭვინტისა  
ღეთისმშობელო და ნაცვალი გვაგე მადლი ნაშენი  
ღღესა მას ღიღსა განკითხვისასა.

მეცამეტე მინაწერი. ისევე, როგორც მომეტებუ-  
ლი ნაწილი და თვით გუჯარი ხუცური ხელითა:

მეაშენ ცათა უფრცელესო ყოველად წმიდაო და  
ყოველად საკვირველო, რომელმან მპყრობელი ცისა  
და ქვეყნისა იტვირთე მკლავითა ზედა და მზრდელსა  
ყოველთასა ძუძუთა ზრდიდი. საკვირველ არს შობა  
შენი და უსაკვირველესი ქალწულად დადგრომა შენი  
და გამაოუთარგმნელ საიდუმლო შობისა შენისა, ყვაე-  
ლო უხრწნელებისა, ქალწულო სანატრელო, წმიდაო  
ახლო პირმეტყველსა ცისა ცათასა უმაღლესო, ყო-  
ველთა ტომთა ღიღო ღიღებო შენ ჩვენ ცოდვათა

სსნასა მოსალოდებელო სასოებაო, ბიჭვინტისა ლეთისმშობელო გვევდრებით ჩვენ უღირსნი და უხმარნი შონანი შენნი ცვაფარვითა მინდობილნი. შეფე ბიორგი ძე ბავრატის დე თანამეცხედრე ჩვენი დედოფალი პატრონი აბაშიძის ასული თამარ შე- მოგწირეთ პონათს გლეხნი ერთი ჩუხაძე ბეჭელოს და ბუგუტე იმათის ცოლშვილით, სახლ-კარით, კურ- მარნითა ტყითა; ველითა. ვენახითა, სათიბითა, წყლი- თა, საწისქვილრთი, მისის სამართლიანის სულისას ჩვენს ცოდვილისა საოხად ამ სოფლის წარსამართებ- ლად აწე ვინცა და რამანცა შემან კაცისამან, ანუ მეფემან, ან დედოფალმან, ანუ ღიდმან, ანუ მცირე- მან მოშლად ხელყოფად რკადროს ანუ სხვისამან კაცმან ქალად და უსამართლოდ გარდაეკიდოს მასამცა რისხავს შობა და განხორციელებს ძისა შენისა, ნუცა ამა სოფლისა ძენი იღზრდებიან და ძირითურთ აღიფხვრებიან, სულითა და ხორციით ვმიერ დაამიერა სოდომისებრა დაიმზობიან.

მეორე გვერდზედ შემდეგი მხედრული მინაწერი ეკუთვნის კათოლიკოზს შრიგოლს: ჩვენ აუხაზეთისა უკათოლიკოზმან ბატონმა შრიგოლ ესე წიგნი დაედევით და განვახლებთ ასრე რომე ძოპალა სალდა ქაისო შვილი ლავითს კათო- ლიკოზს ემოვნა და ხატისთვის შეეწირა. ამერე ახლა ჩვენ გაგვიახლებია და ჩვენც ხატისთვის შეგვეწირავს ძოპალა ხელ და ქაისი შვილი რისიც მქონებელი იყოს ყოველისფრითა, და ღინც გამოსწიროს რისხავს ბიჭვინტისა ლეთისმშობელი.

პიღვე მხედრული ხელით მინაწერი:

ველად შემოგწირეთ შენ ცათა მობაქაეო ბიჭ-  
უნტისა ლეთისშობელო, ჩვენ ცვაფრეთა შენ თა  
მონღობილმან და განძლიერებულმან და ვეალად  
განძლიერებისა მომლოდნელმან მეფემ ბიორგიმ  
ქემან ბაგრატისამან და თანა მეცხედრეჲმან ჩვენმან  
ასულმან შაბაშიძისამან დედოფალთ დედოფალმან  
ბატონმან თამარ შემოგწირეთ ერთი გლეხი მარდა-  
სანიძე ზოსია ჩხარს ცოლშვილითა და ძმისწულითა,  
სახლკართა, ჭურბამულითა, ტყითა, ველითა, ეკლეს-  
სიის კართა, უძებარ-წაძებარითა, მისის ყოველის-  
ფრითა შეიწირე კინი ესე შესაწირაეი სასოებაეო  
ჩვენო, ბიჭუნტისა ლეთისშობელო, ჩვენდა სადღე-  
გრძელოდ და სულისა სახსრად და საოხად აწე ენცა  
და რამანცა ქემან კაცისამან შეფეჲმან, ანუ დედო-  
ფალმან, დიდებულმან ან აზნაურმან ეს ჩვენკან  
შემოწირული შენ გამოგწიროს, შენ და ძენი შენი  
გაურისხდი და ჩვენის ცოდვის ნუქარაბადამცა. ის  
განაკითხავს დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამინ. <sup>1)</sup>

**შენიშვნა:** ეს შესანაშნაეი გუჯარი დაწერილია  
ტყავზედ, რომლის სიგრძე ორი მეტრი და ოცდაორი  
სანტიმეტრია, სიგანე 18 სანტიმეტრე. ხუთი ცალ-  
ცალკე ფურცელი ერთად არის გადაკერილი თეთრი  
ძაფით. თავში ამ გუჯარს უძევს ქალაღდი, რათა  
გახეული გუჯარი მტკიცედ შეინახოს. დაწერილია

<sup>1)</sup> თითო ორდღო სიტყვა სუსტად სჩანს კიდევ აქა-იქა,  
მაგრამ მათი გარჩევა შეუძლებელია, რადგან მეღანი სრულე-  
ბით გადასულია.

წერილი ხუცური ასოებით, შავი მელანით, ალაგ-ალაგ სინგურით არის გამოყვანილი ასოები და მთელი სიტყვები (БИНОВАРЬ), გვერდებზედ მინაწერი მომეტებული ნაწილი იგივე ხუცური ასოებისაჲნი არიან, თუმცა გვხვდება მხედრული ასოებიცა. ასოები, საცა მელანი შენახულა სწორედ არის გამოყვანილი, მხოლოდ «ბ» და «შ», რომელნიც მეტად წააგვანან ხუცურს. ანბანში და ძველს ხელთნაწერებში ხშირად ერევიან, აქაც არ არიან გარკვევიდ განსხვავებულნი, წინააღმდეგ «შ» იწერება ისე როგორც «ბ». სხვათრივ პალეოგრაფიულის მხრივ ეს ხელნაწერი არ არის შესანიშნავი.

რაც შეეხება მის შინაგარესს, მკითხველი უკვე დაარწმუნდებოდა, რა მღადარს ცნობებს იძლევა იგი ჩვენი ისტორიის შესასწავლად. იგი ერთის თავის ადგილით ჯვებს მახტანგ მეფის კანონებს, მეტადრე იმ განყოფილებას, რომელიც შეეხება ეკკლესიას და მის კრებულს. იგი ავსებს ჩვენს კანონმდებლობას იმ გვარად, როგორც уставъ Владимира св. о церковныхъ людяхъ «Русская правда»-ს. ეს გუჯარი ცხადათ გვიჩვენებს როგორ უყურებდა ჩვენი მმართველობა-საეკკლესიო წესწყობილებას. მართის სიტყვით იგი განძია ჩვენის საისტორიო ლიტერატურისთვის. ჩვენა ვიცით საქათალიკოზო კანონები, რომელნიც მახტანგ მეფემ ჩუროთო თავის «რჯულის წიგნში». აქ მოხსენიებული არიან თითქმის სუყველა ის პირნი, რომელთაც შემუდგენიათ ცნობილნი საეკკლესიო კანონები. მართი შეხედვით შეიძლება იფაროთ, რომ ამ გუჯარში გამეორებულია კათოლიკოზთა დადგინება მახტანგის წიგნში მოქცეულნი. მაგრამ რა კი

დააკვირდებით მის შინაარსს ადვილად მიხედვით, რომ ეს გუჯარი სულ სხვა მხარეს შეეხება ჩვენს რეალურდებულებას. იგი უფრო ვრცელია და მრავალ მნიშვნელოვანი, ვიდრე დაბეჭდილი კანონები კათოლიკობით, «ქარბლის ცხდვრება» მოკვირბრობს. ამ კანონების შედგენის ისტორიას.

ბიორგი მე-III მეტობაში (ბიორგი იყო ძმა როსტომისა. 1605—1639) შესდგა სამღვდელთა კრება. «ყამებთა ამათ შინა, ამბობს შემატრანე, ვითარცა ვინაღვთ იქმნა განტეება ცარლთა, კლეა ქრტთა და იღუშალო ტყენს-ყიდუა და უჯეროში სჯულსა-ხედა მრავალნი იმეკეთსა შინა. ამისათვის შეკრბენ ქაშთლისა კათალიკობისი მშობქია, აფხაზთა კათალიკობისი ევდომონ და ყოველნი ეპისკოპოსნი იმერთ-მდრშინანი, ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყენენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჯყრანდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი შილიპვე, საგარელი პოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იაკობ, ჩანსელი პირილე! ამათ განაჩინეს მოქმედთა მათთვის ჯეროვანი შერიხხეანი, და წერნენ და შეაჩვენეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი». <sup>1)</sup>

იგივი კათალიკობისი მალაქია და მედემონ იღებდნენ მონაწილეობას კრებაზე და ამტკიცებენ ჩვენს გუჯარს თავიანთი ხელნიწერით. ბარდა ამორი ცნობილი პირისა იხსენიებიან კათალიკობისი მეთვემე <sup>2)</sup>. მალაქია, მაქსიმე, ზაქარა და სვიმეონ

<sup>1)</sup> ქართლ. ცხოვ. II, 196.

<sup>2)</sup> გვარად საყვარელიძე, ნახე თვით გუჯარი.

და დავით. ზაქარიას და სვიმეონს ვაცნობდეთ ზემო  
ამონაწერიდამაც «ქართლ. ცხოვრებადამ». დავით  
კათოლიკოზი აფხაზეთის გვარად ნემსადე, მაქსიმე  
იმერეთის კათოლიკოზი, მალაქია «ზურთული კათო-  
ლიკოზი» ცნობილნი არიან ისტორიაში. <sup>1)</sup> რადგან  
აქ მოხსენებულნი კათოლიკოზნი სუყველა თანამედ-  
როვენი არ იყვნენ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი «ხელ-  
მოწერით დამტკიცება» ერთ დროს არ ეკუთვნის. ეს  
შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს გუჯარი შესდგა და  
შესრულდა მე-XVI—XVII საუკუნეში. ჯერ კიდევ  
ბროსემ შეამჩნია, რომ დაბეჭდილ აწ. საქათოლი-  
კოზო კანონებში მოხსენებულნი პირნი სხვადასხვა  
დროს სცხოვრებდნენ (Bros. Hisf. d. l. Georgie  
II, 265, § 4). იგივე ითქმის ამ გუჯარზედაც.

მოხსენებულთ «მეფენიც» ეკუთვნიან ამეფე დროს  
მე-XVII საუკ. შამია და ძე მისი ლევან ღადიანი  
უნდა იყვენ შამიაშესამე († 1532) და ლევან I  
(† 1572), ძენი მისნი, აქ მოხსენებულნი ბიორგი  
მესამე († 1582) და შამია მეოთხე († 1590). ბუ-  
რიელი როსტომ († 1564) და ძემისი ბიორგი მეორე  
(† 1600). ბიორგი მეფეთ-მეფე ძე ბაგრატი უნდა  
იყვეს, ბიორგი მეორე, ძე ბაგრატი მესამე. პირველი  
ცოლი მისი გარდაცვლილა 1561, თუმცა  
სახელი ისტორიაში არ ვიცით. ეს გუჯარი ეწვებას ამ  
ნაკლს და გვაუწყებს, რომ პირველი მისი თანამედ-  
როვე იყო ასული აბაშიძისა თამარ.

რამდენადაც ეს სამეფო პირნი ხრონოლოგიით

<sup>1)</sup> ამ მალაქიამ განახლა ქაიშის მონასტერი, მიწის ძვრით  
დანგრეული 1618 წ. შემდგ. წელს იგი ამორჩეულ იქმნა  
კათოლიკოზად. Brossef. Voyage archéol Bup. 29, 32, 34.

უახლოვდებიან, იმდენად ქათოლიკოზნი შორდებიან ერთმანეთს. საკმარისია აღენიშნოთ, რომ მაქსიმე სცხოვრებდა მეთვრამეტე საუკ. და მალაქია მეთექვსმეტე საუკ. (ნახე ЦЕРК. I.), ზრიგოლი აუხაზეთის კათოლიკოსი მეჩვიდმეტე საუკ. ეს გუჯარი უნდა იყვეს თანდათანობით შედგენილი და შემდეგ გადაწერილი და შემდეგ გადაწერილი ერთის ხელით, როგორც ვხედავთ ახლა ამას. ცალ-ცალკე შეწირულებანი მეფეთა და ქათოლიკოზთა ბიჭინტის ლეთიამშობლის ეკკლესიისთვის ერთად მოუქცევიათ და შიგ ჩაურთავთ საეკკლესიო დადგინება, რომლის დასაწყისი ეკუთვნის მეთექვსმეტე საუკ. შემდეგ კათოლიკოზებსაც იგი მიუღიათ და დაუმტკიცებიათ. აქ მოხსენებული ზრიგოლ ლორთქიფანიძე დაჯდა კათოლიკოზად შედემონის შემდეგ სეიმონ შეფის დროს (ძისა პლეჟსანდრე მეოთხე) 1699—1701 წ.

ამ გუჯრის გარჩევა «შენიშენაში» არ შეიძლება, ამიტომ ჩვენ გვაქვს აზრად ცალკე წერილი უძღვნათ ამ საყურადღებო ნაშთს.

1809 პატრიოსანო მღვდელთა ნიკილოზ დეკანოზის მეფის ძე იოანნე ბრწყინვალეს მარჯვენას გემბორები. მერე წინამძღვარი ხომ გამოვიდა მონასტრის ეკკლესიიდან და ნაჭაშნობა მისცეს. ახლა ის ეკლესია თავისი რიგით და სამკაულითა და მამულით შენთვის მოგვიბარებია. შენ იცი, როგორც რიგინათა და პირნათლად მოიქცევი ეკკლესიასთან და ჩვენთანა ამ მამულის შემოსავლით რიგინათ შენახვითა და ან მამულის მუშაობითა მერე თუ ენა-

ხამთ შენს ერთგულებას ეკლესიისას ჩვენგანაც მაგნიერის წყალობის მოიმედე იყავით მარტის 2, ქობონიკონს უპც

1605... 1) დადებული და ქებულო ყოველთა აგებულთა შემოქმედი, ყოველთა ხილულთა და არა ხილულთა... ქეშმარიტი ქეშმარიტისა მამისა მზე, სიმართლისა ნათელი, ქეშმარიტი ცხოვრება და ქეშმარიტება დიდს ზრახვისა მამისა ანგელოზნი, მწყემსი კეთილი, მესია იესო ქრისტე ღმერთი სახიერო კაცთ მოყვარე და საცნაურად მიზნო ყოველთა მათ კეთილთა და სული წმიდა, რომელსა მამისაგან აქვს არსება და მამისა და ძისათანა თაყვანის ცემული სული წმიდა უფალი ცხოველს მყოფელი, ყოველად ძლიერი ყოველთა მხილველი, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ, თენიერ რომელ მამისა იწოდების, მამა უშობელი და ძესა მამისაგან შობილი და სულსა წმიდასა, სული წმიდა მამისაგან გამომავალი და მამისა და ძისათანა თაყვანცემული, ესე არიან თუთიანთანი მათნი გუამოვნება სამეგუამოვანი... სამება ერთარსება, ერთი ღთაება, ერთი მეუფება შეურყენელი, წმიდა სამება, რომლისა დაწყება

1) თუმცა თავი ატლია და არა სჩანს, რა შეუწირავს გიორგის, მაინც ვბეჭდავთ ამ გუჯარს, სხვაფრივ შესანიშნავს, ენა მომეტებული მდიდარეა ძველი ფორმებით და მართლმწერლობით. გარდა ამისა საყურადღებოა ეს გუჯარი როგორც სრული დაახლოებით «წუეველის წიგნი». მწკალებლებს იგი იხსენიებს მეტბო სასტიკად და გვიჩვენებს მათი სწავლის მცირეოდენ თუნდ მხოლოდ სასულიეროს ცოდნას» ორიგენი, და ნესტორი ცნობილი ყოფილან ჩვენში.

უცნაურ არს და ჭეივს უკუნიით უკუნიისაჲდ და  
მეორბეცა ამინ კუალად ყოვლად საგალობელისა და  
სავედრებელისა და უმეტესად ზემთა აღმატებულისა  
ყოვლად წმიდისა, ყოვლად კურთხეულისა, ყოვლად  
უბიწუხეუბელისა, რომელი არს მაყუალი ცეცხლი  
შეუხებელი, უკდაებანი სიწმიდისა, ცვეროხი არაფისა,  
ნაყოფისა მის უკუდავისა გამოძლებელი, კარავი  
ღეთისა დამტევენელი, სახლი ღეთისა. საყდარი ქეო-  
როვიმი, ქალწული მარჯამ ღედა უმაჰაკად მშო-  
ბელი, ღეთისა ემანოილისა რომელმან დაიტია მუ-  
ცელსა დაუტევენელი იგი ცათა და ქვეყანისა ღეთისა  
დამტევენელისა ღეთისა ღედისათა ძლიერებითა და შე-  
წევნითა სამნაწილისა ჯვარისა ძელისა ცხოვრებისათა,  
რომელსა ზედა განკუართულ იქმნა უფალი ჩენი  
იესო ქრისტე და განიპყრნა უბრწუნელი მკლავნი  
თუისნი მას ზედა ხსნისა და ცხოვრებისათვის ჩენისა  
ძლიერნი და შემწენი ბანაკთა უსხეულოთა და უნიფ-  
თოთა მწყობრთაგან ცხრა არეთა და ცხრათავე  
დასთა ანგელოზთანა, შეწევნითა და ძლიერებითა  
სიტყუისა ღეთისა მქადაგებელსა ნაშობთა, ყოველთა  
უზესთაესსა დიდესა მის ქრისტეს ნათლის მცემლისა  
იოვანესითა, კუალად ძესა მის ქუბელისა მკერდსა  
ზედა მიყრდნობით ღეთისა მზრუნულისა იოანე ქალ-  
წულ მახარებელისა და ღეთის მეტყველისათა, თავს-  
მდებობითა და შუამდგომლობითა ათორთა, მოკ-  
ქულთათა, მონღობითა და შუამდგომლობითა ჩენისა  
სიქადულისა სასოებისა და ცხოვრებისა სუეტის  
ცხოველისა ჯუარისა ჭაუფლოთა და შირონისა ღეთით  
მყოფელისათა, წმიდათა და დიდთა მღვდელთ-  
მოდღვართა, დიდისა ბასილი კესარიელისა, გრიგოლი

ღეთის მეტყველისა, იოვანე ოქროპირისა, ათანასი  
აღიქსანდრიელისა, ნიკოლოზ შირონი ქალაქისა და  
საკურველ მოქმედისა და სხვათა მათ ყოველად პატიო-  
სანთა შლედელთ მოძღუართათა და კადნიერად მეოხ  
არინ წინაშე მეუფისა და კეალადცა შემწეთა მხნეთა  
მხედართათა დიდისა მხნისა გიორგისათა, დიმიტრი,  
თევდორე და თევდორისათა და დიდისა ეესტათისათა  
და ყოველთავე ღეთისა სათნოთა მხედართათა და  
ღირსთა და ყოველად სანატრელთა დედათა და ქალ-  
წულთა თეკლა, ირინა, მარინა, ბარბარა და ეკატე-  
რინისათა და ყოველთა განშორებულთა, დაყუდებით  
მღვდმარეთა, მესუეტთა, მეუღაბნოეთა და რავდენნი  
სათნო ეყუნეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა და  
კუალადცა სათნო ყოვად... აღმატებულო დედ აფა-  
ლო ღეთისმშობელო მარადის ქალწულო მარიამ  
კრულმცა არს ცათა შინა ზე და ქვეყანასა ზედა ქვე  
მეჩუენებულ და კრულმცა არს მხედარი და ცოცხალი  
მისი საყდარი, საძარე, მიწა და ფიცარი, ძილი დაჯ-  
დომა და აღდგომა, ძილი სპა და ქაძა, მისი ძილი  
და ლუიძილი, მისი სავარძელი, სარეცელი და ცხე-  
დარი მისი. კრულმცა არს შეიღთა კრებათა მეჩუე-  
ნებითა ოთხთა პატრიარქთა მათთა მიმდგომთა, ძიტ-  
როპოლიტთა, ეპისკოპოზთა და ქორეპისკოპოზთა, <sup>1)</sup>

<sup>1)</sup> ქორეპისკოპოზი და ქორიკოზი ვახუშტისა ყურადღებით  
უნდა გაირჩეოდეს. ქორიკოზად იწოდებოდნენ მშართველნი  
კახეთისა მერვე და მეთერთმეტე საუკ. ეს სანელი უნდა გავრცე-  
ლებულიყოს ჩვენი საბერძნეთიდან, სადაც იმპერ. დეე I ბრძა-  
ნებით ყველა პატარა ქალაქებს დაენიშნა საკუთარი ეპისკოპოზი,  
არამც თუ ქალაქებში, სოფლებშიაც კი დასდნენ ეპისკოპოზები.  
აქედამ წარმოსდგა ტერმინი «ხორეპისკოპოი» (ეპისკოპოზი  
დაბისა). ქორეპისკოპოზი ჩვენი უდრის ხორეპისკოპოზს ბერძენ-  
თა. ქორიკოზი ვახუშტის აზრით, მეფის მონაცვალე იყო პრო-  
ვინციაში. უსახულოთ მიგვაჩნის ს. ს. ორბელიანის აზრით,  
რომ ვითომ ქორეპისკოპოზნი უსამწყესო ეპისკოპოზნი იყვნენ.  
ახლი გამოკვლევა, როგორც მოვიხსენიეთ, ამის წინააღმდეგია  
და ქორეპისკოპოზს ასახელებენ ეპისკოპოზებად პატარა ქარ-  
ქაებში.

ჯვართა და ქართლისა კათალიკოზ პატრიარქისა და მისთა სამწყსოთა ეპისკოპოზთა შეჩუენებითა და ჯვართა შემცა ედების კეთრი გეზისი შიშთული იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, დანთქმა ფარაოსი და თანამცა აბირონისი მესადარვისა ფსალმუნისა წყევასა მასზედამცა დაასრულებს ღმერთი ქრისტეს ჯვარის მცემელთანამცა აქს ნაწილი და სამკვიდრებელი სულისა და ხორცისა მისისა ნესტორ და ორიგენე ყოველთა მწუალებელთა თანამცა დაიმკვიდრებს. სული მისი და ყოველმცა გაგებული მისი მოიშლებისი და ნურათამცა სინანულითა იქმნების ხსნა სულისა მისისა ნუსამცა აღმოაცენებს ქვეყანა ნაყოფს მის კაცისათვის და ყოველიმცა ნაქონები მისი იავარი და ოხერი იქმნების და ამაზე ზემო წერილითა თუით ღეთაებისა პირითა და ყოველთა მისთა წმიდათა მადლითა და სხუანი რაოდენნი შეჩუენებანი სწერიან სიგელსა ამას შიგან მათ შეჩუენებით ყოველთავე წყეულ და შეჩუენებულ იყოს კაცო იგი სულითა და ხორციითა <sup>1)</sup> და ყოველთ სახლეულით მისითურთ, რომელმანცა ხელყოს შეწირულისა ამის ჩვენის შლად და მოკლებად იკადროს ყოველთამცა ამა სიგელეში წერის წყევლით და შეჩუენებით კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი

1) სუეველგან ასოს «ხარს» ხანად ვსახავ (სიტყუები: ხორცი, ხელი, მხნე, მხედარი და სხვ.) ენა საერთოდ ქველია, ფორმები ინმარება ხშირად ისეთები, რომელთაც დარჩენილია ახლად მხოლოდ მთაში, მაგ. მოიშლებისი მაგივრად „მოიშლების“. შესანიშნავია: «თვის იწერება «თუის»-დ და არა «თეს»-დ. (კაცისათვის).

ღმერთმან აკურთხნეს და წმიდანმან ღვთისშობელმან მარადის ქალწულმან მარიამ. დაიწერა მტკაცუნ და შეუცვალებელი შეწირულობისა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა სჰშ. (ხელმოწერილია გიორგი <sup>1</sup>).

1794 წ. ქ. სამი ობოხ აბაზ უზალთუნო

ქ. საპერანგე ოთხი აბაზი

ქ. საკაბე ექვსი აბაზი.

ქ. წითელი ლად იანი ხუთი აბაზი მდარე

ქ. შილი აბაზი

ქ. სუის ჩითი აბაზი.

ქ. ალლის ჩითი აბაზი

ქ. დაოლბანდი ერთი თავი სამი აბაზი

ქ. აალი განის ხელსახოცი ჩითის ათი შაური

ქ. რკინა ღიჭრა ათი შაური.

ქ. ტყვია სტილი შაურნახევარი

ქ. მარილი ღიჭრა სამი შაური

ამათი გასაღები თორმეტი თუმანი არის ამ თვალვითა და სოფელთანვე პირობა გამოგირთმევისა ნახევარი ამათია და ნახევარი ეკკლესიისა არის. ამ სალამათის გამოღებისათვის სხვა უფრო მეტსაც გვაქვს, მაგრამ მაგათ რომ მეტად მოინდომეს, ჩვენ ფშათი ვირჩიეთ და ისევ დავეთხოვნეთ და ახლაც რაც ამაში სწერია ამის დაკლება არ შეეცლება ყველანი. ხელს ასე ვაწერთ. ქაიხოსრო, ბარამ, იორდან <sup>2</sup>).

<sup>1</sup>) გიორგი აქ მოხსენებული უნდა იყოს მეფე გიორგი შუათე (1600—1605), ძე სვიმონ პირველისა.

<sup>2</sup>) ფულის და საქონლის ფასობის შესწავლისთვის კაიხოსრომ დააწესა.

ანდერძის წერილი კოზმა ბერასა.

1785 ქ. წმინდანო მამანო! შემდგომად ჩემსა მოსულნო მე კოზმან ბერი ესწერ ანდერძს ამას: მე რომ მოველ სამი კვამლი კაცი დამხვდა. არცენ იყო ეკკლესიის შემწე, ჯაფახის შვილი. 1) პატა მეკალოეთ იდგა. უთხარ. მოდი ეკკლესიისათეინ გუბნიდელათ დადგმეთქი უღელი ხარი ვიყიდე და მივეც და სულ ყმები ერთად დაეყენე სამწელიწადს უკან მილალატა მე თელავს ბატონთან გიახელით და შეევეგეწე აქ ეკკლესიასთან გაჭრილი მიწა იყო ეს მოხან და არ დეჯერებინა წელსი სხვისი მიწაში და რომ გამაეშო ნიგოზს. ქვეშ შერევა მეხი დასცემოდა და სამი კანბეჩი და ერთი კაცი მოეკლა და სულ ურმები დამეფანტნენ და ოცი წელიწადია აღარც ერთი დღეა მიხნია უნდა მქონდეს ხუთი ექვსის წლის ჰური და ახლა აღარც ერთი ლიტრალა მაქვს საქონელი კნ დამახოცა ერთი ხარი მყვანდა ლოპონტახედ იდგენ გზის შესაკრავათ იქ დაკლებოდა ჯაფახიშვილი და ისიც იმის გულისათეინ დამიკლეს მერეთ კიდევ ეს მოგხსენდეს ბატონს განაჩენი ებოძებინა მორჩადი-  
სათეინ და მამული ებოძებინა მე წინ (+) აღუდევ და ის განაჩენი მოეშალე მოვიდა შემოგვეხვეწა და ეკკლესიას სამი თუმანი აღუთქვა და მივეც მამული და ახლა სიკვდილის მეტი აღარა გამოიმეტა რა სიკეთის მაგიერათ ეს მიყო ჯაფახის შვილისავით ორი საპალნე კულუხი არ მიუცია: ორმოცი საპალნე ლეინო მოუვიდა შარშანწინ ჯაფახის შვილს კიდევ გა-

1) თითოეულ სიტყვებს აქვს დასმული წერტილი.

სამრჯელო ერთი ფული არ მიუტია თვედორეს მიუ-  
ცია ორი თუმანი კიდევ მოარჩადეს მივე ახალი მამუ-  
ლი ბეჟან მდივანბეგმა ჩასხა მიჯნები და ორს თუმანს  
დაპირდა ეკლესიისათვის და არ მოუტია ქ. დათუ-  
კაშვილი და მღვდლის შვილი ჩემი დაყენებული არიან  
მამაშვილს არ უხამდა რომ მე ამათ სიკეთე უყავ  
ამათ აშენებულზე მამული მივეც და მე აუშენებელი  
მიწა დავიჭირე სავენახედ: მაჰის მამულს გარდა და-  
თუკაშვილისათვის მიმიცია ორი ბეთალმანი მამული  
მოარჩილებისათვის და სამსახურის გულისათვის... და  
რაც მე შემსახურა და რაც ბატონს სამი წელიწადი  
კულუბი არც ერთისათვის არ გამოამირთმევინა რომ  
ახალი დასახლებულნი ხართ და მამულს შემატეთ რამე  
ან ქვეერი და ან საწნახელი მეთქი ქ. დათაშვილს: ერთი  
ვენახი დაკარგული ქონდა მე რომ მოველ მოვკით-  
ხე და დავიხსენ და მივე დათაშვილს მეორე მამული  
და ის ვენახი აქვს დღეს და სქამს ლოპოტაზნედა არ  
წავიდა დარბიეს და ერთი კანბეჩი წაართვეს  
საბაბი მე დამედო, შენ მიზამო ხუთ მინანთული  
მე მივე: მასილებს და ის კანბეჩი დავიხსენ და მი-  
ვეც ქ. კიდევ ეს მოგხსენდეს მე რომ მიველ ბეჟანას  
მამა დამთვლი ოქროს მილის იასეს მამა ერთად  
იყვნენ სამს და რომ გაიყარნენ ედავებოდნენ ეს ბი-  
ჭები და სხვას მამულზედ დავასახლე და წილი არ  
დაუდევ აბა ბეჟანასთან და სამის დღის მიწაც მივე  
ლკაი გამარჯვებული ბეჟანას და დაუპირდა ეკლე-  
სიას ორს თუმანს და არ მოუტია.

ქმანოელს აქვს ბეთალმანის ქვეერი საპალნისა  
მანველს მივე ბეთალმანი მამული ხეცს აქეთ ბეი-

თალმანი არის ზემოთავამდინ და ქვემო ხევამდინ დაიწერა წიგნი ესე მეც სიკეთე მიქნა ამათზედა და არც შეუძლიანთ დაფიცება იმიტომ დაესწერე მე ეს წიგნი რომ დამმარხენ დაიწერა წიგნი ესე მაისს ზ შოგ ქ. ერთი კიდევს მოგხსენდეს: გუტია ნაცელის დროს რამაჲ დიონზევის სარინან ზალ და იასაული ლალახანის შვილი მობრძანდნენ მანოელს რომ მამული უჭირავს იქა და მაშინ ვაუწყე სადამდინ გუტიას მამული იყო და სადამდინ ბეითალმანი ესე მათხრა გიზამ მანამ მოკვდები ნუ გამოართმევ და მასტყან ეკკლესიის არისო ყველაზედ კინახული დამიდუა ყველამ უნდა დამარხონ და ჩემი სამარხი გაიღონ თუ არა სამართალში ბეითალმანები ისეე ჩამოართოს და ეკკლესიასთენ დაიღოს თუ თავის ნებით არ დამარხონ სამართალში გასჯიეთ თუ ასე არ აღასრულოთ საუკუნოსა მამასან პასუხი გამცენ ჩემი მამლელი და მლოცველი ზოდაშის მღვდელი მოსე და სიკედილის დღის მოძღვარი ეს არის და ამაზედაც მოწყალება ყავთ დეკემბრის ექვს შოგ. <sup>1)</sup>

### კოზმა ბერმა ეფთვიამე.

1787 წ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფეს კირი მოსცეს მთაწმინდის იაკობას. ამას მოეახსენებთ მოწყალებს. კოზმა ბერმა თავის სიცოცხლეში ჩემგან ერთი თუმანი ვალად აიღო და თამასუქი მომცა და თავისი ყმანი მოწამელ მიწერია და იციან:—

1) იბეჭდება ორი გუჯარი კიდევ, რომელიც შეეხება ამ კოზმა ბერს.

ამას გვევლრებით. ერთი ოქმი და იასაული მი-  
ბოძოთ, რომ ვისაც მისი მამული და მოადგილობა  
ქონდეს. და ებაროს:—რომ ეს მისი აღებული თეთრი  
გამოგვართვას და მოგვეცეს იელისის ქ-კს შოქ (ბეჭედი)  
უფალო წინამძღვარო ეფთვიმე იმისი. მოადგილე.  
ხომ თქვენა ბრძანდები. და ამისა. პასუხი თქვენ უნდა  
გასცეთ. კათათვის თ ქ-კს შოქ.

45 1789 წ. ქ: მე საფარაშვილსა მელქუასი კოზმან  
ბეკს, ცხრა მინანთული და სამი აბაზი. მართე და  
სნეულობაში აღებული წინამძღვარის... ეფთვიმისაგან  
სრულიადა: და არის მისი მოწამე თვალ-ოქროშვი-  
ლი. ბეჟან. და ძე გიორგი. ღვდელსა დამიწერია და  
მოწამეცა ვარ. აღიწერა თებერვალის ივ, ქ-კს შოქ.

### წინამძღვარა ეფთვიმე. <sup>1)</sup>

1799 წ. ქ. მომეზარა ედიშერ ციციშვილი  
სალთხუცეს თქვენ უფალის წინამძღვრის ეფთვიმესაგან  
ოც და ექვსი თუმანი თეთრი თავნი იყო და ორი თუმანი  
სარგებელი ეს მთლად მოგბარდა თქვენგან თამასუ-  
ქი მქონდა, დამეკარგა. თუ გამოჩნდა ეს სადმე  
ბათილი იყოს ის. ამისი დამწერი და მოწამე თუმა-  
ნიშვილი მდივანი მისის ბ ქორონიკონს შპზ

ამისი მოწამე ვარ ნაზირი გლახა.

<sup>1)</sup> ეს ის წინამძღვარი ეფთვიმე უნდა იყოს, რომელიც  
კოზმა ბერის ვალს იხდის. (ნახე სამი გუჯარი შესახებ კოზმა  
ბერისა).

1800 წ. მათს უწმინდესობას ბატონს ბიძა ჩვენს მოეწერა სფირილონ ანანიას შვილი რომ თავის განწესებას ითხოვს ესე გასინჯე და ეცადე კიდევ შეარიგო ყოვლად სამღვდელო მთავარ-ეპისკოპოსსაო. დეკანოზის სფირილონის სარჩელი მათს ყოვლად უსამღვდელოესობას მთავარ ეპისკოპოსს პასიოტს გამოუცხადეთ და ამათს ლაპარაკში დიამბეგი ვახუშტი და ჩვენი მოხელენიც თან დავისწართ. ყოვლად სამღვდელო მთავარ-ეპისკოპოსმან მოგვიგო იოსებ ანანიაშვილი და ნიკოლაოზ მღვდელი ანანიაშვილი სფირილონ დეკანოზის სახლის კაცნი არიან მოწილენი არიან და სამს მთავარ-ეპისკოპოსსაც მოსწრებთან იმათ ღმერთი აფიცეთ და მიძინების ხატი და რასაც ისინი ფიცით მოგახსენებენ რომ მთავარ-ეპისკოპოსის კირილეს ბესარიონის და იოანაფის დროს სფირილონს ჰქონდეს სახელო ჯამაგირი, თუ სამწყსოდამ სარგო მეც ხელს მოუწერ და მივსცემო ჩვენ იოსებ ანანიაშვილს და ნიკოლაოზ მღვდელს ღვთის ფიცით ვკითხეთ და ასე იმოწმეს დეკანოზობის ჯამაგირი არც ბესარიონ მთავარ-ეპისკოპოსის დროს და არც იოანაფის დროს არ გვინახამს რომ ამათ ძრვსცეთ რამე სფირილონისათვისაო თორემ ბარათები ექნება და თუ საიღუმლოდ იღებდა არ ვიცითო. დრამილამ მესამედს ვიღებდით და ახლაც ვიღებთ საკანონოში წილი არა გვაქვს მაგრა ჩვენს საგამათ მთავროში საკანონოს ჩვენ გავარიგებდით და რომ მოვართმევდით გვიბოძებდა რასმე თუ არა თავისი ნება იყო და ჩვენს განწესებას სამოხელიოს კანონს ქვეშ მყოფობისაგან ავიღებდითო. ნიშანს

რომ ავიღებდით და მოვარბმევდით ერთს რასმეს გვიბოძებდა და ჩვენს განწყვებულს სამოხელიოს მიცვალებულის პატრონისაგან ავიღებდითო მთავარ-ეპისკოპოსის წილი სამამათ მთავრო რომ არის მამა ჩვენებიც ბევრს ცდილან ჩვენც ბევრს ვეცადენით ამ სფირილონის მამაც ბევრს ცდილა და ეს სფირილონიც ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ ვიშოვეთო. ამ მთავარ-ეპისკოპოსმა პაისიოსმა რა მიზეზით დაიჩემა არ ვიცითო და ჩვენ ასე განვაჩინეთ მთავარ-ეპისკოპოსის წილი მამათ-მთავრომა, რადგან ამ ყოვლად სამღვდელოს მთავარ-ეპისკოპოსს პაისიოსს მიუცია ამისი ნება მისის ყოვლად უსამღვდელოესობის მთავარ-ეპისკოპოსის პაისიოსისა არის, მისცემს თუ არა, ნიშანი თავის სახელოში სფირილონ დეკანოზს ააღებინოს, რომ მთავროს რასაც უბოძებს ნება მთავარ-ეპისკოპოსსა და განწყვებული სამოხელიო მიცვალებულის პატრონისაგან აიღოს. საკანონოს თავის სამამათ-მთავროში სფირილონ დეკანოზს გაარიგებინებდეს საკანონოში საქმე არა აქვს რა სფირილონსა და თუ უბოძებს რასმეს ყოვლად სამღვდელო მთავარ-ეპისკოპოსი თავის ნება არის და თავის განწყვებას სამოხელიოს კანონს ქვეშ მყოფისაგან აიღებდეს. დრამილამ მესამედი თავისი ნაწილი უნდა შიგვის დეკანოზობის ჯამაგიჩისა, რადგან სანატორელს პაპას ჩვენს უბრძანებია დეკანოზისა საქმეს ჩვენ მოვკითხამთო და თუ სამართლიანი მიცემა იქმნება ჩვენ გაუჩინთო ეს მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენისა და მისის უწმიდესობის ბატონის ბიძის ჩვენის ნება არის. იქნისის კ ქკს უპპპ. რადგან რომე

კურთხეულს ბატონს პაპაჩემს ეკკლესიის შემოსავალი შუა გაუყვია. ნახევარი საყდარს უნდა მოხმარდეს და ნახევარი მთავარ ეპისკოპოსმა უნდა მოიხმაროს ამ ჯამაგირის საქმე ამისთვის დავაგდევით ნება ახლა მისის უმაღლესობისა და მათის უწმიდესობისათვის აღსრულდეს.

ჩვენ მეფე სრულიად ქართლისა კახეთისა და სხვათა შეათსამეტე გიორგი ამ განაჩენს ვამტკიცებთ სეკლემბერს ლ: ქკს შპზ. 1)

ჩვენ სრულიად საქართველოს უფლის წული მეფის ძე დავით ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. მარტის ძს ქკს შპც

მეფის ძე ბაგრატ ვამტკიცებ ნოემბრის 16 წ. 1800

მეფის ძე თეიმურას ვამტკიცებ ნოემბრის იმ ქკს შპც.

სათარხნის გუჯადა.

1798 წ. ქ. ჩვენ მაგიერად მოუტრავს ფრიდონს ჭანდიერის შვილს ასე ეუწყოს. მერე ამ არზის პატრონი, რადგან ამისთანა ლაჭიბი და შეუძლებელი ხიზანი კაცი არის იმას ხარჯსა გამოსალებსა ბეგარას და ჯარში ნუ გარეფ, რადგან სნეული არს და ნურას სთხოვთ და ნურცა რასთ გამოართმევთ. იგიველის კა ქორონიკონს შ. პ. მ. (ბეჭედი).

სათარხნის გუჯადა.

1751 ქ. ესე: წყალობის: წიგნი: დავიწერეთ: და: გიბოდეთ: ჩვენ: პატრონმან: ერისთავთ: ერის-

1) საყურადღებოა ჩვენი სახელმწიფოს წესწყობილების და სამართლის წარმოების შესასწავლად ეს არ უნდა იყოს პაისი იერუსალიმის პატრიარხი.

თაემან: შანშემა: და: ძმისწულმა: ჩვენთან: დღეითმა:  
გოგიამა: შენ: იქეთეს: ბეროშეილებს: თუოშანს:  
ქოქოსა: და: ბოხოს: და: მეზობელსა: შენსა? ჩო-  
ფანშვილას: ბათირსა: გორსა: და: ქუჯასა: ასრე:  
რომე: თაოზით: იქეთს: მამულს: თქვენ: გეკირათ:  
და: ნარიშამ: ქრთამი: მოგეართეა: და: ნარშას: უბო-  
ძეთ: მერმე: ხატის: მამული: ყაფლოც: იკრახეთ: და:  
ხატის: ყმანი: ყოფილხართ: ახლან: ნარშასა: თაფრისი:  
ქრთამი: ისრევე: უბოძეთ: და: შენს ქრთამიც: გამო-  
გართეთ: და: ისრევე: თქვენ: თავს: წყალობა  
გვიქნა: და: იქიეც: თქვენ: უწინდელი: აქეთის:  
გალმა: მამული: ახოები: ხატის: ყმანი: ყოფილხართ:  
და: ისრევე: ხატის: ყმანი: იყავით: ღმერთმა: მოგ-  
ცეს: და: გიბედნიეროს: ქრისტემ: აქ: ჩ: ღ: მ:  
ქეს: ულთ: <sup>1</sup>).

1797 წ. ქ. ღმერთთან საქართველოს ხემწიფის  
ჭირი მომცეს ვანთას მყოფს მახარებელს. ჩემო ხემ-  
წიფე იმერეთილამ გადმოვარდი, შვიდი წელიწადია  
ფხოველში ვახლდი და შვიდი წელიწადი, რომ აქ  
ვანთას ვახლავარ იმერეთელამ ჩემი ნაბატონევი გად-  
მოვიდა, ქრთამე დახარჯა და ორი ვაჟი და ერთი  
ქალი ჩემი შვილები დამტაცეს იასაულებმა და მი-  
მიცეს იმ ჩემმა ნაბატონემა იმერეთს გარდასხა. ჩე-  
მი მეუღლე იმაზედ ავად ვახდა, ასე მითხრა, თუ  
შვილებს არა ვნახავ მოვკვდებიო. წაფელი იმერეთს

<sup>1</sup>) საუკრადლებოა ფეოდალიზმის შესასწავლად, სი-  
თარხნის წიგნია.

იმათი მოპარვა: დავაპირე შემიტყეს და მეც დამიკირეს, გაყიდვას მიპირებდნენ გამოეეპარე. აქ რომ გიხებელ შეიღების ჯაფრით ცოლი მომიკვდა ერთი ქალი დამჩხა ვართ ორნი ხელნი ჩვენი სარჩო და ქონება შენს მზეს ვფიცავ ერთი დღის ყანა არის ისიც ტყისა რომ ნახევარ დღის სავალი არის ის ჩემი ქალიც ექვის წლისა არის, მე სხვა რიგად სწეული გახლავართ გვეედრებით თქვენდა ასამაღლებლად რომ ბევარიდამ, ხარჯიდამ და ჯარიდან გამომმთარხნოთ გამამთავისუფლოთ ივლისის კა ქორონიკონს უპე 2).

### ნასყიდობისა.

1688 წ... მარად ქალწულჯსა მარიამისა ზეცისა ძალთა ანგელოზთა მოწმობითა წმინდისა ათთორმეტთა მოციქულთა პეტრე და პავლესითა მოწმობითა წმ. იოანეანე ოქროპიტისათა... წმ. გორის წმ. გიორგისა... ოქონის ხატის მოწმობითა... ნასყიდობის წიგნი მოგეც მე ტანისხიდელმან ჩემან თამაზამან შეიღმან ჩემან ნი(კოლოზმან?) შენ ვანთელსა აღუას შეიღსა ჩემსა დისწულსა თვედორესა დაგეჟკირა მოგყიდეთ ტინის ხილის ნატყვევიდეჟ გემანის მიწის მადგომამდინ მოგყიდე ქონდეს და გიბედნ (იეროს?) ღმთმა როგორც მრავალ ალალოსა ნასყიდსა მართებულს... ჩემანელ გვარმან კაცმან ანუ სხუა-

2) ეს წერილი გარჯად ასაბუთებს, რანად მდგომარეობაში იყო საბატონო გლეხი.

მან კაცმან... შემოგეცილონ თავად რისხავს ღმერთი ყოველნი მისნი ანგელოზნი... არიან ამისნი მოწამენი ნონიკა მოგონასშვილი, მე შერმაზუნ დამიწერია მოწამეცა ვარ—ქკს ტოვი, მარტის ე. <sup>3)</sup>.

### ნასყიდობა.

1737 წ. ნებითა და შეწყენითა მღვთისათა ესე ამიერთგან ჟამთა და ხანთა გასათავებელათ ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცი მე კერხაძემ გიორგიმ შვილმა მამკლამ (?) სახლის კაცმა შენ ბაღის შვილს კაცთან და ძმასა შენსას გიორგასა ბერიძეს და ბერჯასა შვილსა შენსას დავითსა შენს ჩამომავალსა ასე რომა დამეჭირა და მოგეციდი ჩემი ალალი ნასყიდი ვენახი საბუნქროთა დინრიძის მიღგომამდინ ბოლოს ბრმაშვილის ვენახის მიღგომამდინ ზეთა ბრმადინ თვისი წყლითა ავიღე ფასი სრული რითაც ჩემი გული შეგეჯერდებოდა მოგეცი და მოგიბედნებროს ღმერთმა როგორც სხვას მონასყიდეს ქონოდეს ან ქონდეს მოგეცი. ვინც ეს ჩემი მიცემული მოშალოს თითონაც შეიშლება თავისი სახადამ მას რის ხამს იესო ქრისტე. თავათ არის ამის მოწამე ღმერთი შერე გორელი ჯულაბაშვილი მან უჩარა დევიძე ნასყიდ კაციაშვილი დემეტრე ეფეშანიანი ავთანდილა მე ლომინაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქკს. უკე.

მე ჯულაბაშანთ გიორგის შვილი მან უჩარ ამას მოწამეცა ვარ <sup>4)</sup>.

<sup>3)</sup> ნატყუკადეკ, ე. ი. ნატყუკადან.

<sup>4)</sup> ეს სიგელი ასე ნაკლულად არის დაწერილი. ნასყიდობითად მოვიყვან დასაწყისს... ჟამთა და ხანთა გასთავებულათა ნსყიდობას...

ნსსყიდობისა.

1645 წ. ნებითა ღეთისათა მამისა ძისათა სულისა წმინდისათა ყოვლა წმინდისა ღთის მშობლისა მარადის ქალწულისა მარიამისა თავდებობითა შუამდგომლობითა ზეცისა ძალთა ანგელოზთა, მთაჯარ ანგელოზთა მიქელ გაბრაელისა მთაჯარ ანგელოზის მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა გიორგისა გარიჯურის მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა ესტატისა მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა ოქონისა მოწმობითა წმინდისა იოვა მახარობელისა წმინდისა იოვანე ოქროპირისა წმინდისა იოვანე ნათლის მცემელისა მოწმობითა შუამდგომლობითა თორმეტთა მოციქულთა პეტრესითა და პავლესითა წმინდანი რაინც სუნაქსარშიგან წმინდანი მოიხსენებთან მათსა მოწმობითა შუამდგომლობითა ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ საკასეილის შეილმა აკას შეილმან საკამან და ჰანამან თქვენ ტერ-გრიქოლას შეილის შეილსა ოსკანას შეილსა ტერ დავითასა შეილთა შენტა ოსკანასა გრიქორასა სახლისა მამავალსა შენტისათა დაგვეჭირა მოგყიდეთ თავაქალაშეილისეული სახლ-კარე ერთი გვერდი ერყეოდასშეილის სახლის გვერდი ერთი გვერდი ბასტამასშეილის სახლის გვერდი ქვემო გზამდინ ზემო შენტის მიდგომამდისინ ავიდეთ ფასი რითაც ჩვენი გული შეგვერდებოდა ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან როგორაც მრავალსა ალაღსა ნასყიდსა მამულისა მართებდეს ხელო გვეწყოდეს გასყიდვით საწოდრათ რითაც ფერათ გინდოდეს მცილე არაეინა ყვანდეს თვინიერი ერთისა ღეთისა მეტი,

რამაც კაცმან ესე ჩემგან მოცემული წიგნი შეგიშა-  
ლოს რისხავეს თავადი ღმერთი ყოველნი მისნი წმინ-  
დანი ზეცისა და ქვეყანისანი ვინცა ედების შიშითუ-  
ლი ჩყიდისა ძრწოლოა კაენისა ნუშტა იხსნების სული  
მისი ჯოჯოხეთისაგან ამინ და კიალეციონ არიან  
ამისნი მოწამენი თავად ღმერთი ყოველნი მისნი  
წმინდანი კაცთაგან ბატონი თუმანის შეილი მთავარ  
ეპისკოპოსი ფარსეღ მისი ძმისწული თუმან გაფრე-  
ლას შეილი ტერ ზაქარა დავითის შეილი ელიზბარ  
ხუდადას შეილი პაპინა წატურას შეილი პაპინა ტერ  
ხეჩატურას შეილი ტერ მადეცლა მე შერმაზანს დამი-  
წერია და მოწამეცა ვარ ამისი ექს. ტღგ მარტის ა.

დღისიოფან თე თლის

სახელითა სახიერისა არსება დაუსაზამოსა ღვთი-  
სა მამისა ღვთისა ძისა და ღვთისა სულისა წმინდისა  
მე ქეშმარიტი სული ცხოველის მამისაგან გამოსული  
უხილავ უსაზღური მიუწლომელი ძალი განუზომელი  
შემოქმედრ ცათა და ქვეყანისა თავდებობითა მინდო-  
ბითა შუამდგომელობითა და მოწამეობითა ღვთისა  
და მეოხებითა უმეტესად კურთხეულისა და ზეშთა  
აღმატებულისა დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა  
ღვთის შუამდგომლისა მარადის ქალწულისა მარიამისათა  
თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა  
წმინდა ზეცისათა ძალთა ანგელოზთა და მთავარ ან-  
გელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა და ცხრათავე  
დასთა ანგელოზთა ოხითა და მეოხებითა და ძლიე-  
რებითა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯე-  
რისათა რომელსა ზედა განვიყრნა უხრწნელნი მკლავ-  
ნი თვისნი ხსნისათვის ჩვენისა თავდებობითა მინდობითა

და შუამდგომლობითა წმინდათა თავთა მოციქულთა  
პეტრე სამოთხეს მპყრობელისა და პავლე რომელსა ესმეს  
უსმენელნი სიტყვანი თავდებობითა მინდობითა და შუა-  
მდგომლობითა წმინდისა წინასწარმეტყველისა წი-  
ნამორბედისა ნათლის მცემელისა იოანესითა და  
იოანე ქალწულ მახარებლისათა და ლეთის მეთყვე-  
ლისათა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომ-  
ლობითა ღვაწლით შემოსილისა უძლეველისა წმინ-  
დისა გიორგის გორიჯურისათა თავდებობითა და შუა-  
მდგომლობითა მამათ მამისა საბასათა, თავდებობითა  
და შუამდგომლობითა ყოველთა წმინდათა ხორციელთა  
და უხორცოთა რომლისა კენითგან სათნო გეყენეს  
და კვალადცა სათნო ყოფად არიან ამათითა მოწმო-  
ბითა და შუამდგომლობითა მოგეც ესე ნასყიდობისა  
წიგნი და სიგელი დრო მრუდევარი მიხეზი შემოუ-  
ღებელი ყოვლის კაცისაგან მოუღე ვარ მოუსარ-  
ჩლული მე წატურა შეილმა როსტომამა და ჩემმა  
შეილმა გიორგი გოდერძიმა და გივმა მოგყიდეთ მი-  
წა გორდა მალაში ცხრის დღისა გამარჯვებული,  
რომელსაც მხარეს გერჩიოს შენ ბილიტი შეილმა  
ადლუასა და შეილსა შენსა ივანეს დათუნასა პავლესა  
და თევდორესა და მომავალთა სახლისა თქვენისათა  
ყოველთავე და ავიღეთ ფასი სრული და უღებელი  
რითიცა ჩვენი გული შესჯერდებოდა და აღარა  
დარჩა რა ჩვენსა და თქვენშია სასარჩლო და სალა-  
პარაკო არიან ამისნი მოწამენი და გარდამწყვეტელნი  
და ამხდურნი აზარბეგი შეილი ამისეთ და მისნი შეილ-  
ნი გოგია შეილი ღემეტრე მამასახლისი და მისი ძმა  
მამის იმედი შეილი.

### ზედწარწერა

ზომბორზე რომ ხატი უპოენიათ იმისი ნუსხა. ესე ხატი გარეჯისა არის.

«უღიდებულესო ნაშობთა დედათასა ქრისტეო ნათლის მცემლო დღეგრძელობით და კეთილად დაიცუვენ რათა შინა ცხოვრებათა მეფეთ მეტე აღექსანდრე და დედოფალთა დედოფალი თინათინ ამინ.»

წინამორბედად ქადაგ სინანულისა და უზესთავს ნაშობთასა წოდებულო ჰი იოან ქრისტესა ნათლის მცემლო რომელმან ესე შეამყო სახე შენი მეფე შეამკვე დიდებითა აღექსანდრე».

ნაწერია მსხვილი ასომთავრულითა ხელოვნურად ხატს ოც-და-სამი ფირუზი უზის მსხვილი და წვრილი თვრამეტი იაგუნდი მსხვილი და წვრილი. ნათლისმცემლის თავსა აქვს მოვლებული ორი წვრილი ფირუზი ორი წვრილი იაგუნდი და სამი წვრილი მარგალიტი. უკანიდგან ვერცხლით არის მოჭედილი და ოქროთ დაფერილი, რომელსა შინა არიან ოთხნი ჩინებული ნაწილი. წინადან არის ერთიანად ოქროდ მოჭედილი უცხოს ხელოვნებით. ყოველად სამღვდლო მეუფეო ბრძანებისაებრ თქვენისა უმონებრივესითა კრძალულებითა გაგებდავ მოხსენებას.

უღიკსი კრძალიანი დიმიტრია.

ქვაფთახევის ღვთისმშობლის ხატზედ:

1695 წ. ზი ღრუბელო ნათლისაო და კიდობანო სჯულისაო მაყვალო შეუწველო, რომელი გიხილა მოსე ჩვენ ცვა ფარვად ფრთეთა თქვენთა ქვეშე მოლტოლეღმან დიდისა და სახელოვნისამეთის 12 გიორგის თანა მემცხედრემან, ჭამის ჭახელმწიფოს სარდლის მიქელაძის ასულმან დედოფალმან პატრინმან ზუარაშან, ვინებე შემკობა შენი ყოველთა შემამკობელო სასოეზაო ჩვენო ქვათახევისა ღვთისმშობელო, რომელი გიხრლე ავაზაკრაგან განსურცვილი პირველ და აწ მეორედ ჩვენ შეგამკეთ პატროსნად, რათა შემწე გვეყო წინაშე ძისა შენისა და მეუფისა ჩვენისა.

მადეს გამკობდი, მას ჭამსა მოაწია ჩვენ ზედა განჩინებული სიკედელი და კანსელა უხანოსა სოფლისა ადვესრულე და არის სამარხო და განსასვენებელი ჩვენი წინაშე შენსა დედაო ნათლისაო, შენ შემწე მიყავ. ადამის აქეთ შეიდი ძთას ორას სამსა: ქორონიკოსა ტპზ.

ადვესრულე თებერვლის ქმსა დღეს, კვირიაკესა ჭამსა პირველსა. მოიხსენე უფალო ხელოვანი გიორგი.

ზიბნლაურისა.

ზორი ჯვრის დეკანოზს იოსებს მიერთვას უმდაბლესად.

ასო მთავრულად ლუორუ ქალაღდზედ სწერია:

მ. მოწამეთა 1) შორის და უფალო ვარსკვლავო, კერბთა შემმოუსვრელო და მოწამეთა დიდო ლმობო ტანისა და ძეალთა ჩემთა ბრძველნი განმ იკურნე მე მეფესა ალექსანდრეს რომელთა ვინებით ხატთა თქვენთა მოჭედა:

ჩვენი ლეთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე ვიგოულეთ 2) თანაშენწევნითა შენი ძლიერსა და ახოვანსა და ლეაწოლ მრავლისა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისათა და მოვაჭედინეთ ხატი მხვაესებისა თქვენისი თაყვანისაცემლად და საჩიღებელად და დავრსიენეთ გორის ჯვარს პატარასა შინა შენსა რათა განკურნო ჩემ შორისასა ამის ხორციელისა სალომობისა და მიონ მოსელასა მას მისსა დიდებითა რომლისათვის წამა 3) ახოვანებამან შენმან.

ქვეშ მოწერილია: «თანასწორ გადაღებულ არს». თარიღი არ არის.

დიმიტრი...

1) შიჩკელი ასოება აკლია, დაჩხენილია მხოლოდ... წამეთა).

2) შემმოუსვრელო = შემუსვრელო; ვიგოულეთ = ვიგოულეთ.

3) წამა ე. ი. იწამა.

მეფე ალექსანდრე იყო სამოც-და-მეჩვიდმეტე მეფე. ამან იმეფა 28 წელი, კარდაიცვალა 1442 წ. ქკს 130. ამ მეფე ალექსანდრემ გაჭეო საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ეს ზედ წარწერა გორიჯვარის წმ. გიორგისა გადმოღებულა 1799 წ., როგორც შეგვიძლიან დაგვსენათ შემდეგ მიწერიტგან: «მეფის ალექსანდრეს კარდაცვალებიდან იქმნება აქამოდე წელი სამას სამოც-და-ჩვიდმეტე გასული. დიმიტრი». 377+1422 (მ. ალექსანდრეს სიკვდილი) = 1799 წ.